




საქარმრმმმრმ რმრმრმმმ კმრმკმრმრმრმრმრმ რმრმმმმ მმრმრმ

საქართველოს
რეგიონებში
კონკურენტუნარიანი
დარგების ანალიზი

ირინა კვახაძე
ნანა ცერცვაძე



პროექტს „ქართული ბიზნესი ახლოს ევროპასთან“ ახორციელებს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი სააგენტოსთან ანარმოვ საქართველოში თანამშრომლობით.

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია შვედეთის მთავრობის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) პუბლიკაციის შინაარსის შვედეთის მთავრობის პოზიციად აღქმა დაუშვებელია“.

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

ISBN 978-9941-8-2611-5

სარჩევი

კვლევის მიზანი	7
კვლევის მეთოდოლოგია	7

გურიი

რეგიონის ზოგადი აღწერა	12
მდებარეობა	12
გურიის ადმინისტრაციული მოწყობა	12
ბუნებრივი გარემო	12
რეგიონის მაკრო მახასიათებლები	15
დემოგრაფია	15
მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	17
შრომის ბაზარი – განათლება და უნარები	20
ბიზნესაქტივობა გურიაში	22
პრიორიტეტული დარგები	24
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები წილი	25
დამამუშავებელი მრეწველობა	25
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	26
მშენებლობა	26
ხელოვნება, გართობა, დასვენება	26

იმერეთი

რეგიონის ზოგადი აღწერა	32
მდებარეობა	32
ადმინისტრაციული მოწყობა	32
ბუნებრივი გარემო	32
რეგიონის მაკრომახასიათებლები	33
დემოგრაფია	33
მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	36
შრომის ბაზარი	38
ბიზნესაქტივობა	39
პრიორიტეტული დარგები	41

შიდა ქართლი

რეგიონის ზოგადი აღწერა	46
მდებარეობა	46
ადმინისტრაციული მოწყობა	46
რეგიონის მაკრომახასიათებლები	47
დემოგრაფია	47
მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად	48
მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით	48
მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	49
დასკვნა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	52
შრომის ბაზარი და უნარები	52
პრიორიტეტული დარგები	56

სამცხე-ჯავახეთი

რეგიონის ზოგადი აღწერა	60
მდებარეობა	60
ადმინისტრაციული მოწყობა	60
ბუნებრივი გარემო	60
ბუნებრივი რესურსები	62
რეგიონის მაკრო მახასიათებლები	62
პრიორიტეტული დარგები	69

აჭარა

რეგიონის ზოგადი აღწერა	74
მდებარეობა	74
ადმინისტრაციული მოწყობა	74
ბუნებრივი გარემო	75
რეგიონის მაკრო მახასიათებლები	78
დემოგრაფია	78
შრომის ბაზარი – განათლება და უნარები	82
პრიორიტეტული დარგები	87

მცხეთა-მთიანეთი

რეგიონის ზოგადი აღწერა	95
მდებარეობა	95
ადმინისტრაციული მოწყობა	95
ბუნებრივი გარემო	95
რეგიონის მაკრო მახასიათებლები	97
დემოგრაფია	97
პრიორიტეტული დარგები	103

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

რეგიონის ზოგადი აღწერა	107
მდებარეობა	107
ადმინისტრაციული მოწყობა	107
ბუნებრივი გარემო	108
რეგიონის მაკრო მახასიათებლები	110
დემოგრაფია	110
პრიორიტეტული დარგები	116

ქვემო ქართლი

რეგიონის ზოგადი აღწერა	120
მდებარეობა	120
ადმინისტრაციული მოწყობა	120
ბუნებრივი გარემო	121
რეგიონის მაკრო მახასიათებლები	123
დემოგრაფია	123
პრიორიტეტული დარგები	130

სამეგრელო-ზემო სვანეთი

რეგიონის ზოგადი აღწერა.....	133
მდებარეობა.....	133
ადმინისტრაციული მოწყობა.....	133
ბუნებრივი გარემო.....	134
რეგიონის მაკრო მახასიათებლები.....	136
დემოგრაფია.....	136
პრიორიტეტული დარგები.....	142
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები.....	143
სხვა სახის მომსახურება.....	143
ტრანსპორტირება და დასაწყობება.....	143
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები.....	144
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა.....	144
დამამუშავებელი მრეწველობა.....	144

კახეთი

რეგიონის ზოგადი აღწერა.....	146
მდებარეობა.....	146
ადმინისტრაციული მოწყობა.....	146
ბუნებრივი გარემო.....	147
ტურიზმი და კურორტები.....	147
ბუნებრივი რესურსები.....	148
რეგიონის მაკრო მახასიათებლები.....	148
დემოგრაფია.....	148
პრიორიტეტული დარგები.....	155

შეჯამება

პრიორიტეტული დარგები საქართველოს 9 რეგიონში.....	160
კვლევის არგუმენტაცია.....	161
რეკომენდაციები მიკროგრანტების პროგრამისთვის.....	162
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ევროპული მიდგომა.....	162
მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირში.....	163

დანართები

დანართი 1. პრიორიტეტული დარგები, გურია.....	166
დანართი 2. პრიორიტეტული დარგები, იმერეთი.....	168
დანართი 3. პრიორიტეტული დარგები, შიდა ქართლი.....	170
დანართი 4. ჩატარებული ინტერვიუები, გურია, იმერეთი, შიდა ქართლი.....	172
დანართი 5. პრიორიტეტული დარგების ჩამონათვალი, სამცხე-ჯავახეთი.....	173
დანართი 6. ჩატარებული ინტერვიუები, სამცხე-ჯავახეთი.....	174
დანართი 7. პრიორიტეტული დარგები და ქვედარგები აჭარაში (ბათუმის გარდა).....	175
დანართი 8. პრიორიტეტული დარგები და ქვედარგები ბათუმში.....	177
დანართი 9. ჩატარებული ინტერვიუები, აჭარა.....	179
დანართი 10. პრიორიტეტული დარგების ჩამონათვალი, მცხეთა-მთიანეთი.....	180
დანართი 11. ჩატარებული ინტერვიუები, მცხეთა-მთიანეთი.....	181
დანართი 12. პრიორიტეტული დარგები, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.....	181

დანართი 13. ჩატარებული ინტერვიუები, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	182
დანართი 14. პრიორიტეტული დარგები, ქვემო ქართლი	182
დანართი 15. ჩატარებული ინტერვიუები, ქვემო ქართლი	183
დანართი 16. პრიორიტეტული დარგები, სამეგრელო-ზემო სვანეთი	184
დანართი 17. ჩატარებული ინტერვიუების ჩამონათვალი, სამეგრელო-ზემო სვანეთი	185
დანართი 18. პრიორიტეტული დარგები.....	186
დანართი 19. ჩატარებული ინტერვიუები.....	187
დანართი 20. ლიტერატურა	187

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, საქართველოს რეგიონებში გამოავლინოს პრიორიტეტული დარგები სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კომპონენტისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევა თვისობრივი და რაოდენობრივი კომპონენტების გამოყენებით ჩატარდა.

პირველი ეტაპი: მრავალჭრილიანი ანალიზი

თითოეულ რეგიონში კვლევა სამეტაპიანი მიდგომით ჩატარდა. პირველ ეტაპზე ყველა რეგიონი რამდენიმე ქრთში გაანალიზდა. ამ ეტაპზე კვლევის მთავარი მიზანი იყო თითოეულ ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეების აღმოჩენა და იმის გაანალიზება, თუ როგორ აისახება ეს ძლიერი თუ სუსტი მხარეები რეგიონში სამეწარმეო-ეკონომიკურ აქტივობაზე.

მრავალჭრილიანი ანალიზის კომპონენტები:

- მდებარეობა
- დემოგრაფია
- ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა
- რესურსები
- შრომის ბაზარი
- განვითარების პოლიტიკა
- ინფრასტრუქტურა

მეორე ეტაპი: დარგების შეფასება სპეციალური მოდელით

მეორე ეტაპზე რეგიონის ბიზნესაქტივობა გაანალიზდა. ამ ეტაპის მიზანი იყო გამოვლენილიყო ის დარგები, რომლებიც ყველაზე კარგად ვითარდება სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, ეკონომიკურ საქმიანობას შემდეგ დარგებად ჰყოფს:

- A. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
- B. სამთომოპოვებითი მრეწველობა
- C. დამამუშავებელი მრეწველობა
- D. ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება
- E. წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები
- F. მშენებლობა
- G. საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
- H. ტრანსპორტი და დასაწყობება
- I. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
- J. ინფორმაცია და კომუნიკაცია
- K. საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
- L. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები

- M. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
- N. ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
- O. სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება
- P. განათლება
- Q. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
- R. ხელოვნება, გართობა და დასვენება
- S. სხვა სახის მომსახურება
- T. შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის
- U. ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები

კვლევის მეორე ეტაპზე დარგების ანალიზი ამ კლასიფიკაციის გამოყენებით ჩატარდა. სპეციალურად კვლევის ამ ეტაპისთვის შემუშავდა მოდელი, რომლითაც თითოეული დარგი სხვადასხვა კრიტერიუმით შეფასდა. კრიტერიუმების შემუშავებისას „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კომპონენტის პრიორიტეტებით ვიხელმძღვანელებთ და დარგები შემდეგი კრიტერიუმებით შეფასდა:

- დასაქმება
- დამატებული ღირებულება
- ბრუნვა
- შუალედური მოხმარება
- ინვესტიციები
- დარგში კომპანიების რაოდენობა
- საშუალო თვიური ხელფასი

იმისათვის, რომ დარგების შეფასებისას გათვალისწინებულიყო როგორც მათი განვითარების ამჟამინდელი დონე, ისე – პოტენციალი, კრიტერიუმები რაოდენობრივ მაჩვენებლად ორი მახასიათებელი განისაზღვრა: წილი – დარგის განვითარების ამჟამინდელი დონის შესაფასებლად და ზრდა – დარგის განვითარების პოტენციალის შესაფასებლად. იმის გამო, რომ მოდელისთვის შერჩეულ კრიტერიუმებს მხოლოდ ერთი მახასიათებელი ჰქონდათ (არასრული მონაცემის ან გაუზომვადობის გამო), ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი კრიტერიუმი კრიტერიუმთა ორ კლასად დაჯგუფდა. კრიტერიუმთა პირველ კლასში ის კრიტერიუმები შევიდა, რომლებიც ორი მახასიათებლით შეფასდა და მეორე კლასი, სადაც ერთმახასიათებლიანი კრიტერიუმები შევიდა.

I კლასის კრიტერიუმები:

- დასაქმება;
- დამატებული ღირებულება;
- ბრუნვა;
- შუალედური მოხმარება.

II კლასის კრიტერიუმები:

- ინვესტიციები;
- კომპანიების რაოდენობა დარგში;
- საშუალო თვიური ხელფასი.

კრიტერიუმებს, „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კომპონენტის პრიორიტეტების გათვალისწინებით, წონები მიენიჭა. წონები, თავდაპირველად კრიტერიუმთა კლასებს მიენიჭათ, შემდეგ – კრიტერიუმებს და ბოლოს – კრიტერიუმების მახასიათებლებს. საბოლოოდ წონები ასე განაწილდა:

ცხრილი 1. დარგების შეფასების მოდელი, წონების განაწილება

	წონა, კლასის	წონა, კრიტერიუმის	კრიტერიუმი	მახასიათებელი	წონა, მახასიათებლის	წონა, საბოლოო
I კლასის კრიტერიუმები	0.6	0.40	დასაქმება	ზრდა*	0.3	0.072
				წილი**	0.7	0.168
		0.30	დამატებული ღირებულება	ზრდა	0.3	0.054
				წილი	0.7	0.126
		0.20	ბრუნვა	ზრდა	0.3	0.036
				წილი	0.7	0.084
		0.10	შუალედური მოხმარება	ზრდა	0.3	0.018
				წილი	0.7	0.042
II კლასის კრიტერიუმები	0.4	0.50	ინვესტიციები	წილი***	N/A	0.2
		0.33	კომპანიების კონცენტრაცია დარგში	წილი	N/A	0.13
		0.17	საშუალო თვიური ხელფასი	ზრდა	N/A	0.067

* წილი – 2017 წელს დარგის წილი მთლიან ინდიკატორში

** ზრდა – დარგის საშუალო ზრდა სამი წლის მანძილზე – 2015-2017

*** ინვესტიციის წილი – დარგის 2015-2017 წლების ჯამური ინვესტიციის წილი ამავე წლების მთლიან საშუალო ინვესტიციაში (გურიაში)

დარგების კრიტერიუმების მიხედვით შესაფასებლად გაანალიზდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მომზადებული მონაცემები.

დარგების ამ მოდელის მიხედვით შეფასების შემდეგ, კვლევის ამავე, მეორე ეტაპზე, მოდელის მიერ გამოვლენილი წამყვანი დარგები (5) კიდევ უფრო ღრმად შევისწავლეთ. ამ სამუშაოს შესრულებისას მთავარ ორიენტირად გამოვიყენეთ მაჩვენებელი, თუ დარგის ქვედარგზე ამ დარგის კომპანიების საერთო რაოდენობის რა წილი მოდის და ქვედარგები ამ მაჩვენებლის მიხედვით გამოვავლინეთ. კომპანიების რაოდენობა შემდგომი ანალიზისთვის ორი მთავარი მიზეზის გამო შეირჩა: 1) რეგიონული სტატისტიკა საკმაოდ მწირია, როდესაც საქმე დეტალიზაციას ეხება და კომპანიების რაოდენობა ის იშვიათი მონაცემია, რომელიც შეიძლება, სხვადასხვა ქრილში დავინახოთ, მათ შორის, დარგის, ქვედარგის და საქმიანობის კიდევ უფრო ვიწრო ქრილშიც კი; 2) კომპანიების რაოდენობა მიუთითებს დარგის მიერ ბაზრისთვის შეთავაზებულ პროდუქტებზე თუ სერვისებზე მოთხოვნის გარკვეულ დონეს, ასევე, დარგის გარშემო კლასტერის განვითარების შესაძლებლობაზე.

კვლევის ძირითადი შეზღუდვაა ის, რომ ანალიზი ჩატარდა 2015-2017 წლის მონაცემების მიხედვით, რადგან 2018 წლის რეგიონული სტატისტიკა ჯერ არ არის დამუშავებული და მას საქსტატი მხოლოდ 2019 წლის ოქტომბერში გამოსცემს. ამ შეზღუდვას გარკვეულწილად კომპანიების რეგიონების მიხედვით განაწილების ახალი, 2019 წლის 1 თებერვლის სტატისტიკის არსებობა აბალანსებს. ასევე, კვლევის კიდევ ერთი შეზღუდვაა ის, რომ კომპანიების გარკვეული ნაწილის საქმიანობა და ზომა არ არის აღრიცხული.

მესამე ეტაპი: ჰოლისტური ანალიზი

ამ შეზღუდვების გასაწვრივებად და პრიორიტეტული დარგების ჰოლისტურად გამოსავლენად ჩატარდა კვლევის მესამე ეტაპი. კვლევის მესამე ეტაპზე შეფასების მოდელით გამოვ-

ლენილი დარგები გადაიხედა, ჩაუტარდა ეგრეთწოდებული რეალურობის ტესტი, დარგები გაანალიზდა კვლევის პირველ ეტაპზე მიღებული შედეგების, დამატებითი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით და თითოეულ რეგიონში პრიორიტეტული დარგები მხოლოდ ამგვარი ანალიზის შედეგად გამოვლინდა.

კვლევის ინსტრუმენტები:

როგორც ამ ქვეთავის დასაწყისში ითქვა, კვლევის სხვადასხვა ეტაპზე თვისობრივი და რაოდენობრივი ინსტრუმენტები გამოვიყენეთ.


თვისებრივი ინსტრუმენტები:

- სამაგიდე კვლევა რეგიონის სხვადასხვა ქრთლში ანალიზისთვის – გავეცანით რეგიონების განვითარების სტრატეგიებს, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, ანგარიშებს, დაკავშირებულ ლიტერატურას და მონაცემებს;
- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები – რეგიონში არსებული შესაძლებლობების და გამოწვევების გამოსავლენად ინტერვიუები ჩატარდა „აწარმოე საქართველოს“ წარმომადგენლებთან, რეგიონის რწმუნებულებთან (იმერეთში – რწმუნებულის მოადგილესთან), კერძო კომპანიებთან და ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებთან.

რაოდენობრივი ინსტრუმენტები

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების შეგროვება;
- მოდელის შემუშავება;
- მონაცემების დამუშავება მოდელში.

გუგო



რეგიონის ზოგადი აღწერა

მდებარეობა

გურიის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ძირითადად, კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს. გურიას დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთით – აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, აღმოსავლეთით – იმერეთი, ხოლო ჩრდილოეთით – სამეგრელო. გურიის ფართობია 2033 კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 2,9%¹.

გურიის ადმინისტრაციული მოწყობა

გურიაში სამი თვითმმართველი ერთეულია: ლანჩხუთი, ოზურგეთი და ჩოხატაური. რეგიონულ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქ. ოზურგეთშია განთავსებული. გურიაში 2 ქალაქი (ლანჩხუთი, ოზურგეთი), 5 დაბა და 189 სოფელია.

ბუნებრივი გარემო

გურიის რეგიონი ბუნებრივი პირობების მიხედვით ორ, ბარისა და მთის ნაწილად იყოფა. გურიის დაბლობი ნოტიო-სუბტროპიკული ჰავით ხასიათდება. ზაფხული გურიის ვაკეებზე ზომიერად ცხელია, ხოლო ზამთარი – ზომიერად გრილი. მთის ჰავისთვის დამახასიათებელია ჰაერის სისუფთავე. მთის ჰავის თავისებურება – გამორჩეული სამკურნალო თვისებები განპირობებულია ზღვისა და მთის ჰაერის შერწყმით. მთაში ზაფხული ზომიერად თბილია, ხოლო ზამთარი – ზომიერად ცივი.²

კურორტები

გურიის მხარე გამოირჩევა კურორტების სიმრავლით, რომელთაგან ნაწილი ზღვის, ნაწილი კი მთის კურორტია:

ბახმარო მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, აჭარა- გურიის მთაგრეხილზე, ზღვის დონიდან 2050 მეტრზე. ჩოხატაურის ცენტრიდან ბახმარო დაშორებულია 52 კილომეტრით. ბახმაროს ტერიტორია ერთგვარ ქვაბულს წარმოადგენს, რომელიც გარშემორტყმულია ნაძვისა და სოჭის საუკუნოვანი მარადმწვანე მცენარეებით, შემდეგ კი ალპური ზონა იწყება. აღმოსავლეთიდან ბახმაროს დაჰყურებს ლენჭის სერი (2505 მეტრი), რომელსაც ტურისტები „მზის

¹ წყარო: www.guria.gov.ge

² <http://guria.gov.ge/geo/static/161>

ამოსვლის“ მთას ეძახიან და ხშირად ტკბებიან ამ სანახაობით. სამხრეთ-დასავლეთით ბახმაროს დაჰყურებს საქსრიას ქედი, პატარა ბახმაროს მწვერვალით, რომელსაც „მზის ჩასვლის“ მთასაც უწოდებენ (2250 მ). აქედან, როცა ნათელი ხილვადობაა, განსაკუთრებით შთამბეჭდავი სანახავია „მზის ჩაძირვა“ შავ ზღვაში. დასავლეთის მხრიდან კურორტის ტერიტორია გახსნილია, რაც ხელს უწყობს ხეობაში ზღვის ბრიზების შემოჭრას. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს ზღვისა და მთის კლიმატის საუკეთესო შეხამებას. ზამთარში თოვლის საფარი ძალიან მაღალია (4-5 მ) და რჩება 6 თვემდე, რაც სათხილამურო კურორტის განვითარებისთვის ძალზე ხელსაყრელია. ბახმაროს კლიმატი ეფექტური სამკურნალო საშუალებაა სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ. აღსანიშნავია, რომ ბახმარო ზამთარშიც მასპინძლობს ტურისტებს. ბახმაროში ყოველ წელს, ფერიცვალების დღესასწაულზე ტრადიციული დოღი ტარდება.³

გომისმთა წარმოადგენს საკურორტო ადგილს, რომელსაც გააჩნია მინერალური წყლები, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით.

ნაბეღლავი ბალნეოლოგიური კურორტია და მდებარეობს ზღვის დონიდან 400 მეტრზე, ანკარა მდინარის გუბაზეულის სანაპიროზე. იგი განთქმულია უნიკალური კლიმატური და ბალნეოლოგიური პირობებით. აქ გამოედინება ძვირფასი მინერალური წყალი "ნაბეღლავი".

ურეკი კოლხეთის დაბლობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. კურორტის კლიმატი ნესტიანი სუბტროპიკულია. ზამთარი ძალიან რბილია (5.8 გრადუსი იანვარში). ზღვა, მზე, წვრილი „ხავერდოვანი“ ქვიშა, რომელსაც მაგნიტური თვისებები აქვს, კურორტს საუკეთესო დასვენებისა და მკურნალობის თვისებებს ანიჭებს. ურეკის ბუნებრივი მონაცემები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გულ-სისლძარღვთა დაავადებების, პერიფერიული ორგანოების და საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების სამკურნალოდ როგორც მოზარდებში, ასევე ბავშვებში.

შეკვეთილი მდებარეობს შავი ზღვის ნაპირას, მდინარე ნატანების შესართავთან, ზღვის დონიდან 2 მ.-ზე. ოზურგეთიდან 21 კმ. ქვემო ნატანებიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 3 კმ. აქ მდებარეობს „ბლექ სი არენა“ (ინგლ. Black Sea Arena) — ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზი საქართველოში, რომელიც გაიხსნა 2016 წლის 31 ივლისს და იტევს 10 000-მდე მაყურებელს. ასევე, მერიოტის ქსელის ერთ-ერთი სასტუმრო, „პარაგრაფი შეკვეთილი“⁴.

გრიგოლეთი მდებარეობს ლაჩხუთის მუნიციპალიტეტში, ცენტრიდან 25 კმ-ის, ხოლო ფოთიდან 12 კმ-ს მანძილზე. რელიეფი ვაკეა, ზღვის სანაპიროს მიჰყვება ქვიშიანი პლაჟის ფართო ზოლი. ქვიშა შეიცავს დიდი რაოდენობით მაგნიტური რკინის ნაწილაკებს. კლიმატი ზღვისპირა, სუბტროპიკულია. კურორტის კლიმატი სასარგებლოა ნერვული სისტემისა და ფილტვების ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ.⁵

ბუნებრივი რესურსები

წყლის რესურსები და ენერგეტიკული პოტენციალი. რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით – მდინარეებით, ტბებით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლებით, მინერალური წყლებით და თერმული წყლის რესურსით. გურიაში სულ 25 საშუალო და მცირე ზომის მთის მდინარე ჩამოედინება, რომელთა საერთო სიგრძე 598 კმ-ს შეადგენს, ხოლო აუზების საერთო ფართობი 1000 კვ.კმ-ზე მეტია. რეგიონში არის 3 ტბა (საერთო ფართობი რეგიონში – 3,5 კმ²) და 3 წყალსაცავი (საერთო ფართობი – 4,4 კმ²). 2011 წლის წყალაღების მონაცემების თანახმად, რეგიონში მოპოვებული წყლის რესურსების (მიწისქვეშა და ზედაპირული წყალი) 96% გამოიყენება ჰიდროენერგეტიკაში, 2% სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ხოლო დანარჩენი – სამრეწველო დანიშნულებით, სარწყავად და რეკრეაციული დანიშნულებით. გურია ესაზღვრება ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის შავ ზღვას.

გურიაში მოიპოვება მინერალური წყლები – ნაბეღლავი (მარაგი – 101,9 მ³ დღე-ღამეში) და გულიანი (მარაგი დაუდგენელია). ნაბეღლავის წარმოება კარგად არის განვითარებული და რეგიონის ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს. რეგიონში არსებული მინერალური წყლის რესურსის რეკრეაციული და საკურორტო დანიშნულებით გამოყენება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, შეზღუდულია. ასევე გამოყენებულია თერმული წყლების ენერგეტიკული პოტენციალი. მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული რეგიონის ტერიტორიაზე არსებული, უნიკალური ბალნეოლოგიური თვისებებით ცნობილი შავი ზღვის სანაპირო ზონის პოტენციალი (ურეკი-შეკვეთილი-ნატანების მაგნიტური ქვიშის პლა-

³ <http://guria.gov.ge/geo/static/242>

⁴ <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98>

⁵ <http://guria.gov.ge/geo/static/257>

უები), რასაც, არსებითად, წყალგაყვანილობის, საკანალიზაციო სისტემებისა და შესაბამისი გამწმენდი ნაგებობების არარსებობა განაპირობებს.

წყლის რესურსების პოტენციური ჰიდროენერგეტიკაში არ არის ეფექტიანად გამოყენებული. მხარის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები იძლევა შესაძლებლობას, გურიის მდინარეებზე აშენდეს მცირე ჰესების კასკადები, საერთო სიმძლავრეებით 80-100 მგვტ, რაც არა მხოლოდ დააკმაყოფილებს მხარის ენერგეტიკულ მოთხოვნას, არამედ შესაძლებელი იქნება ელექტროენერგიის რეალიზაციაც და ამით, შემოსავლების დამატებითი წყაროს შექმნა. გურიის ტერიტორიაზე ორი მოქმედი ჰესია – ბჟუჟჰესი (მდინარე ბჟუჟზე) და აჭჰესი (მდინარე აჭზე), რომელთა საერთო სიმძლავრე 12,8 მგვტ-ს შეადგენს. ორივე ჰესი ჩართულია საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში. 2007 წლიდან აქტიურად დაიწყო „ბახვი ჰიდრო პაუერის“ კასკადური ჰესების მშენებლობა, რომელიც 6 ერთეულისაგან შედგება და საერთო ჯამში 60 მგვტ-ს გამოიმუშავებს.

რეგიონში არსებობს ალტერნატიული ენერგორესურსები. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ქარების მიმართულება, სიჩქარე და ხანგრძლივობა ქმნის გაბატონებული ქარის რესურსის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას. ქარის ტურბინას შეუძლია წელიწადში, საშუალოდ, 127 დღე-ღამის განმავლობაში იმუშაოს. მზის ენერგიის რესურსი, ცხელი წყლით მომარაგების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მცირე ზომის სასტუმროებში, საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობებში. რეგიონში არის ბიოგაზის, ბიომასის (თხილის და სახერხების ნარჩენები) და თერმული წყლის რესურსების ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა.

რეგიონი ასევე მდიდარია ტყის რესურსებით, რომელიც მრავალფეროვანი ტყითარგებლობის შესაძლებლობას იძლევა. გურიაში ტყეს ტერიტორიის 48% უკავია. ტყის ფონდის ფართობი 86,4 ათას ჰა-ს შეადგენს, საიდანაც ტყით 81,2 ათასი ჰა არის დაფარული. ტყის შემქმნელ ძირითად მერქნიან სახეობებს შორის, მაგარმერქნიანი ფოთლოვნებიდან რეგიონის მასშტაბით ჭარბობს წიფელი. მნიშვნელოვანი ფართობი უკავია რცხილას, აკაციას და წაბლს. წიწვოვნებიდან ჭარბობს ნაძვი, სოჭი და ფიჭვი. რბილმერქნიანი ფოთლოვნებიდან ყველაზე დიდი ფართობი უკავია მურყანს და ვერხვს. ქვეტყე და ბუჩქნარი, ძირითადად, წარმოდგენილია წყავით, შქერით და იელით. რეგიონის ტერიტორიაზე გვხვდება ასევე ბამბუკი. ტყეებისა და მისი რესურსების პოტენციალის გამოყენებას რეგიონის განვითარებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

რეგიონში, აგრეთვე, მოიპოვება **სხვადასხვა სახის წიაღისეული**. ამჟამად, რეგიონში წიაღისეული რესურსების მოპოვებაზე 74 ლიცენზიაა გაცემული. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოიპოვება ბენტონიტური თიხა, რომლის მარაგი 10 მლნ. ტონაზე მეტია. თიხის მოპოვება და დამუშავება, ამჟამად, ძალზე მცირე მოცულობით მიმდინარეობს. თიხის გადამუშავებას და პროდუქციის ექსპორტის ჩანაცვლებას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს საბიუჯეტო შემოსავლები და დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა. ტორფის საბადოს კოლხეთის პარკის ტერიტორიაზე 300 ჰა უკავია. მისგან მიიღება ორგანული სასუქი, რომელიც ნებისმიერი ტიპის ნიადაგისათვის გამოსადეგია და არის ეკოლოგიურად სუფთა (პარკის ტერიტორიაზე ტორფის მოპოვება საერთაშორისო ხელშეკრულებებით არის აკრძალული). საქართველოში აპატიტი მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტშია (სოფ. ვაკიჭვარი), სადაც ქანები 7-10% აპატიტს შეიცავს. ამავე სოფლის ტერიტორიაზე არის წითელი რკინის მადანი. აქვეა აღმოჩენილი სპილენძის ბუდობები, მცირე ოდენობით ტყვია, ვერცხლი და თუთია. კაოლინის საბადოა სოფელ მაკვანეთში, სადაც კაოლინის ფენის სიმძლავრე 0,4-დან 11 მეტრამდეა. სოფ. შემოქმედსა და გომში არის სიენიტების საბადო (სიენიტი მაგმური ქანია, რომელიც გრანიტს წააგავს და საუკეთესო საშენი მასალაა). ოქრას საბადოა სოფ. ნაგომარში, რომლის სიმძლავრე 1,5-2 მეტრი, ხოლო სამვალენტიანი რკინის ჟანგის რაოდენობა 22,33%-ია (ოქრა გამოიყენება მინერალური საღებავების დასამზადებლად). ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოიპოვება ტუფის და გრანიტის მოსაპირკეთებელი მასალა, რომელთაგან თითოეულის საერთო მარაგი 400 ათ. მ³-ს შეადგენს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებობს ასევე ოქრას წიაღისეული, რომლის მარაგი შეფასებული არ არის. კირქვის საბადო მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. კირქვა მერგელოვანია, თეთრი და რუხი ფერისაა. ნედლეული პასუხობს მოთხოვნებს სამშენებლო ჰიდრავლური კირის საწარმოებლად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშია ასევე სააგურე თიხის რამდენიმე საბადო, საბადოს თიხა ყავისფერი, მოცისფრო-რუხი და რუხი-მოლურჯო ფერისაა. ფილიფსიტშემცველი ქანების საბადო მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ქვიშა-ხრეშის საბადოებია როგორც ოზურგეთის, ისე ლანჩხუთის ტერიტორიაზე. მარაგები დამტკიცებულია როგორც ბეტონის შემავსებლის და სამშენებლო ხსნარის ნედლეული, რომელიც პასუხობს სტანდარტულ მოთხოვნებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ასევე გვხვდება ნედლი ნავთობის საბადო. წიაღისეული რესურსები არ არის დათვლილი და ამდენად, უცნობია ადგილობრივ ეკონომიკაზე მათი შემდგომი ზემოქმედების პოტენციალი.


რეგიონის მაკრო მახასიათებლები

დემოგრაფია

მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით, გურიის მოსახლეობა 110 500 ადამიანია, რაც საქართველოს მოსახლეობის 3%-ია. მოსახლეობის სიმჭიდროვით, გურიის მხარე საქართველოში მესამე ადგილზეა.

გრაფიკი 1. მოსახლეობა რეგიონების მიხედვით (%)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გურიის ყველაზე დასახლებული მუნიციპალიტეტია ოზურგეთი, სადაც მოსახლეობის 55% (61 305 ადამიანი) ცხოვრობს, მას მოსდევს ლანჩხუთი (27.87%, 30 804 ადამიანი). ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გურიის რეგიონის მოსახლეობის 16.6% (18 415 ადამიანი) ცხოვრობს.

2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით, გურიაში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 54.4-ია.

გრაფიკი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე (კაცი/კმ²)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე თბილისში 2297 ადამიანია. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ამ მაჩვენებლით ყველა რეგიონი უკიდურესად ჩამორჩება თბილისს. თბილისის მოსახლეობის სიმჭიდროვე 42 ჯერ აღემატება გურიას, 29-ჯერ – იმერეთს და 30-ჯერ – შიდა ქართლს. ამგვარი განსხვავება თბილისთან შედარებით სხვა რეგიონების ურბანიზაციის დაბალ ტემპზე მიუთითებს. მოსახლეობის მაღალ სიმჭიდროვეს თავისი უპირატესობები აქვს – მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე მეტად ვითარდება ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო სისტემა, მაღალი ეკონომიკური აქტივობაც, რადგან ბიზნესისთვის ოპერირების ხარჯი ხშირად დაბალია. როგორც ვხედავთ, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, საკვლევი რეგიონების ჩათვლით, დაბალია მოსახლეობის სიმჭიდროვე.

ქალაქში და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობა


ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შედის 4 დაბა და 24 სოფელი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში 15 ადმინისტრაციული ერთეული და 54 სოფელია. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შედის 1 დაბა და 23 სოფელი. მხარის მოსახლეობის 26,4% ცხოვრობს ქალაქებსა და დაბებში, ხოლო 73,6% სოფლებში. საქართველოში, მოსახლეობის 42,6% სოფლად ცხოვრობს⁶. ეს მაჩვენებელი აღემატება ევროპის საშუალო მაჩვენებელს – ევროპაში 2015 წელს მოსახლეობის მხოლოდ 28% ცხოვრობდა სოფლად⁷. ამ მაჩვენებლის მიხედვითაც, საქართველოში დაბალია ურბანიზაციის დონე. ხოლო გურიაში კი ამ მხრივ კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა – მოსახლეობის 73% სოფლად ცხოვრობს.

მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

გურიაში მოსახლეობის 48.22% მამაკაცია, ხოლო 51.78% ქალი. მოსახლეობა სქესის მიხედვით მსგავსად არის განაწილებული სოფლებსა და ქალაქებში: გურიის ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის 46.65% კაცია, ხოლო 53.35% – ქალია, ხოლო სოფლად, მამაკაცები მოსახლეობის 48.84%-ია, ქალები – 51.16%.


რაც შეეხება მოსახლეობის ასაკობრივ განაწილებას, გურიაში სურათი ასეთია: 0-14 წლამდე ასაკის ადამიანები მოსახლეობის 16%-ს შეადგენს, 14-64 წლამდე ადამიანები – 65%, ხოლო 65 წელზე უფროსები – 19%. საინტერესოა, როგორია მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება სქესის მიხედვით. როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს, ახალგაზრდა (0-14 წლის) და შრომისუნარიან მოსახლეობაში (15 წლიდან 65 წლამდე) კაცები ქარბობენ, ხოლო 65 წელზე უფროსებში – ქალები. ეს ტრენდი გურიის ქალაქებსა და სოფლებშიც მეორდება.

გრაფიკი 3. გურიის მოსახლეობის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით (%)



საქართველოში, ყოველ 100 შრომისუნარიან (15-64 წლის) ადამიანზე 22 65 წლის და უფროსი ასაკის ადამიანი მოდის. გურიაში კი 100 შრომისუნარიან ადამიანზე 28 ხანდაზმული ადამიანი მოდის.


გრაფიკი 5. თვითდასაქმებულების წილი დასაქმებულ მოსახლეობაში, გურია, 2017 (%)



როგორც გრაფიკიდან ჩანს, გურიაში თვითდასაქმების მაჩვენებელი საქართველოში ყველაზე მაღალია.


ქვემოთ მოცემული გრაფიკი კი აჩვენებს, რომ გურიაში ყველაზე დაბალია დაქირავებით დასაქმებულთა წილი.

გრაფიკი 6. დაქირავებით დასაქმებულთა წილი, გურია, 2017 (%)




საინტერესოა, როგორ აისახება დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და დასაქმების სტრუქტურა მოსახლეობის შემოსავლებზე. საქსტატის 2018 წლის მონაცემებით, გურიაში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია საქართველოში, თანაც აგრეგირებული მონაცემით – როგორც ქვემოთ, გრაფიკში ჩანს, გურიაში, სამცხე-ჯავახეთში და მცხეთა-მთიანეთში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 242.8 ლარია. ამ მაჩვენებლით ამ სამ რეგიონს მხოლოდ ქვემო ქართლი ჩამორჩება.

გრაფიკი 7. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 2018 (ლარი)



როგორც დასაქმების სტრუქტურაში ვნახეთ, გურიაში მაღალია დასაქმების წილი თვითდასაქმებულების ხარჯზე. იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად ეფექტურია თვითდასაქმებულების შრომა, უნდა ვნახოთ, შემოსავლების რა ნაწილი მიიღება თვითდასაქმებით. ქვემოთ, გრაფიკი გვიჩვენებს, რომ გურიაში, ერთ სულ მოსახლეზე მიღებული შემოსავლების უმეტესი ნაწილი დაქირავებული შრომიდან მიიღება.


გრაფიკი 8. ფულადი და არაფულადი შემოსავლების წყაროები, გურია, 2017 (%)



გურიის მოსახლეობის რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, გარდა ერთ სულ მოსახლეზე მიღებული შემოსავლისა, თავად შემოსავლების სტრუქტურაც მიუთითებს. შემოსავლების ყველაზე დიდი წყარო, დაქირავებული შრომის შემდეგ, პენსიები, სტიპენდიები და დახმარებებია.

იგივე სურათზე მიუთითებს შემწეობის მიღებაზე რეგისტრირებულ ოჯახთა რაოდენობა გურიაში. გურიაში, რაჭა-ლეჩხუმის შემდეგ, ყველაზე მაღალია შემწეობის მიღებაზე რეგისტრირებულ ოჯახთა წილი შინამეურნეობებში.

გრაფიკი 9. შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი შინამეურნეობებში რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქსტატი, ჯანდაცვა და სოც. უზრუნველყოფა 2017;
 საქსტატი - მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014.

როგორც გრაფიკიდან ვხედავთ, გურიაში, შინამეურნეობების თითქმის ნახევარი (45.7%) რეგისტრირებულია შემწეობის მისაღებად.

გურიის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რთულია. მიუხედავად დასაქმების მაღალი მაჩვენებლისა, სტატისტიკა აჩვენებს, რომ შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე გურიაში გამორჩეულად დაბალია, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის კეთილდღეობას. გურიაში მაღალია პენსიაზე, სოციალურ შემწეობაზე და სხვა ტიპის სუბსიდიებზე დამოკიდებულება, რაც ისევ და ისევ, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს. მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარი უნარი, ცხადია, უარყოფითად აისახება ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებზე და, ამავდროულად, ეს სურათი გურიაში ეკონომიკური აქტივობის გაძლიერების მწვავე საჭიროებაზეც მეტყველებს.

შრომის ბაზარი – განათლება და უნარები

გურიაში 101 საშუალო სკოლა და ერთი პროფესიული კოლეჯია. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, გურიაში ის არ არსებობს. საქსტატის მონაცემებით, 2018/19 სასწავლო წლისთვის გურიაში ერთ სკოლაზე საშუალოდ 141 მოსწავლე მოდიოდა, მაშინ როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი 252-ია. გურია ამ მხრივ მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმსა და მცხეთა-მთიანეთს უსწრებს.

საქსტატის მიხედვით, გურია/რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთსა და მცხეთა-მთიანეთში, ერთად, 4 სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელია, ხოლო ასეთი კერძო სასწავლებელი არ არსებობს. გურიაზე ცალკე ასეთი მონაცემი საჭაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

განათლების სამინისტროს ვებგვერდზე მოცემული პროფესიული სასწავლო დაწესებულებების სიის მიხედვით გურიაში ერთი სახელმწიფო კოლეჯია. კოლეჯი სახელწოდებით „ჰორიზონტი“ ოზურგეთში მდებარეობს. კოლეჯი შემდეგ სპეციალობებში ამზადებს სტუდენტებს: მზარეული, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, მეტყვე, მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი, ტრაქტორისტ-მემანქანე, გიდი, საგალი ნაწილის ტექნიკოსი, ელექტრიკოსი, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი, ბუღალტერია, სტილისტი(ქალისა და მამაკაცის ვარცხნილობა), სასტუმრო საქმის მწარმოებელი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი, საკერავი მანქანის მექანიკოსი, საკერავი მანქანის ოპერატორი, სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვა, შემდუღებელი, კალატობი.

გურიის მუნიციპალიტეტები მცირე მანძილით (40-45 წუთი, ავტომობილით) არიან დაშორებული ქობულეთიდან, ფოთიდან, ურეკიდან და სამტრედიაიდან. მოსახლეობას შეუძლია, სხვადასხვა პროფესიას ამ ქალაქებში დაეუფლოს. ჩვენ შევისწავლეთ, რა პროფესიული სასწავლებლებია ქობულეთში, ფოთში, ურეკსა და სამტრედიაში. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ამ

ქალაქებში მხოლოდ ორი კოლეჯია: „ახალი ტალღა“ (ქობულეთი) და საზ. კოლეჯი „ფაზისი“ (ფოთი). კოლეჯში „ახალი ტალღა“ შემდეგი დუალური პროგრამებია: კულინარიის ხელოვნება, მეხილეობა (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები/კაკლოვანი კულტურები), შედუღება, მშენებლობის წარმოება, იატაკისა და ფილის სამუშაოები, სამღებრო სამუშაოები, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, წყალმომარაგების სისტემები, სასტუმრო მომსახურება.

პროფესიული სასწავლებლის „ფაზისის“ წარმომადგენელთან ინტერვიუმ უჩვენა, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულები ხდებიან როგორც თვითდასაქმებულები, ისე დაქირავებით მომუშავენი. თვითდასაქმების თვალსაზრისით მაღალი მოთხოვნაა სტილისტის და ბუღალტრის პროფესიებზე, ხოლო ორგანიზაციაში დასაქმების მხრივ აიტი სპეციალისტის, მოლარის, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიებია პოპულარული.

გურიაში სახელმწიფო რწმუნებული, ბატონი ზურაბ ნასარიძე წერილობით ინტერვიუში ამბობს: „ერთ-ერთ გამოწვევად შეიძლება განვიხილოთ სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია, რაც თავის მხრივ იწვევს მუშახელის გადინებას, სოფლების დაცარიელებასა და განვითარების შეჩერებას. მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე პროფესიული განათლებაც, ვინაიდან ინვესტიციის განხორციელების შემთხვევაში, ინვესტორი პირველ რიგში იკვლევს ადგილზე პროფესიული კადრების არსებობას. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს მხარდაჭერით იგეგმება ობურგეტში მოქმედი პროფესიული სასწავლებლის გაფართოება და მის ბაზაზე, ჩოხატაურში პროფესიული სასწავლებლის გახსნა. რომელიც მოერგება რეგიონის სპეციფიკასა და საჭიროებებს. (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, გადამამუშავებელი მრეწველობა)“.

საქსტატის უახლესი (2017) წლის მონაცემებით, 2017 წელს საქართველოში პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებული 9774 ადამიანი გახდა. მათგან მხოლოდ 5.28% მოდის გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთსა და მცხეთა მთიანეთზე. ეს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია საქართველოს რეგიონებში. თუ გავითვალისწინებთ რომ 5.28% რეალურად საქართველოს ოთხ რეგიონზე მოდის, თითოეულის წილი კიდევ უფრო მცირდება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ გურიაში (და დანარჩენ ხსენებულ სამ რეგიონში) პროფესიული განათლება ჯერ კიდევ არ არის ახალი უნარების შეძენის პოპულარული საშუალება.

ამ დრომდე არ არსებობს კვლევა, რომელიც შეაფასებდა საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის უნარებს რეგიონების ქრილში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის 2018 წლის ანგარიშში“⁸ საქართველოში, უნარების მხრივ, მთავარი გამოწვევებია პროფესიული განათლების ხარისხი, სასწავლებლების კურსდამთავრებულთა უნარები, მოსახლეობის ციფრული უნარები და კვალიფიციური მუშახელის მოძიება. ამ კრიტერიუმებით საქართველოს, 140 ქვეყანას შორის, 131-ე, 123-ე, 101-ე და 111-ე ადგილებზეა, შესაბამისად.

ერთადერთი კვლევა, რომელიც მწირ ინფორმაციას იძლევა, თუ რა უნარების დეფიციტია გურიაში 2015 წელს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევაა. ამ კვლევის მიხედვით, გურიაში ყველაზე დეფიციტურია შემდუღების და სასოფლო სამეურნეო დარგის პროფესიები.

დღევანდელ სამყაროში განმსაზღვრელია კომპიუტერული და ზოგადად, ციფრული უნარები. როგორც ზემოთ ითქვა, არ არსებობს კვლევა, რომელიც აფასებს საქართველოში, განსაკუთრებით მის რეგიონებში, შრომისუნარიანი მოსახლეობის ამგვარ უნარებს (გარდა მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის ანგარიშისა). საკვლევ რეგიონებში ციფრულ უნარებზე ან მათი შეძენის შესაძლებლობაზე წარმოდგენის შესაქმნელად საქსტატის მონაცემებიც მწირია რეგიონულ ქრილში. ძირითადი რეგიონული მონაცემია ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი. 2018 წელს ეს მაჩვენებელი სამი გაერთიანებული რეგიონისთვის – ქვემო ქართლი, გურია, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა მთიანეთი 57.5% იყო.


გურიის შრომის ბაზარი იმავე სირთულეებით ხასიათდება, რითაც საქართველოს შრომის ბაზარი, ზოგადად: ცოდნის შეძენის შესაძლებლობების სიმწირე, კვალიფიციური მუშახელის სიმწირე, ციფრული უნარების არქონა. გარდა ამისა, გურიაში დემოგრაფიული მდგომარეობა კიდევ უფრო ამძიმებს შრომის ბაზარს. როგორც გურიის რეგიონული განვითარების სტრატეგია ამბობს, „რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი გურიაში საცხოვრებლად არ ბრუნდება“. დარგების განვითარების პოლიტიკის შემუშავების პარალელურად აუცილებელია, შეიქმნას ამ დარგებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების მიღების შესაძლებლობა, მაგალითად, პროფესიული განათლების ცენტრები.

⁸ Global Competitiveness Report 2018, World Economic Forum

ბიზნესაქტივობა გურიაში

გურიაში, საქსტატის 2019 წლის 1 თებერვლის მონაცემებით 4531 საწარმოა (გარდა სახელმწიფო, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და არაკომერციული საწარმოსი). მათგან 94.68% მცირეა. ქვემოთ გრაფიკზე მოცემულია კომპანიების განაწილება ზომის მიხედვით.

გრაფიკი 10. საწარმოები ზომის მიხედვით (%)



ამასთან, საწარმოთა უმეტესობის, 76%-ის საკუთრების ფორმაა „ინდივიდუალური მეწარმე“, რაც არ არის გასაკვირი, იმის გათვალისწინებით, რომ გურიაში კომპანიათა 90%-ზე მეტი მცირე ზომისაა. საქსტატის ახალი კლასიფიკაციით ბიზნესი მცირეა, თუ მისი წლიური ბრუნვა არ აღემატება 12 მლნ. ლარს, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა – 50-ს.

გურიაში, ბიზნესის აქტივობა, ძირითადად, მცირე და საშუალო ბიზნესით არის განპირობებული. საქსტატის უახლესი, 2017 წლის, ბიზნესმონაცემები მოყვანილია ქვემოთ, ცხრილში.

ცხრილი 2. ბიზნესმონაცემები, 2017, გურია

გურია, ბიზნესინდიკატორები						
	ბრუნვა	დამატებითი ღირებულება	შუალედ. მოხმარება	ინვესტიციები	დასაქმება	საშუალო თვიური ხელფასი
მსხვილი	6.59%	9.74%	9.6%	2.17%	10%	837.6
საშუალო	32.35%	0.438964242	46.97%	84.78%	22.80%	998.3
მცირე	61.05%	0.464241677	43.39%	13.04%	67.20%	358.1

წყარო: საქსტატი, რეგიონული სტატისტიკა

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ბრუნვის და დასაქმებულების ყველაზე დიდი წილი მცირე ბიზნესზე მოდის. რაც შეეხება დამატებით ღირებულებას და შუალედურ მოხმარებას, აქ მცირე და საშუალო ბიზნესი თანაბრად აქტიურობენ და ჯამში ამ მაჩვენებლების 90% ამ ორ სეგმენტზე მოდის. ხოლო ინვესტიციებში საშუალო ბიზნესი ლიდერობს. ასეთი დინამიკა ლოგიკურია – გურიაში მხოლოდ 2 მსხვილი და 16 საშუალო ზომის კომპანიაა. ხოლო საშუალო თვიური ხელფასი ყველაზე მაღალი საშუალო კომპანიებში და ყველაზე დაბალი – მცირე ზომის კომპანიებში. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს გურიის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე – მცირე კომპანიებზე მოდის დასაქმებულების ყველაზე დიდი ნაწილი (67%) და ამავდროულად, საშუალო თვიური ხელფასი მკვეთრად – თითქმის სამჯერ და ორჯერ – ჩამოუვარდება საშუალო და მსხვილი კომ-

პანიების საშუალო თვიურ ხელფასებს.

რაც შეეხება დარგებს, გურიაში კომპანიები დარგების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

ცხრილი 3. კომპანიების განაწილება დარგების მიხედვით

დარგი	კომპანიების წილი
საბითუმო და საცალო გაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	51.85%
ტრანსპორტი და დასაწყობება	12.58%
დამამუშავებელი მრეწველობა	9.68%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	5.22%
მშენებლობა	5.19%
სხვა სახის მომსახურება	2.63%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	2.50%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2.43%
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1.73%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1.36%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1.10%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.90%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	0.83%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.73%
განათლება	0.53%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.50%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0.13%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0.07%
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0.03%

წყარო: საქსტატი, რეგიონული სტატისტიკა

ცხრილიდან ჩანს, რომ გურიაში კომპანიების ნახევარზე მეტი გაჭრობის დარგშია, გაჭრობას მნიშვნელოვანი სხვაობით მოსდევს „ტრანსპორტი და დასაწყობება“, „დამამუშავებელი მრეწველობა“ და „განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა და საკვების მიწოდების საქმიანობა“.

გურიაში, მცირე კომპანიების უმეტესობა შემდეგ დარგებშია: გაჭრობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, დამამუშავებელი მრეწველობა. საშუალო კომპანიების უმეტესობა – დამამუშავებელი მრეწველობა, გაჭრობა, მშენებლობა. ორი მსხვილი კომპანიიდან ერთი პურის მწარმოებელია, მეორე კი ინფრასტრუქტურის მშენებელი.

ცხრილი 4. კომპანიების წილი დარგებში ზომის მიხედვით

დასახელება	გურია, სულ			
	მცირე	საშ.	მსხვ.	სულ
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1.68%	6.25%	0.0%	1.7%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1.04%	6.25%	0.0%	1.1%
დამამუშავებელი მრეწველობა	9.51%	25.00%	50.0%	9.6%
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	0.00%	0.00%	0.0%	0.0%

წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0.13%	0.00%	0.0%	0.1%
მშენებლობა	5.11%	12.50%	50.0%	5.2%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	52.17%	18.75%	0.0%	52.0%
ტრანსპორტი და დასაწყობება	12.64%	6.25%	0.0%	12.6%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	5.28%	0.00%	0.0%	5.2%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.74%	0.00%	0.0%	0.7%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	0.84%	0.00%	0.0%	0.8%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	2.45%	6.25%	0.0%	2.5%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2.45%	0.00%	0.0%	2.4%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.91%	0.00%	0.0%	0.9%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0.07%	0.00%	0.0%	0.1%
განათლება	0.54%	0.00%	0.0%	0.5%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1.31%	6.25%	0.0%	1.3%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.44%	12.50%	0.0%	0.5%
სხვა სახის მომსახურება	2.66%	0.00%	0.0%	2.6%
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	0.00%	0.00%	0.0%	0.0%
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0.03%	0.00%	0.0%	0.0%

„აწარმოე საქართველოს“ მიკრო გრანტების პროგრამით გურიაში 53 მეწარმე სუბიექტზეა გრანტი გაცემული. მათგან 44, 83%, არასასოფლო მომსახურებასა და წარმოებაზე მოდის.

პროორიტეტული დარგები

დარგების შეფასების მოდელით, რომელიც დეტალურად კვლევის მეთოდოლოგიაშია აღწერილი, დარგებმა შემდეგი შეფასება მიიღეს:

ცხრილი 5. დარგები მიღებული ქულების მიხედვით

დარგი	შეფასება
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.52572737
დამამუშავებელი მრეწველობა	0.247091024
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.246652269
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	0.246447904
მშენებლობა	0.222917647
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.189124431
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.157176436
ტრანსპორტირება და დასაწყობება	0.156136785
ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.141006529
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.106467378
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.06816285
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.049852881

ცხრილიდან ჩანს, რომ გურიაში შემდეგი დარგები გამოირჩევა განვითარების არსებული დონითა და განვითარების პოტენციალით:

1. ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
2. დამამუშავებელი მრეწველობა
3. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
4. საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
5. მშენებლობა
6. ხელოვნება, გართობა და დასვენება

დარგების და მათი ქვედარგების პოტენციალის შესაფასებლად კიდევ უფრო დეტალურად შევისწავლეთ დარგების სტრუქტურა. დეტალური ანალიზისთვის გამოვიყენეთ დარგში კომპანიების რაოდენობა. ანალიზის შედეგად ასეთი სურათი მივიღეთ:

ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები

ცხრილი 6. ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების ქვედარგები

ქვედარგი	წილი
საიტარო და სალიზინგო საქმიანობები	44%
შენობების და ტერიტორიების მომსახურება	15%
ტურისტული მომსახურება	11%

საიტარო და სალიზინგო საქმიანობა, უმეტესად, ავტოტრანსპორტის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სპეციალიზებული ტექნიკის იჯარა-ლიზინგს გულისხმობს. შენობების და ტერიტორიების მომსახურება – შენობების დასუფთავებას, ხოლო ტურისტული მომსახურება – ტურისტული სააგენტოების საქმიანობას.

დამამუშავებელი მრეწველობა

ცხრილი 7. დამამუშავებელი მრეწველობის ქვედარგები

ქვედარგი	წილი
კვების მრეწველობა	40%
რეზინის და პლასტმასის წარმოება	14%
არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	12%
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	7%
ავეჯის წარმოება	9%

დამამუშავებელი მრეწველობა უმსხვილესი დარგია და ამიტომ საჭიროა თავად ქვედარგების სტატისტიკის ნახვაც.

კვების მრეწველობაში კი კომპანიების უმეტესობა შემდეგ სამ სფეროში მოქმედებს:

- პურის და საკონდიტრო ნაწარმის წარმოება
- ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავება
- ჩაის გადამამუშავება

რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოებაში ძირითადი ნაწილი პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოებას უჭირავს. უმეტესად ამ ქვედარგში მოქმედი კომპანიები მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარას აწარმოებენ.

არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ბეტონის წარმოებას. ავეჯის მწარმოებლები კომპანიები აწარმოებენ სამრეწველო და საყოფაცხოვრე-

ბო ავეჯს, ასევე, ლეიბებს. რაც შეეხება ლითონის მზა ნაწარმს, აქ უმეტესად ლითონის კარისა და ფანჯრების წარმოებაა.

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები

ცხრილი 8. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები ქვედარგები

ქვედარგი	წილი
არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები; ტექნიკური გამოცდები და ანალიზი	61%
იურიდიული და სააღრიცხვო საქმიანობები	16%

მშენებლობა

ცხრილი 9. მშენებლობის ქვედარგები

ქვედარგი	წილი
შენობების და ნაგებობების მშენებლობა	68%
სამოქალაქო მშენებლობა	15%
სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები	17%

სამოქალაქო მშენებლობა გზების, ავტობანების და სხვა სახის ინფრასტრუქტურის მშენებლობაა. სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები კი გადახურვის, მოპირკეთების, სამღებრო და მსგავსი საქმიანობა.

ხელოვნება, გართობა, დასვენება

გურიაში ამ დარგის განვითარება, ძირითადად, „ბლექ სი არენას“, მინიატურების პარკის და ატრაქციონების პარკის „ციცინათელას“ მიერ არის განპირობებული.

ცხრილი 10. ხელოვნება, გართობა, დასვენება, ქვედარგები

ქვედარგი	წილი
შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები	26%
საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	26%

იმის გამო, რომ გურია გამორჩეულად მდიდარია მთის და ზღვის ტურისტული კურორტებით, 2018 წლიდან გურიაში შეკვეთილის და ბახმაროს კურორტები დაიტივრთა, ასევე, გურიის რეგიონული განვითარების სტრატეგიაზე, გურიის რწმუნებულთან ინტერვიუზე, გურიაში კომპანიის წარმომადგენლებთან ინტერვიუზე დაყრდობით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ მოდელის მიერ გამოვლენილი ტოპ ხუთი დარგისთვის დაგვემატებინა სასტუმროების და კაფე-რესტორნების დარგი.

საბოლოო ჯამში, გურიაში გამოვლენილი დარგების, ქვედარგების და ქვედარგების მიმართულების ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

მშენებლობა	შენობების და ნაგებობების მშენებლობა	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა
	სამოქალაქო მშენებლობა	საავტომობილო გზების და რკინიგზის მშენებლობა
		საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა
	სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები	სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები
		ელექტროტექნიკური, საზენიტო და სხვა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები
		არსებული ნაგებობების აღება და სამშენებლო მოედნის მომზადება
		მოსაპირკეთებელი სამშენებლო სამუშაოები
ხელოვნება, გართობა და დასვენება	შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები	
	საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	
	რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები	

ჩამოთვლილი დარგები სამ კლასტერში შეიძლება, გაერთიანდეს:

- სამშენებლო კლასტერი, სადაც შევლენ: თავად სამშენებლო დარგი, საიტარო-სალიზინგო მომსახურება, რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება, ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა, არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები; ტექნიკური გამოცდები და ანალიზი;
- კვების მრეწველობის კლასტერი, სადაც შევლენ: ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავება და დაკონსერვება, პურ-ფუნთუშეულის და ცომეული პროდუქტების წარმოება, კვების სხვა პროდუქტების წარმოება, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა;
- ტურისტული კლასტერი, სადაც შევლენ: კვების მრეწველობა, ხელოვნება, გართობა და დასვენება, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები.

მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის ცხრილ 8-ში ჩამოთვლილ დარგებში შესაძლებლობები არსებობს შემდეგი მიმართულებებით:

- პროდუქტის დივერსიფიკაცია
- მომსახურების დივერსიფიკაცია
- ჯვარედინი განვითარება
- ვერტიკალური ინტეგრაცია

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი:

პურის და საკონდიტრო ნაწარმის წარმოება

- შეფუთვა
- პროდუქტის დივერსიფიკაცია

- მომსახურების დივერსიფიკაცია
- ადგილზე მიტანის სერვისი
- კულინარიული ტურიზმი
- საბაზისო მარკეტინგული სერვისები (შეფუთვის, ეტიკეტების დიზაინი და სხვა)
- რძის პროდუქტების გადამამუშავება (საკონდიტრო ნედლეულისთვის)
- საკონდიტრო ნახევარფაბრიკატების წარმოება
- საკონდიტრო შიგთავსის (თხილის, შოკოლადის, ხილის) წარმოება

ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავება

ამ დარგში ძირითადად, თავმოყრილი არიან თხილის გადამამუშავებლები. სწორედ ამიტომ შესაძლებლობები შემდეგ მიმართულებებშია:

- თხილის პროდუქტების, საკონდიტრო და საკვების, წარმოება
- თხილის შეგროვება და ექსპორტი
- თხილის ნაჭუჭის გადამამუშავება საწვავად ვარგის პროდუქტად (სპეციალურ ბრიკეტებად)
- შეფუთვა
- მარკეტინგი

ჩაის გადამამუშავება

- წარმოების დივერსიფიკაცია
- ჩაის გასამდიდრებელი ყვავილების და არომატების წარმოება
- ჩაის სპეციალიზებული გასაყიდი წერტილები
- თხილის ჩაის ქურჭელი
- სანახაობრივ-ტურისტული სერვისი (მაგ. მუზეუმი)
- ჩაის მიწოდება – კაფე, რესტორანი
- მარკეტინგი
- შეფუთვა

ტურიზმის კლასტერი

- ტურისტული სააგენტოები
- ტურებისთვის და ტურიზმისთვის საჭირო ინვენტარი (თხილამური, ველოსიპედი, სკეიტ-ბორდი, კარავი და სხვა)
- სუვენირები
- ტრანსპორტირება (გაქირავება, მომსახურება)
- საოჯახო სასტუმროები
- კაფეები, ბარები, რესტორნები, ბილიარდი და მსგავსი გასართობი ადგილები
- კულინარიული და სხვა, გამოცდილების ტურიზმი
- სასტუმროს და კაფეების ინვენტარის დამზადება (საპონი, თეთრეული, ქურჭელი და სხვა)
- საკონფერენციო ტექნიკის და მომსახურების გაქირავება
- Maintenance: მებაღეობა, დალაგება-დასუფთავება, ტექნიკური მომსახურების ჯგუფები.
- მუსიკალური ინვენტარი და მომსახურება
- ვიდეო-ფოტო მოსამხურება და გაქირავება

რეზინის და პლასტმასის პროდუქტების წარმოება

- წარმოების დივერსიფიკაცია ხის კარ-ფანჯარის წარმოებით
- მინა-პაკეტის წარმოება

- ალუმინის ფანჯრების
- რიკულების
- ჟალუზების
- ტენტების წარმოება
- დაპროექტება

C2. არალიტონური მინერალური პროდუქტები

- მინის სუვენიერების წარმოება
- მინის სამკაულების წარმოება
- მინების დაფერვა და მოხატვა
- ბეტონის ავეჯი, გარე
- ბეტონის მოსაპირკეთებელი მასალები
- ბეტონის ინტერიერის დეკორაციები
- ინფრასტრუქტურული ბეტონნაკეთობები – ქები, სანიაღვრეები, ქის ფილები, ბეტონის პარაპეტები.
- მარკეტინგი
- დიზაინი

C3. ავეჯის წარმოება

- დაგეგმვა
- ავეჯის აქსესუარები
- ფარდების წარმოება
- ლოგინის თეთრეული წარმოება
- ინტერიერის დეკორაციების წარმოება
- ბალიშების და საბნების წარმოება

მინერალური რესურსები

იმერეთის რეგიონი გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული სიმდიდრეების მრავალფეროვნებით. იმერეთში აღრიცხულია 100-ზე მეტი მინერალურ-სანედლეული რესურსების საბადო, რომელთაგან ნახევარზე მეტი საექსპორტოა. ძირითადი წიაღისეული სიმდიდრეა ქიათურის მანგანუმი, რომლის ჯამური მარაგი 215 მილიონ ტონას შეადგენს მადნის ყველა ტიპის მიხედვით. მანგანუმის ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მარაგის არსებობა სავარაუდოა ყვირილისა და ზესტაფონის რაიონებში, ჩხარი-აჭამეთის, ქუთაისისა და თერჯოლის ტერიტორიებზე. მხარის მნიშვნელოვანი წიაღისეული რესურსია ტყიბულისა და გელათის ქვანახშირის, ბარიტის, ლიატონიტის, საშენ მასალათა, თიხის მარაგი. ქუთაისის მიდამოები მდიდარია ბენტონიტური თიხებით (გუმბრინი), მარმარილოს, ეკლარის კირქვის, კურსების ტეშენიტის, ბაზალეთის საბადოებით.

მრავალფეროვანია მხარის ნიადაგი. ძირითადად გავრცელებულია: ალუვიური, სუბტროპიკული ენერ ყვითელმიწა, წითელმიწა, ნეშომპალა-კარბონატული და კომრალი ნიადაგები.

რეკრეაციული რესურსები

იმერეთს წამყვანი ადგილი უჭირავს რეკრეაციულ სისტემაში, უნიკალური ბუნებრივი და ჰიდრომინერალური რესურსების, მინერალური წყლების სახით. სამკურნალო წყლებიდან გამოიყოფა: წყალტუბო, საირმე (ბაღდათის მუნიციპალიტეტი), ნუნისი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი), სულორი (ვანის მუნიციპალიტეტი), აგრეთვე საჩხერის სხვადასხვა მინერალური წყაროები. დიდი რაოდენობითაა თერმული წყლების მარაგი.

მთისა და ტყის მასივებს 250 000 ჰა ფართობი უჭირავს. იმერეთი ტურისტული თვალსაზრისით საინტერესოა კურორტებისა და გამაჯანსაღებელი ზონების გამო. რეგიონის ლანდშაფტი, სამკურნალო მინერალური წყლები ბალნეოლოგიურ კურორტებს მიმზიდველს ხდის დამსვენებელთათვის. დღეისათვის იმერეთში 53 საკურორტო და დასასვენებელი ბაზაა, მათ შორის აღსანიშნავია წყალტუბო, საირმე, ნუნისი, სიმონეთი, სულორი, საწირე, ქიათურის ხრეთი, სამტრედია, ზვარე, ამაღლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია სათაფლიის ნაკრძალი წყალტუბოს ტერიტორიაზე (345 ჰა), კარსტული გამოქვაბულითა და დინოზავრის ნაკვალევით. იმერეთში 900-ზე მეტი ისტორიული და 350-ზე მეტი ბუნებრივი ძეგლია.

იმერეთის მთავარ ტურისტულ რესურსს დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები, კურორტები და საკურორტო ზონები წარმოადგენს.

რეგიონის მაკრომახასიათალები


დემოგრაფია

მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით იმერეთის მოსახლეობა 507 038 ადამიანია, რაც საქართველოს მოსახლეობის 13.59%-ია. ამ მაჩვენებლით იმერეთის მხარე საქართველოში პირველ ადგილზეა.

ყველაზე მეტი მოსახლე ქუთაისში ცხოვრობს, სადაც 141 000 ადამიანია რეგისტრირებული, რაც რეგიონის მოსახლეობის 27.81%-ს, ხოლო საქართველოს მოსახლეობის 3.8%-ს უდრის. ქუთაისის მოსახლეობის რაოდენობა გურიის რეგიონში მაცხოვრებელთა რაოდენობაზე მეტია. შემდეგი ყველაზე დასახლებული მუნიციპალიტეტი იმერეთში ზესტაფონი მუნიციპალიტეტია 56 500 მოსახლით და იმერეთის რეგიონში 11.14%-იანი, ხოლო საქართველოს მოსახლეობის 1.5%-იანი წილით. მესამე ყველაზე დასახლებული მუნიციპალიტეტი წყალტუბოა, სადაც იმერეთის მოსახლეობის 10.14% ცხოვრობს. მათი რიცხოვნობა 51.4-ს შეადგენს და საქართველოს მოსახლეობის 1.4%-ია. მას მოსდევს სამტრედიის მუნიციპალიტეტი 45 900 მოსახლით და იმერეთის 9.05% წილით. შემდეგია ქიათურის მუნიციპალიტეტი 39 100 მოსახლით და იმერეთში 7.75%-იანი წილით. მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით მეექვსე ადგილზე იმერეთის რეგიონში საჩხერის მუნიციპალიტეტია, სადაც 36 300 ადამიანი ცხოვრობს, მას მოსდევს შესაბამისად თერჯოლის (33 300 ადამიანი), ვანის (22 800 ადამიანი), ხონის (22 200 ადამიანი), ბაღდათის (19 800 ადამიანი) და ტყიბულის (19 300 ადამიანი) მუნიციპალიტეტები. იმერეთის რეგიონში ყველაზე ნაკლები, 19 100 ადამიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს. ეს მაჩვენებელი რეგიონის 3.77%-ს, ხოლო მთლიანად საქართველოს 0.5%-ს შეადგენს.

გრაფიკი 1. მოსახლეობა რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ცხრილი 1. მოსახლეობის რაოდენობა იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში, 2018

მუნიციპალიტეტი	მოსახლეობა	წილი საქართველოში	წილი რეგიონში
იმერეთი	507 000	13.60%	100.00%
ქ. ქუთაისი	141 000	3.80%	27.81%
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	19 800	0.50%	3.91%
ვანის მუნიციპალიტეტი	22 800	0.60%	4.50%
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	56 500	1.50%	11.14%
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	33 300	0.90%	6.57%
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	45 900	1.20%	9.05%
საჩხერის მუნიციპალიტეტი	36 300	1%	7.16%
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	19 300	0.50%	3.81%
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	51 400	1.40%	10.14%
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	39 300	1.10%	7.75%
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	19 100	0.50%	3.77%
ხონის მუნიციპალიტეტი	22 200	0.60%	4.38%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე იმერეთში 79-ს უდრის და ის აჭარის შემდეგ მეორე ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონია საქართველოში.

გრაფიკი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად


როგორც ზემოთ აღინიშნა, იმერეთის რეგიონში 10 ქალაქი, 3 დაბა და 554 სოფელია. 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით რეგიონის მასშტაბით სოფლად მოსახლეობის 51% ცხოვრობს, ხოლო საქალაქო დასახლებაში 49%. მოცემული ურბანიზაციის მაჩვენებელი საქართველოს საშუალო მაჩვენებელს მცირედით ჩამორჩება, სადაც სოფელში მცხოვრები მოსახლეობის წილი 42.6%-ია.

მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

იმერეთში მოსახლეობის 48% მამაკაცია, ხოლო 52% ქალი. ქალაქში მცხოვრებთა სქესობრივი განაწილება ოდნავ განსხვავდება რეგიონის საშუალო მაჩვენებლისგან და მამაკაცების შემთხვევაში აქ 47%-ს უდრის, ხოლო ქალების შემთხვევაში 53%-ს. სოფლად მცხოვრები რეგიონის მოსახლეობის შემთხვევაში კი მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა თანაბარია.

რეგიონში მცხოვრებთაგან 14 წლამდე ასაკის ადამიანების წილი მთლიან მოსახლეობაში 17%-ს უდრის, 15-დან 65 წლამდე ასაკის მქონე მოსახლეობის 65%-ია, ხოლო 65 წლისა და უფროსი ასაკის მქონე მოსახლეობის 18%-ია.

გრაფიკი 3. მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი განაწილება იმერეთის რეგიონში, 2018 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკ 3-ის თანახმად, რეგიონში 65 წლამდე ასაკის მოსახლეობაში მამაკაცები სჭარბობენ, ხოლო 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში კი ქალები.

იმერეთის რეგიონში ასაკზე დამოკიდებულების კოეფიციენტის მიხედვით ყოველ 100 შრომისუნარიან მოსახლეზე 27 ხანდაზმული მოდის, რაც ევროპის საშუალო მაჩვენებელთან (28%) საკმაოდ ახლოსაა.

იმერეთი საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი რეგიონია (თბილისის გარდა) და მისი მოსახლეობის წილი საქართველოში 13.6%-ია. სიმჭიდროვით რეგიონი აჭარის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს ერთ კვადრატულ კილომეტრზე 79 მაცხოვრებლით. ურბანიზაციის დონის მიხედვითაც საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით იმერეთში უფრო მეტად განაწილებულია ქალაქად და სოფლად მაცხოვრებელთა რაოდენობა – 49% და 51%. ყველა ეს მაჩვენებელი კარგი საბაზისო მონაცემია იმისათვის, რომ იმერეთის რეგიონში ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი დემოგრაფიული მდგომარეობაა.


მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების უკეთ შესაფასებლად და განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე დარგების უფრო სწორად იდენტიფიცირებისათვის საჭიროა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა და მათი მსყიდველობითი უნარისა და შინამეურნეობების სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასება.

მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა


დასაქმების მიხედვით, იმერეთის რეგიონში, საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან (56.65%) მიახლოებული, 57.7%-იანი მაჩვენებელია (დასაქმებულთა წილი 15+ მოსახლეობაში). თუმცა, დასაქმებულთა შორის 57.28% თვითდასაქმებულია.

გრაფიკი 4. თვითდასაქმებულების წილი დასაქმებულ მოსახლეობაში, გურია, 2017 (%)




ხოლო რაც შეეხება დაქირავებულ დასაქმებულთა რაოდენობას, ამ მაჩვენებლით იმერეთის რეგიონი მეტნაკლებად საშუალო ნიშნულზეა

გრაფიკი 5. დაქირავებით დასაქმებულთა წილი, 2017 (%)




აღსანიშნავია, რომ იმერეთში, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 269.5 ლარს უდრის, რაც საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (285 ლარი) ჩამორჩება, თუმცა მეტია ვიდრე აჭარა, შიდა ქართლი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლი ანალოგიურ მაჩვენებლებზე.

გრაფიკი 6. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 2018




შემოსავლების განაწილება მისი მიღების წყაროების მიხედვით შემდეგია: ყველაზე მეტი წილი შემოსავლებში დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს უჭირავს და მთლიანი შემოსავლების 86.8%-ს შეადგენს (იხ. გრაფიკი 7), 21% პენსიებზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე მოდის, 13%-13% საჩუქრად მიღებულ ფულსა და არაფულად შემოსავლებზე. მხოლოდ 8% მოდის თვითდასაქმებაზე.

გრაფიკი 7. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება იმერეთში, 2017 (%)



ის, რომ მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებში სიდიდით მეორე, 21%-იანი წილი დახმარებებზე, სტიპენდიებსა და პენსიებზე მოდის, მნიშვნელოვან წარმოდგენას ქმნის რეგიონში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამასთან, იმერეთის რეგიონში შემწეობის მიღებაზე რეგისტრირებულ ოჯახთა წილი შინამეურნეობებთან შედარებით 30%-ზე მეტია.

გრაფიკი 8. შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი შინამეურნეობებში რეგიონების მიხედვით, 2018



იმერეთის რეგიონში, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, რიგ შემთხვევაში უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლებია, რიგ შემთხვევებში კი უახლოვდება საქართველოს საშუალო მაჩვენებლებს. აღნიშნული ნათელყოფს, რომ რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქმნის შედარებით მაღალი მსყიდველობითი უნარის ქონას და შესაბამისად, იძლევა მცირე და მიკრო ბიზნესის განვითარების პერსპექტივას.

შრომის ბაზარი

პროფესიული განათლება

2017-2018 სასწავლო წლების მონაცემებით იმერეთის რეგიონში 2 კერძო და 2 საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს. მათგან ყველაზე დიდ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 9 ფაკულტეტი ფუნქციონირებს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, პედაგოგიური, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, მედიცინის, საინჟინრო ტექნიკური, საინჟინრო ტექნოლოგიური, აგრარული და საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტები. უნივერსიტეტს აქვს როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების დონეები, ასევე პროფესიული სწავლების მიმართულებაც.

იმერეთის რეგიონში 9 კერძო და 5 საჯარო პროფესიული სასწავლებელია. მათში, 2017 წლის განმავლობაში 400 ქალი და 1011 მამაკაცი ირიცხებოდა. მასწავლებელთა რაოდენობა ჯამში 546 იყო, აქედან 337 ქალი და 209 მამაკაცი.

პროფესიები, რომლებიც კოლეჯებში ისწავლება, საკმაოდ მრავალფეროვანია და მრავალრიცხოვანია. კერძოდ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ პროფესიულ სასწავლებელში ისწავლება ისეთი პროფესიები, როგორებიცაა: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, ბიბლიოთეკარი, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი, ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი, საბაჟო საქმე, სარეკლამო აგენტი, სისტემების ადმინისტრატორი.

საკმაოდ მრავალრიცხოვანია ასევე ქუთაისში მდებარე საზოგადოებრივი კოლეჯი "ელიტის" მიერ შეთავაზებული კურსებიც მათ შორის ავტორიზებული სადიპლომო პროგრამებია: ბუღალტერი, რესტორნის მენეჯერი, სასტუმროს მენეჯერი, ღონისძიებათა მომწყობი, ინფორმაციული ტექნოლოგი, კორესპონდენტი, პრაქტიკოსი ექთანი, ფარმაცევტის თანაშემწე, ექთნის თანაშემწე, კბილის ტექნიკოსი, მასაჟისტი, ოფის მენეჯერი, აღმზრდელი-პედაგოგი; ხოლო სასერთიფიკატო პროგრამები: ბუღალტერი, რესტორნის მენეჯერი, სასტუმროს მენეჯერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, ფარმაცევტის თანაშემწე, ექთნის თანაშემწე, ოფის მენეჯერი, აღმზრდელი-პედაგოგი, ბანკის მოლარე ოპერატორი. თუმცა, ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტი მოთხოვნით პრაქტიკოსი ექიმისა და სასტუმროს ადმინისტრირების პროგრამები სარგებლობს, ვინაიდან ამ პროფესიებით დასაქმების პერსპექტივა ადგილობრივ კლინიკებ-

სა და სასტუმროებში მალაღია. კოლეჯის კურსდამთავრებულთა ნაწილი თვითდასაქმებულთა კატეგორიაში შედის და საკუთარ საქმეს იწყებს. ძირითადად, ასეთები კბილის ტექნიკოსებია. საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიას“ გამოცდილებით კი ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები მზარეული, კონდიტერი, სარესტორნო საქმე, შედუღება და სადურგლო საქმეა.

ქუთაისში არის ასევე შედარებით ვიწრო პროფილური პროფესიული კოლეჯებიც. მაგალითად, საზოგადოებრივი კოლეჯი „სიო“, რომელიც სამედიცინო მიმართულებებზე სპეციალიზდება და შემდეგ პროფესიებში სთავაზობს მომზადებას: პრაქტიკოსი ექთანი, მასაჟისტი, ექთნის თანა-შემწე.


რეგიონში მოქმედი საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, 2018/2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის 396-ს შეადგენდა და მათში სულ 76603 მოსწავლე ირიცხებოდა.

საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა 2018/2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის 291 იყო, სადაც სულ 22763 აღსაზრდელი ირიცხებოდა.

ბიზნესაქტივობა

2019 წლის 1 თებერვლის მონაცემებით იმერეთის რეგიონში სულ 23 705 საწარმოა რეგისტრირებული, საიდანაც 95.11% (22 547 კომპანია) მცირე ზომის საწარმოა, 0.47% (111 კომპანია) საშუალო ზომის, ხოლო 0.06% (14 კომპანია) მსხვილი საწარმო. კომპანიების 4.36%-ს (1 033 კომპანია) ზომა მითითებული არ აქვს.

გრაფიკი 9. საწარმოების განაწილება ზომების მიხედვით, იმერეთი, 2019 (%)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკუთრების ფორმების მიხედვით კომპანიების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: საწარმოების მთლიანი რაოდენობიდან 72.93% ინდივიდუალური მეწარმეა, 26.16% შპს, ხოლო დანარჩენი სახის საკუთრების ფორმები ჯამში 1.0%-ს შეადგენს.

მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნას კომპანიების განაწილება საქმიანობის სფეროებში, რათა სწორად იქნას შეფასებული თითოეული დარგის პოტენციალი.


გრაფიკი 10. საწარმოების განაწილება საკუთრების სახეების მიხედვით, იმერეთი, 2019 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმერეთის რეგიონში, 2019 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, ყველაზე მეტი საწარმო – 49% საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროშია თავმოყრილი. აქაც, უმეტესობა მცირე საწარმოების სახით არის წარმოდგენილი და დარგის 99.7%-ს შეადგენს. მეორე ყველაზე კონცენტრირებული დარგი საწარმოების რაოდენობის მიხედვით დამამუშავებელი მრეწველობაა, სადაც კომპანიების 11%-ია წარმოდგენილი, ხოლო მათგან 98.6% მცირე საწარმოს სახით. მესამე ყველაზე კონცენტრირებული დარგი იმერეთის რეგიონში ტრანსპორტი და დასაწყობებაა 9%-იანი წილით და მათ შორის 99.9% მცირე საწარმოს სახით.

გრაფიკი 11. საწარმოების განაწილება დარგების მიხედვით, იმერეთი, 2019 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გარდა საწარმოთა დარგების მიხედვით განაწილებისა, ასევე საინტერესოა, როგორ არის კომპანიები დარგებში განაწილებული ზომების მიხედვით.

ცხრილი 3. დარგები ქულების მიხედვით

დასახელება	ჯამი
დამამუშავებელი მრეწველობა	0.289
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	0.213
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.190
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0.135
სხვა სახის მომსახურება	0.133
ტრანსპორტირება და დასაწყობება	0.121
მშენებლობა	0.109
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.103
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.094
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	0.088
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.083
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.082
განათლება	0.068
ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.059
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.058
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.058
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	0.020

ცხრილიდან ჩანს, რომ დარგები სადაც განვითარების არსებული დონე და განვითარების ტემპი ყველაზე მაღალი შემდეგია: დამამუშავებელი მრეწველობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი, ხელოვნება, გართობა და დასვენება, წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები, სხვა სახის მომსახურება, ტრანსპორტირება და დასაწყობება. მიღებული სიიდან, ისევე, როგორც გურიაში, საბითუმო და საცალო ვაჭრობა ამოვიღეთ. მას მერე, რაც თითოეული დარგი გაანალიზდა, აღმოჩნდა, რომ დარგში „წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“ ძირითადად მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული შპს-ებია თავმოყრილი და მათი განვითარება თავისუფალი ბაზრის პრინციპების მიხედვით არ ხდება. ამ მიზეზით, ეს დარგიც ამოვიღეთ პოტენციალის მქონე დარგების სიიდან. ქუთაისის რესურსების, ინფრასტრუქტურის, მდებარეობის გათვალისწინებით ტოპ დარგების სია შემდეგნაირად დაიხვეწა: დამამუშავებელი მრეწველობა, ხელოვნება, გართობა და დასვენება, სხვა სახის მომსახურება, ტრანსპორტირება და დასაწყობება, მშენებლობა.

ისევე, როგორც გურიაში, აქაც თითოეული დარგი შევისწავლეთ კომპანიების კონცენტრაციის მიხედვით, რათა გვეჩვენა რომელ ქვედარგშია ყველაზე მეტი აქტივობა და შესაბამისად, მეტი ბიზნესშესაძლებლობა.

ქვემოთ მოცემულია ყველა ის დარგი, ქვედარგი და მათი მიმართულება, რომლებიც თანხვედრაშია კვლევის პირველი და მეორე ეტაპის ანალიზის შედეგებთან.

ცხრილი 4. პოტენციალის მქონე დარგები

დარგი	ქვედარგი	მიმართულება
დამამუშავებელი	კვების პროდუქტების წარმოება	ხორცის გადამამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება
		ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავება და დაკონსერვება
		საფქველ-ბურღულეული პროდუქტების, სახამებლების და სახამებელი პროდუქტების წარმოება
		პურ-ფუნთუშეულის და ცომეული პროდუქტების წარმოება
	ავეჯის წარმოება	
	სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება
		ფაიფურის და კერამიკის სხვა ნაკეთობების წარმოება
		ნაკეთობების წარმოება ბეტონის, ცემენტის და ბათქაშისაგან
		ქვის ქრა, დამუშავება და მოპირკეთება
	რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	რეზინის ნაწარმის წარმოება
		პლასტმასის ნაწარმის წარმოება
ხელოვნება, გართობა და დასვენება	შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები	
	საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	საქმიანობები სპორტის სფეროში
		გართობის და დასვენების საქმიანობები
სხვა სახის მომსახურება	სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები	საპარიკმახეროების და სხვა სილამაზის სალონების მომსახურება
		გამაჯანსაღებელი საქმიანობები
ტრანსპორტი და დასაწყობება	სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით	საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი
		სატვირთო საგზაო ტრანსპორტი
	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები	
მშენებლობა	შენობების და ნაგებობების მშენებლობა	სამშენებლო პროექტების შემუშავება
		საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა
	სამოქალაქო მშენებლობა	საავტომობილო გზების და რკინიგზის მშენებლობა
		საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა
		სამოქალაქო მშენებლობის სხვა სამუშაოები
	სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები	არსებული ნაგებობების აღება და სამშენებლო მოედნის მომზადება
		ელექტროტექნიკური, საბინკლო და სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
		მოსაპირკეთებელი სამშენებლო სამუშაოები
		სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად

იმერეთში გამოვლენილი დარგები სამ ძირითად კლასტერში ერთიანდება:

- მშენებლობის კლასტერი, სადაც შედის შემდეგი დარგები და ქვედარგები: ავეჯის წარმოება, სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება, რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება, ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მშენებლობა, სატვირთო საგზაო ტრანსპორტი;
- ტურიზმის კლასტერში, სადაც შედიან კვების პროდუქტების წარმოება, ხელოვნება, გართობა და დასვენება, საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი;

დარგები, რომლებიც პრიორიტეტულია, მაგრამ არ ერთიანდება კლასტერში შემდეგია: პერსონალური მომსახურება, ტრანსპორტი და დასაწყობება. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ იმერეთში გადამამუშავებელ მრეწველობაში 22 საშუალო კომპანიიდან 5, ხოლო 3 მსხვილიდან – 1 ტექსტილშია, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ პრიორიტეტული ქვედარგებისთვის ტანსაცმლის წარმოება დაგვემატებინა. ამ დარგში მცირე საწარმოებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ღირებულებათა ჯაჭვში.

მენარმეებს შემოთავაზებულ დარგებში, ქვედარგებსა და მიმართულებებში შესაძლებლობები აქვს:

- პროდუქტის დივერსიფიკაციაში
- მომსახურების დივერსიფიკაციაში
- ჯვარედინ დივერსიფიკაციაში
- ვერტიკალურ ინტეგრაციაში.

ამგვარი დივერსიფიკაციის მაგალითებია:

რეზინის და პლასტმასის წარმოება

- პლასტმასის ავეჯის წარმოება
- პლასტმასის სათამაშოების წარმოება
- პლასტმასის საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოება
- პლასტმასის მეორადი გადამამუშავება

პერსონალური მომსახურება:

- კოსმეტოლოგიური კაბინეტები
- სპა-გაჯანსაღება
- სოლარიუმი
- ფიტნეს-ცენტრი
- ხელოსანი („მისტერ-მასტერის“ მაგალითზე)
- დალაგება-დასუფთავება

ტრანსპორტირება და დასაწყობება

- დასაწყობება
- გადაზიდვა
- დისტრიბუცია
- შატლები
- ტურისტული გაქირავება

შიდა ქართლი



კასპის მუნიციპალიტეტი:

კასპის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, შიდა ქართლში მდინარე მტკვრის ორივე მხარეს, ზღვის დონიდან 560 მეტრზე და მოიცავს ლეხურის, თეძამის, კავთურის და ნაწილობრივ ქსნის ხეობებს.

ქარელის მუნიციპალიტეტი:

მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში შიდა ქართლის ვაკეზე. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება გორის, დასავლეთით-ხაშურის, ჩრდილოეთით-ზნაურის და სამხრეთით ბორჯომის მუნიციპალიტეტები.

ხაშურის მუნიციპალიტეტი:

ხაშურის მუნიციპალიტეტი ზღვის დონიდან 690 მეტრზე მდებარეობს. მისი ფართობი 585,2 კმ² და საქართველოს მთლიანი ფართობის 0,84 %-ს შეადგენს. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება ქარელის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით საზღვრავს საჩხერის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით და დასავლეთით – ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. ზომიერად ცივი ზამთარი და თბილი ზაფხული. ხაშურის მუნიციპალიტეტს ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა აქვს, ვინაიდან ის მდებარეობს აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს გზაგასაყარზე.


რეგიონის მაკრომახასიათებლები

დემოგრაფია

მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგიონის მოსახლეობა 259 251 კაცი იყო, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 6,95%-ს შეადგენს.

გრაფიკი 1. მოსახლეობა რეგიონების მიხედვით (%)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ქართლში, მოსახლეობის მხრივ ყველაზე დიდი გორის მუნიციპალიტეტია, სადაც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 123 233 ადამიანი ირიცხებოდა, მას მოსდევს ხაშურის მუნიციპალიტეტი 52 120 მოსახლით, შემდეგ კასპის მუნიციპალიტეტი 42 753 მოსახლით, ხოლო ყველაზე ნაკლებად დასახლებული ქარელის მუნიციპალიტეტია 41 145 მოსახლით.

მოსახლეობის სიმჭიდროვე შიდა ქართლში, ერთ კვადრატულ კილომეტრზე, საშუალოდ 75,6 კაცია.

გრაფიკი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად

რეგიონში მცხოვრებთაგან 40% (105 211 ადამიანი) საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს, ხოლო სოფლად მოსახლეობის 60% (158 171 ადამიანი) ირიცხება.

გორის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი – გორი, რომელიც რეგიონისა და მუნიციპალურ ცენტრს წარმოადგენს, ხოლო მუნიციპალიტეტის სულ 33 ადმინისტრაციული ერთეულია, მათ შორის როგორც საქალაქო, ისე სასოფლო დასახლებები. კასპის მუნიციპალიტეტში სულ 17 ადმინისტრაციული ორგანოა, რომლებშიც 1 ქალაქი (კასპი), 71 სოფელი და 60 ნასოფლარი ერთიანდება. ქარელის მუნიციპალიტეტში ერთი საქალაქო (ქარელი) და 18 ადმინისტრაციული ერთეულია, სადაც 1 დაბა (აგარა) და 82 სოფელი ერთიანდება. ხაშურის მუნიციპალიტეტში ერთი საქალაქო (ხაშური), ერთი სადაბო (სურამი) და 11 სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულია, რომელთა შემადგენლობაშიც 84 სოფელი შედის.

ცხრილი 2. მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად

შიდა ქართლის რეგიონი	სოფლად	ქალაქად
მოსახლეობა	102 879	156 372


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

2014 წელს საქსტატის მიერ ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით რეგიონის მთლიანი მოსახლეობის – 263 382 მაცხოვრებელს შორის 48,22% (128 282) მამაკაცია, ხოლო 51,78% (135 100) ქალი. რაც შეეხება მათ განაწილებას ქალაქსა და სოფელს შორის, იგი ასეთია: საქალაქო დასახლებებში მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის 46,65% მამაკაცია, ხოლო 53,35 ქალი. სოფლად მაცხოვრებლების 48,84% მამაკაცია, ხოლო 51,16% კი – ქალი.

მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება შემდეგია: 14 წლამდე მოსახლეობის წილი შიდა ქართლში 16%-ია, 15-დან 64 წლამდე ადამიანები მოსახლეობის 67%-ს შეადგენენ, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის ადამიანები კი მოსახლეობის 15%-ია. 14 წლამდე და 15-64 წლის ასაკის კატეგორიის მოსახლეობაში მამაკაცების რაოდენობა სჭარბობს, ხოლო 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში კი – ქალების.

გრაფიკი 3. შიდა ქართლის მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი განაწილება (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ქართლში, ყოველ 100 შრომისუნარიან ადამიანზე (15-დან 64 წლამდე) 65 წლის და უფროსი 22 ადამიანი მოდის. ეს სტატისტიკა ზუსტად იმეორებს მთლიანად ქვეყნის მაჩვენებელს და ევროპის მაჩვენებელზე დაბალია, სადაც ასაკზე დამოკიდებულების კოეფიციენტი 28 ხანდაზმულია 100 შრომისუნარიან მოსახლეზე.

შიდა ქართლი მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით საკმაოდ დასახლებული რეგიონია 75,6 ადამიანით ერთ კვადრატულ კილომეტრზე და რეგიონებიდან მხოლოდ აჭარას და იმერეთს ჩამორჩება.

ასაკზე დამოკიდებულების კოეფიციენტი საპენსიო ასაკის მოსახლეობასთან მიმართებაში 22%-ია და საქართველოს საშუალო მაჩვენებელს უტოლდება. ამასთან, სოფლად მცხოვრები მოსახლეობა სჭარბობს ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 64 წლამდე მოსახლეობაში მცირედით სჭარბობს მამაკაცთა რაოდენობის წილი ქალების რაოდენობისას. აღნიშნული გარემოებები მოწმობს, რომ რეგიონში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა და განაწილება – როგორც სქესის, ასევე ასაკისა და სოფლად/ქალაქად ცხოვრების მიხედვით საკმაოდ ნორმალურია.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

დასაქმება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2017 წელს ჩატარებული გამოკვლევის შედეგების თანახმად, შიდა ქართლში, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის (216 300) რაოდენობაში უმუშევრობის დონე 12,9%-ს შეადგენს. დასაქმებულთა წილი აქტიურ მოსახლეობაში კი 56,5%-ს შეადგენს.

ცხრილი 4. მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით


15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით შიდა ქართლში, 2017 (ათასი კაცი)	
სულ 15+ მოსახლეობა	216.3
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	140.3
დასაქმებული	122.2
დაქირავებული	47.1
თვითდასაქმებული	75
გაურკვეველი	0.1

უმუშევარი	18.1
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	76
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	12.9
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	64.9
დასაქმების დონე (პროცენტებში)	56.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამასთან, რეგიონის შრომისუნარიანი(15 წლის და უფროსი ასაკის) მოსახლეობის 34,67%, ხოლო დასაქმებულთა 61,37% თვითდასაქმებულია.


გრაფიკი 4. თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ მოსახლეობაში, შიდა ქართლში, 2017 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება დაქირავებით დასაქმებულთა წილს, მასზე შიდა ქართლში დასაქმებულთა 38.54% მოდის.


გრაფიკი 5. დაქირავებით დასაქმებულთა წილი შიდა ქართლში, 2017 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ქართლის რეგიონში, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი საშუალოდ 267,1 ლარს შეადგენს, რომელშიც ფულადი შემოსავლების ოდენობა 212,5 ლარია, ხოლო 32,5 ლარი არაფულადი შემოსავლებია.


გრაფიკი 6. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 2018 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლის მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი ნაწილი დაქირავებული შრომიდან მიიღება და შემოსავლების 35%-ს შეადგენს. ამასთან, მეორე ყველაზე მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები შეადგენს 20% წილით. მესამე მნიშვნელოვან ნაწილს კი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არაფულადი შემოსავლები შეადგენს მთლიანი შემოსავლების 13% წილით.

გრაფიკი 7. ფულადი და არაფულადი შემოსავლების განაწილება შიდა ქართლში, 2017 (%)



რეგიონში საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობა 12 684-ია, რაც საქართველოს ტერიტორიაზე შემწეობის მიმღებთა სრული ოდენობის 9,9%-ს შეადგენს.

გრაფიკი 8. შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი შინამეურნეობებში რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასკვნა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

შიდა ქართლში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეტნაკლებად იმეორებს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას ყველა ზემოთგანხილული მაჩვენებლის მიხედვით. მაღალია პენსიაზე, დახმარებებსა და შემწეობაზე დამოკიდებულების მაჩვენებელი და არაფულად შემოსავლებზე დამოკიდებულება.

შრომის ბაზარი და უნარები

განათლება

2017/2018 სასწავლო წლის მონაცემებით შიდა ქართლის რეგიონში 2 სახელმწიფო და 1 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს.

2017 წლის მონაცემებით შიდა ქართლის რეგიონში 4 კერძო და 4 საჯარო პროფესიული სასწავლებელი იყო, რომლებშიც 89 ქალი და 32 მამაკაცი მასწავლებელი იყო დასაქმებული. ამავე წელს ჩარიცხული სტუდენტების სრული რაოდენობიდან 293 ქალი და 271 კაცი, ხოლო კურსდამთავრებულთა რაოდენობიდან კი 206 ქალი და 146 კაცი იყო.

ცხრილი 5. პროფესიული სასწავლებლები

შიდა ქართლის რეგიონის პროფესიული სასწავლებლები, 2017 წ.		
	კაცი	ქალი
მასწავლებელი	32	89
სტუდენტი	271	293
კურსდამთავრებული	146	206

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონის პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტები სხვადასხვა სპეციალობას ეუფლებიან, თუმცა, ყველაზე მოთხოვნადი პროფესიებია შემდუღებელი, ელექტრიკოსი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, სტილისტი, ზეინკალ-სანტექნიკოსი, მებოსტნე(ეს უკანასკნელი არის ახალი პროფესია, რადგან შიდა ქართლში სოფლის მეურნეობა განვითარებულია, ახალი სტანდარტებით მიდის მეურნეობა და მებოსტნეობაზე გაჩნდა მოთხოვნა). ამასთან, მაღალი მოთხოვნაა მკერავის, მასაჟისტის, ოფის-მენეჯერის პროფესიებზე. პროფილური სამედიცინო მიმართულების კოლეჯში კი ყველაზე მოთხოვნადი ექთნის თანაშემწის, პრაქტიკოსი ექთნისა და ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიის შემსწავლელი პროგრამებია.


2018/2019 სასწავლო წლის დასაწყისის მონაცემებით რეგიონში სულ 171 საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლებშიც ჯამში 37 799 მოსწავლე სწავლობს. სკოლამდელი აღზრდის 124 დაწესებულებაში კი ჯამში 10 620 აღსაზრდელი ირიცხება.

ბიზნესსექტორი შიდა ქართლში

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2017 წლის საქსტატის მონაცემებით შიდა ქართლის რეგიონში 1 376.9 მილიონი ლარი იყო, რაც მთელი ქვეყნის ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობის 1,9%-ს უდრის. რაც შეეხება ბიზნესსექტორის მიერ პროდუქციის გამოშვებას, 2017 წლის მონაცემებით შიდა ქართლის რეგიონისთვის 826,3მლნ. ლარს უდრიდა. შიდა ქართლის რეგიონში, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯამში 31 846 ბიზნესსუბიექტია რეგისტრირებული, რაც მთელი ქვეყნის მონაცემის 4,38%-ს შეადგენს. თუმცა, მათგან მხოლოდ 8 737 სუბიექტია აქტიური.

ამასთან, შიდა ქართლში რეგისტრირებულ საწარმოთა 94,7% მცირე საწარმოა, 0,38%-ია საშუალო ზომის, ხოლო მსხვილ საწარმოთა წილი მხოლოდ 0,05%-ია.

გრაფიკი 8. შიდა ქართლში რეგისტრირებულ საწარმოთა განაწილება ზომების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წლის მონაცემებით ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 18 575 ადამიანი იყო. ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება, 2017 წლის მონაცემებით (საქსტატი), შიდა ქართლში, 564,4 ლარს შეადგენდა, რაც რეგიონებს შორის ბოლოდან მეორე მაჩვენებელია, ყველაზე დაბალი ანაზღაურების მქონე, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის შემდეგ და ქვეყანაში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებაზე 45%-ით ნაკლებია.


ცხრილი 6. შრომის ანაზღაურება

დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება რეგიონების მიხედვით (ბიზნესსექტორში), 2017, ლარი (წყარო:საქსტატი)	
საქართველო	1,019.70
თბილისი	1,167.60
მცხეთა-მთიანეთი	950
აჭარის არ	848.5
ქვემო ქართლი	817.3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	758.2
იმერეთი	698
სამცხე-ჯავახეთი	664.7

გურია	596.1
კახეთი	593.9
შიდა ქართლი	564.4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	509.6

საქსტატის მონაცემებით, 2017 წლის განმავლობაში, შიდა ქართლის რეგიონში, ჯამში 145,7 მლნ. ლარის ინვესტიცია განხორციელდა ფიქსირებულ აქტივებში. აქედან, 113,7 მლნ. ლარი მსხვილ საწარმოებში, 23,9 მლნ. საშუალოში, ხოლო 8 მლნ. ლარი კი მცირე ზომის საწარმოებში (იხ. გრაფიკი #9). ამასთან, აღსანიშნავია, რომ 33,7 მლნ. ლარის ინვესტიცია განხორციელდა ადგილობრივი კერძო (იურიდიული და ფიზიკური პირის) ინვესტორის მიერ, ხოლო 111,9 მლნ. ლარის ინვესტიცია კი – უცხოელი (იურიდიული და ფიზიკური პირის) ინვესტორის მიერ.

გრაფიკი 9. ინვესტიცია ფიქსირებულ აქტივებში, ზომის მიხედვით, მლნ. ლარი



ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით, ბრუნვის მაჩვენებლით შიდა ქართლის რეგიონში საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი – ლიდერობს 607.6 მლნ. ლარის მოცულობით, მეორე ადგილს დამამუშავებელი მრეწველობა იკავებს 472,2 მლნ. ლარიანი ბრუნვით, მესამე ადგილზე კი მშენებლობის დარგია 105,6 მლნ. ლარიანი ბრუნვით (2017 წ. წყარო – საქსტატი). ხოლო რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებლებს, აქაც ლიდერი დარგი საბითუმო და საცალო ვაჭრობა – ავტომობილების და მოტოციკლების რემონტია 5704 საშუალო წლიური დასაქმებულით 2017 წელს, მას მოსდევს ასევე დამამუშავებელი მრეწველობა 4323 დასაქმებულით და მესამე ადგილს აქაც მშენებლობა იკავებს, 2168 დასაქმებულით. (იხ. ცხრილი #7) ამავც ცხრილის მიხედვით, ყველაზე მაღალი ანაზღაურება „ხელოვნება, გართობა და დასვენების“ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს აქვთ თვეში საშუალოდ 1639 ლარის ოდენობით, სამთომოპოვებითი მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაში საშუალო თვიური ანაზღაურება 1320,5 ლარს შეადგენს, ხოლო მესამე ყველაზე მაღალ-ანაზღაურებადი დარგი რეგიონში მშენებლობაა საშუალო თვიური 788,2 ლარიანი განაკვეთით.

ცხრილი 7. დარგები ბრუნვის, დასაქმების და ანაზღაურების მიხედვით

შიდა ქართლი, 2017 წ.	ბრუნვა, მლნ. ლარი	დასაქმებულები, ერთეული	საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი
სულ	1376.9	18575	564.4
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	33.0	942	310.5
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	14.5	271	1320.5
დამამუშავებელი მრეწველობა	472.2	4323	653.6

ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	-	-	-
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	1.4	149	429.9
მშენებლობა	105.6	2168	788.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	607.6	5704	370.6
ტრანსპორტირება და დასაწყობება	18.6	567	749.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	10.4	578	178.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	44.6	267	555.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	9.9	356	339.5
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	7.5	308	674.7
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	10.1	186	532.6
განათლება	2.7	427	289.3
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	26.4	1950	620.8
ხელოვნება, გართობა და დასვენება	10.8	177	1639.0
სხვა სახის მომსახურება	1.5	200	100.5

აქვე აღსანიშნავია, რომ 2017 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ინვესტიცია დამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელდა 115,5 მლნ. ლარის ოდენობით, მეორე ადგილზე ინფორმაცია და კომუნიკაციაა 20 მლნ. ინვესტირებული ლარით, ხოლო მესამე ადგილზე მშენებლობა, ინვესტირებული 3,6 მლნ. ლარით.

გარდა ამისა, საინტერესოა, როგორ არის გადანაწილებული კომპანიები დარგებში ზომების მიხედვით.

ცხრილი 8. კომპანიების განაწილება დარგებში ზომების მიხედვით

დასახელება	შიდა ქართლი, წილი			
	მც.	საშ.	მსხ.	სულ
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	2%	3%	0%	2%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1%	0%	0%	1%
დამამუშავებელი მრეწველობა	10%	28%	0%	10%
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	0%	0%	0%	0%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0%	3%	0%	0%
მშენებლობა	3%	0%	50%	3%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	60%	34%	25%	60%
ტრანსპორტი და დასაწყობება	7%	6%	0%	7%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	3%	0%	0%	3%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1%	3%	0%	1%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	1%	0%	0%	1%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3%	0%	0%	3%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2%	0%	0%	2%

ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1%	0%	0%	1%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0%	0%	0%	0%
განათლება	1%	3%	0%	1%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	2%	16%	25%	2%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0%	3%	0%	0%
სხვა სახის მომსახურება	4%	0%	0%	4%
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	0%	0%	0%	0%
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0%	0%	0%	0%

ცხრილიდან ჩანს, რომ მცირე ზომის კომპანიების უმეტესობა ვაჭრობის დარგშია, შემდეგ კი დამამუშავებელ მრეწველობაში. აღსანიშნავია, რომ ამ ორ დარგზე მოდის კომპანიების 70%.

საშუალო კომპანიების უმეტესობა ვაჭრობაში, დამამუშავებელ მრეწველობაში და ჯანდაცვა-შია. მსხვილი კომპანიების უმეტესობა, მცირეს მსგავსად – 70%, ვაჭრობასა და დამამუშავებელ მრეწველობაშია, 7% – ტრანსპორტირება და დასაწყობებაში.

პრიორიტეტული დარგები

კვლევის მეორე ეტაპზე, გურიისა და იმერეთის მსგავსად, შიდა ქართლშიც გამოვლინდა პრიორიტეტული დარგები შეფასების მოდელის გამოყენებით. ქვემოთ, ცხრილში მოცემულია დარგები და მათი შეფასებები:

ცხრილი 9. დარგების შეფასება მოდელის გამოყენებით

დარგი	ქულა
დამამუშავებელი მრეწველობა	0.28
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.28
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	0.25
ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.21
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.19
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.15
სხვა სახის მომსახურება	0.14
ტრანსპორტირება და დასაწყობება	0.10
მშენებლობა	0.10
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.08
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.08
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	0.06
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.06
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.05
განათლება	0.00

დარგებიდან, აწარმოე საქართველოს მიზნების გათვალისწინებით, ვაჭრობა გამოირიცხა. გარდა ამისა, დეტალურად გავაანალიზეთ ხელოვნება, გართობა, დასვენებისა და ინფორმაცია-კომუნიკაციის დარგში მომქმედი კომპანიები და ქვედარგები. იმის გამო, რომ ეს კომპანიები, რეალურად, ერთჯერად შესყიდვებზე არიან დამოკიდებული ან ამ დარგების კომპანიების რეალური საქმიანობა არ დასტურდება, ეს დარგებიც გამოირიცხა. პირველადი სიის ამგვარად დამუშავების შედეგად მივიღეთ 5 წამყვანი დარგი: დამამუშავებელი მრეწველობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები, სხვა სახის მომსახურება, ტრანსპორტირება და დასაწყობება.

აქაც, ისევე, როგორც გურიასა და იმერეთში, თითოეული დარგის დეტალური ანალიზია საჭირო, რათა გამოვლინდეს, სად უფროა განვითარების შესაძლებლობები.

ცხრილი 10. პრიორიტეტული დარგები, ქვედარგები და მიმართულებები

დარგი	ქვედარგი	მიმართულება
დამამუშავებელი მრეწველობა	კვების მრეწველობა	ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება
		ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება
		საფქველ-ბურღულეული პროდუქტების, სახამებლების და სახამებელი პროდუქტების წარმოება
		პურ-ფუნთუშეულის და ცომეული პროდუქტების წარმოება
	ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან	ხის ხერხვა და რანდვა
		პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისაგან
	რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება
	სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	ცემენტის წარმოება
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები; ტექნიკური გამოცდები და ანალიზი	არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტაციები
	იურიდიული და სააღრიცხვო საქმიანობები	
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	სარეკლამო საქმიანობა და ბაზრის გამოკვლევა	სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა
	სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	ფოტოგრაფიული საქმიანობები
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	საიტარო და სალიზინგო საქმიანობები	ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი
		სატვირთო ავტომობილების იჯარა და ლიზინგი
	ტურისტული სააგენტოები, ტუროპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები	ტურ-ოპერატორების საქმიანობები
	შენობების და ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები	დასუფთავება-დალაგება
სხვა სახის მომსახურება	პერსონალური მომსახურება	საპარიკმახეროების და სხვა სილამაზის სალონების მომსახურება

ტრანსპორტი და დასაწყობება	სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით	საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი
	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები	სატვირთო საგზაო ტრანსპორტი
		დასაწყობება და შენახვა

შიდა ქართლში ერთი ძირითადი კლასტერი გამოვლინდა – ხის მრეწველობა, სადაც ჯგუფდება ხის გადამუშავება, ავეჯის წარმოება. ასევე, შესაძლებელია პროფესიული სერვისების – არქიტექტურა – დივერსიფიკაცია ინტერიერის დიზაინის, მოდელირების მიმართულებით.

ზემოთ ცხრილში მოცემულ დარგებში, ქვედარგების და მიმართულებების ჩათვლით, ბიზნესშესაძლებლობები შემდეგი სტრატეგიების იქმნება:

- პროდუქტის დივერსიფიკაცია
- მომსახურების დივერსიფიკაცია
- ვერტიკალური ინტეგრაცია
- ჯვარედინი ინტეგრაცია

ქვემოთ მოყვანილია მაგალითები:


ხორცის გადამუშავება:

- გამომშრალი ხორცის წარმოება
- ხორცის პროდუქტების სპეციალიზებული მაღაზია
- ხორცის ნახევარფაბრიკატების წარმოება

პროფესიული სერვისები

- ინტერიერის დიზაინი
- სარეკლამო მასალების ბეჭდვა, დიზაინი
- ვიდეომომსახურება

სამცხე-ჯავახეთი



მრავალრიცხოვანი ტბებიდან ფართობით მხოლოდ რვა მათგანი აჭარბებს 40 კვ.კმ-ს და ყველაზე დიდი ტბაა ფარავანი.⁴

ტურიზმი და კურორტები

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს გამორჩეული რეგიონია ტურიზმის თვალსაზრისით. რეგიონი გამოირჩევა როგორც ისტორიულ-კულტურული ძეგლების, ასევე საკურორტო და რეკრეაციული ზონების სიმრავლითაც. ბოლო პერიოდში რეგიონში სასტუმროებისა და სხვა განთავსების ობიექტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება. ასევე, იზრდება რეგიონში ვიზიტორთა რაოდენობა. რეგიონში უცხოელი ტურისტები ძირითადად სომხეთიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, ისრაელიდან და აშშ-დან ჩადიან. ამჟამად რეგიონში ძირითადად კულტურული, რეკრეაციული და სათავგადასავლო ტურიზმი ვითარდება.

სამცხე-ჯავახეთი მდიდარია ისტორიულ-კულტურული ძეგლებით, რომელთაგან აღსანიშნავია ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, თმოგვის, ხერთვისის, რაბათის ციხეები, ზარზმის და საფარის მონასტრები, ასევე, არის რამდენიმე პოპულარული საკურორტო ზონა, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ჯავახეთის დაცული ტერიტორიები. თუმცა, ტურიზმის შემდგომი განვითარება მოითხოვს მაღალი სტანდარტების სასტუმროებისა და დამატებით მცირე ზომის სასტუმროების მშენებლობას. ასევე, აუცილებელია მომსახურებისათვის ტურისტული მომსახურების თანამედროვე პაკეტების შეთავაზება და მომსახურების დონის ამაღლება, მაღალი ხარისხის კვების ობიექტების გახსნა, რეგიონის ტბების ტურისტული პოტენციალის გამოყენება, ეკო-ტურისტული შესაძლებლობების – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ჯავახეთის დაცული ტერიტორიების – სრულად გამოყენება, ახალი ტურისტული გზამკვლევის შემუშავება და ტურიზმის განვითარების უპირატესობების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება.⁵

კურორტები

დაბა აბასთუმანი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სამთო-ბალნეოლოგიური კურორტია, სადაც თავმოყრილია სანატორიუმები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები. უნიკალური კლიმატური პირობების წყალობით იგი აღიარებულია ფილტვების დაავადებათა სამკურნალო ადგილად. აქ არსებობს ასევე თერმული (41-48 C) მინერალური წყლების მნიშვნელოვანი მარაგი, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოიყენება ბალნეოთერაპიული მკურნალობის მიზნით. დაბის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა სწორედ ბალნეოტექნიკური თვალსაზრისით მაღალ დონეზე მოწყობილი სააბაზანო შენობა. დაბა მდინარის ორივე ნაპირზეა განფენილი, ხოლო სანატორიუმების უმრავლესობა ტყით დაფარულ ტერასებზეა განლაგებული ("ოცხე", „არაზინდო“, „აღობილი“).

ცალკე დასახელებად ითვლება ყანობელის მთაზე (ზ.დ 1650 მ) განლაგებული უნიკალური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, 1932 წელს დაარსებული პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომლის ტერიტორიაზეც ასევე არის განლაგებული სასტუმროები.

ქალაქი **ბორჯომი** თავად წარმოადგენს საკურორტო ქალაქს და მისი მთავარი საკურორტო-რეკრეაციური უბნებია: ლიკანი, პლატო და ფაფა.

ბორჯომ-ლიკანის კომპლექსი მდებარეობს თბილისიდან 150 კმ-ის დაშორებით, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში ბორჯომის ხეობაში. იგი ზღვის დონიდან 807 მეტრ სიმაღლეზეა.

კურორტის მთავარი სიმდიდრეა ბუნებრივი სამკურნალო მინერალური წყალი „ბორჯომი“, რომელიც გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, ნაღვლის ბუშტის, სანაღვლე გზების, თირკმლის დაავადებათა, ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ნერვული სისტემისა და გულსისხლძარღვთა პათოლოგიების სამკურნალოდ.

ბორჯომი ტურიზმის მნიშვნელოვანი ცენტრია, როგორც ბუნებრივი ისე ისტორიული ღირშესანიშნაობებით. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია მრავალი საინტერესო არქეოლოგიური თუ კულტურული ექსპონატი.

ბორჯომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულია კურორტების ჯაჭვი – დაბა, წალვერი, ცემი, ტბა, ლიკანი, პატარა ცემი, ბაკურიანი.

წალვერი ბორჯომიდან 14 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. იგი XIX ს-დან არის ცნობილი, როგორც მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი. მას ცენტრალური ადგილი უჭირავს ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონაში და ირგვლივ წინვნიანი ტყეებით დაფარული მთები აკრავს.

ზღვის დონიდან 1700 მ-ზე მდებარე **ბაკურიანი** საქართველოს გამორჩეული სამთო კურორტი და საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრია. იგი ბორჯომიდან 29 კმ-ით არის დაშორებული და მდებარეობს ტყით დაფარული მთის ფერდობებით გარშემორტყმულ ფართო ქვაბულში. მისი ჰავა და რელიეფი ზამთრის სპორტის განვითარების იდეალურ პირობებს ქმნის. ზამთარი უმეტ-

⁴ <http://samtskhe-javakheti.gov.ge/main.php?act=static&lang=geo&pid=1>

⁵ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021

ესად უქარო და მზიანია. პირველი მოთხილამურეები აქ ჯერ კიდევ 1908 წ. გამოჩნდნენ, ხოლო 1932 წ. შეიქმნა პირველი სათხილამურო ბაზა.

თანამედროვე ბაკურიანი, რომელიც ზამთარში „სპორტული ქალაქი“ ხდება, ჩამოსულებს დააინტერესებს არა მარტო სამთო-სათხილამურო ტრასებით, საბაგირო გზებით, სპორტული და სამკურნალო გამაჯანსაღებელი ბაზებით, სასტუმრო მომსახურებით, დასვენებისა და ჰელიოთერაპიის ეფექტიანობით, არამედ აქტიური ტურიზმის ფართო შესაძლებლობებითაც.⁶

ბუნებრივი რესურსები

სამცხე-ჯავახეთში არსებული კლიმატური პირობები რეგიონში განახლებადი ალტერნატიული ენერგორესურსების მნიშვნელოვან პოტენციალს ქმნის. კერძოდ, რეგიონში მზის რადიაციის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, რაც შესაძლებელს ხდის მზის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენებას შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური გათვლების საფუძველზე. ასევე, რეგიონში გავრცელებული ქარების მიმართულება, სიჩქარე და ხანგრძლივობა წლის განმავლობაში იძლევა ქარის რესურსის ენერგეტიკული მიზნებით გამოყენების შესაძლებლობას.

რეგიონი მდიდარია წიაღისეული რესურსებით. სამცხე-ჯავახეთში მოპოვებული რესურსების ძირითადი სახეობებია: ტუფი, ბაზალტი, დიატომიტები, პერლიტი, თიხა, ქვიშა-ხრეში, ვულკანური წიდა, მურა ნახშირი, ოქრო და ანდეზიტი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით – მდინარეებით და ტბებით. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით მცირეა თერმული წყლის რესურსი. რეგიონში არსებული წყლის რესურსები გამოყენებულია სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით (8%), ჰიდროენერგეტიკაში (80%), სამრეწველო დანიშნულებით, სარწყავად და თევზის სატბორეებისათვის.

სამცხე-ჯავახეთი ბუნებრივი ტყით მდიდარი რეგიონია. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული თითქმის ყველა ტყე განსაკუთრებულ კლიმატ-მარეგულირებელ, ნიადაგდაცვით, წყალ-მარეგულირებელ ფუნქციებს ასრულებს.⁷


რეგიონის მაკრო მახასიათებლები

დემოგრაფია

მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით სამცხე-ჯავახეთში საქართველოს მოსახლეობის 4.18% ცხოვრობს და მათი რიცხვი 154 139-ს შეადგენს.

გრაფიკი 1. მოსახლეობა რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამცხე-ჯავახეთში, რეგიონის მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი – 27% ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს და მათი რიცხვი 42 258-ს შეადგენს. მოსახლეობის რიცხოვნობით

ახალქალაქს ოდნავ ჩამორჩება ახალციხის მუნიციპალიტეტი რეგიონში მოსახლეობის 26% წილით და 39 395 ოდენობით. მესამე ყველაზე დასახლებული მუნიციპალიტეტი – ბორჯომია, 16% წილით და 25 136 მოსახლეობით. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი მოსახლეობის მიხედვით სიდიდით მეოთხე ადგილზეა რეგიონში, 20 554 მოსახლით და 13% წილით. მას მოსდევს ადიგენის მუნიციპალიტეტი 16 249 მოსახლით და რეგიონში 11% წილით. ყველაზე ნაკლებად დასახლებული ასპინძის მუნიციპალიტეტი 10 547 მოსახლით და 7%-იანი წილით.


ცხრილი 1. მოსახლეობის რაოდენობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	რაოდენობა (ათასი)	წილი რეგიონის მოსახლეობაში	წილი საქართველოს მოსახლეობაში
საქართველო	3,723.5		
სამცხე-ჯავახეთი	154.1		4.1%
ადიგენის მუნიციპალიტეტი	16.2	10.5%	0.4%
ასპინძის მუნიციპალიტეტი	10.5	6.8%	0.3%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	42.3	27.4%	1.1%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	39.4	25.6%	1.1%
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	25.1	16.3%	0.7%
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	20.6	13.3%	0.6%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 წ. 1 იანვარი

მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, 24-ს უდრის.

გრაფიკი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად


საქსტატის 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის 35% საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს. ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 54 354 ადამიანია. რეგიონის მოსახლეობის 65% სოფლად ცხოვრობს და მათი რიცხვი 99 785 ადამიანს შეადგენს. სამცხე-ჯავახეთში ურბანიზაციის მაჩვენებელი საქართველოს საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება – საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილი 43.6%-ს შეადგენს.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

სამცხე-ჯავახეთში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი 68%-ს შე-


ადგენს. დასაქმებულთა შორის კი 31% დაქირავებით დასაქმებულია, ხოლო 69% თვითდასაქმებული. სამცხე-ჯავახეთში დასაქმებულთა შორის თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია საქართველოში და 69%-ს შეადგენს.

გრაფიკი 3. თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ მოსახლეობაში, 2018 (%)




ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა წილი, შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე დაბალია კახეთისა და გურიის შემდეგ და 31%-ს უდრის.

გრაფიკი 4. დაქირავებით დასაქმებულთა წილი, 2017 (%)



ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით სამცხე-ჯავახეთის რეგიონი გურიასთან და მცხეთა-მთიანეთთან ერთად ბოლოდან მეორე ადგილზეა და ეს მაჩვენებელი (2018წ) 242.8 ლარს შეადგენს.

გრაფიკი 5. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 2018




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამცხე-ჯავახეთში, მოსახლეობის შემოსავლების 89% ფულად შემოსავლებზე მოდის. ხოლო, რაც შეეხება ფულადი შემოსავლების განაწილებას, იგი ასეთია: დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალი 40%-ს შეადგენს, მეორე ყველაზე დიდი კონტრიბუცია ფულად შემოსავლებში პენსიებზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე მოდის და ჯამში მათი მოცულობა 25%-ს შეადგენს. შემოსავლების 13%-ს მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან იღებს, 8%-ს თვითდასაქმებიდან, 7% საჩუქრად მიღებული ფულია, 6% უცხოეთიდან მიღებული გზავნილები, ხოლო ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან) მიღებული შემოსავალი მხოლოდ 1%-ს შეადგენს.

რეგიონის მოსახლეობის არაფულადი შემოსავლები ჯამში მიღებული შემოსავლების 11%-ს შეადგენს.


გრაფიკი 6. მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი შემოსავლების განაწილება სამცხე-ჯავახეთში, 2018 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურაში სიდიდით მეორე, 25%-იანი წილი დახმარებებზე, სტიპენდიებსა და პენსიებზე მოდის, რაც წარმოაჩენს რეგიონში არსებულ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას. რეგიონში შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი 30%-ს არ აჭარბებს და ერთ-ერთი დაბალია საქართველოში.

გრაფიკი 7. შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი შინამეურნეობებში რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქსტატი, ჯანდაცვა და სოც. უზრუნველყოფა 2017;
 საქსტატი – მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014

შრომის ბაზარი – განათლება და უნარები

სამცხე-ჯავახეთში, საქსტატის 2018-2019 სასწავლო წლების მონაცემებით 1 სახელმწიფო და 1 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 4 ფაკულტეტი ფუნქციონირებს: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი⁸.

2018 წლის მონაცემებით, რეგიონში 5 პროფესიული სასწავლებელია, რომლებშიც ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 364-ის ტოლია, ხოლო მასწავლებელთა რიცხოვნობა 159-ს უდრის.⁹

სამცხე-ჯავახეთის პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის მსურველებს სასწავლო პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანი აქვთ. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო დონეზე შემდეგი პროგრამები ისწავლება: ექთნის თანაშემწე, მასაჟისტი, ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი, კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორი, ინტერნეტ-ტექნოლოგი (ვებსპეციალისტი), ბუღალტერი, ფარმაცევტის თანაშემწე, ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტი, მემცენარე, ვებინტერფეისის დიზაინერი, პრაქტიკოსი ექთანი, მასაჟისტ-რეაბილიტატორი, ბაგა – ბაღის აღმზრდელი – პედაგოგი, ბუღალტრული აღრიცხვა¹⁰.

სასწავლო პროგრამების ასევე საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანია საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარში“: აგრარული ტექნიკის მექანიკოსი, ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი, მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული), ბუღალტერი, ინტერნეტ-ტექნოლოგი (ვებსპეციალისტი), დურგალი, მეფილე-მომპირკეთებელი, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, შემდუღებელი, სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი, ავტომობილის ზეინკალი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი, მზარეული II საფეხური, მზარეული III საფეხური, კონდიტერი, თმის სტილისტი, ბუღალტრული აღრიცხვა, ინფორმაციის ტექნოლოგია, ელექტროობა, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, მეთევზეობა, სატყეო საქმე, შედუღება, ხის მხატვრული დამუშავება, იატაკის და ფილის სამუშაოები, ვეტერინარია, მეცხოველეობა (მესაქონლეობა) – დუალური, მეფუტკრეობა – დუალური, ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება-დუალური, საავტომობილო გზების მშენებლობა, ვებტექნოლოგიები¹¹.

2018-2019 სასწავლო წლისთვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 206 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებს, რომლებშიც კამში 24 532 მოსწავლე ირიცხება¹².

⁸ <http://www.sjuni.edu.ge/ge/>

⁹ წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო


¹⁰ <http://www.sjuni.edu.ge/ge/>

¹¹ <http://www.profkoleji-opizari.ge/>

¹² წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქმიანობის სფეროების მიხედვით, სამცხე-ჯავახეთში, კომპანიების განაწილება შემდეგია: ბიზნესსუბიექტების ნახევარზე მეტი, 52.4% საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროშია თავმოყრილი; 11% – დამამუშავებელ მრეწველობაში, 8.25% მოდის განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფასა და საკვების მიწოდების საქმიანობებზე, რაც რეგიონში ტურიზმის სფეროს განვითარებით და ცნობილი კურორტებით არის განპირობებული; 5.35% მოდის მშენებლობაზე, 4.48% – ტრანსპორტსა და დასაწყობებაზე, 2.92% სხვა სახის მომსახურებაზე, კომპანიათა 2.33% უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობებითაა დაკავებული; პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები 2.27%-ია წარმოდგენილი, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაში – 2.02%; ყველა სხვა დანარჩენ საქმიანობაშია თავმოყრილი კომპანიათა 8.96%.

გრაფიკი 10. სამცხე-ჯავახეთში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით, 2019 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კომპანიების ზომების მიხედვით განსხვავებულია მათი კონცენტრაცია დარგებში. მსხვილი კომპანიები (სულ 3) ორ დარგშია წარმოდგენილი და ესენია დამამუშავებელი მრეწველობა (2 კომპანია) და მშენებლობა (1 კომპანია); რაც შეეხება საშუალო კომპანიებს, აქ ყველაზე მეტი, 25% მშენებლობის სფეროშია წარმოდგენილი, მეორე ადგილზე განათლების სფეროა, კომპანიათა 17%-იანი კონცენტრაციით, ხოლო მესამე ადგილზე – დამამუშავებელი მრეწველობა 14.29%-იანი წილით. მცირე კომპანიების შემთხვევაში ყველაზე კონცენტრირებული დარგები განსხვავებულია და ასე გამოიყურება: საწარმოთა ნახევარზე მეტი, 52.81% საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროშია თავმოყრილი, 10.93% დამამუშავებელ მრეწველობაში, ხოლო 8.29% განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობებში.

ცხრილი 2. კომპანიების განაწილება საქმიანობის სფეროსა და ზომის მიხედვით

საქმიანობის სფერო	კომპანიები ზომის მიხედვით			
	მცირე	საშუალო	მსხვილი	სულ
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1.92%	0.00%	0.0%	1.9%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	0.75%	0.00%	0.0%	0.7%
დამამუშავებელი მრეწველობა	10.93%	14.29%	66.7%	11.0%
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	0.16%	3.57%	0.0%	0.2%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0.13%	7.14%	0.0%	0.2%

მშენებლობა	5.15%	25.00%	33.3%	5.4%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	52.81%	10.71%	0.0%	52.4%
ტრანსპორტი და დასაწყობება	4.46%	7.14%	0.0%	4.5%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	8.29%	3.57%	0.0%	8.2%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1.35%	0.00%	0.0%	1.3%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	0.50%	0.00%	0.0%	0.5%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	2.36%	0.00%	0.0%	2.3%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2.29%	0.00%	0.0%	2.3%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1.92%	3.57%	0.0%	1.9%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0.16%	0.00%	0.0%	0.2%
განათლება	0.75%	17.86%	0.0%	0.9%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1.98%	7.14%	0.0%	2.0%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1.13%	0.00%	0.0%	1.1%
სხვა სახის მომსახურება	2.95%	0.00%	0.0%	2.9%
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	0.00%	0.00%	0.0%	0.0%
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0.00%	0.00%	0.0%	0.0%

პრიორიტეტული დარგები

როგორც კვლევის მეთოდოლოგიაში ითქვა, დარგების შესაფასებლად სპეციალური მოდელია გამოყენებული. ამ მოდელის მიხედვით სამცხე ჯავახეთში დარგები შემდეგნაირად შეფასდა:

ცხრილი 3. შეფასების მოდელის შედეგები – სამცხე-ჯავახეთი

N	დარგი	სამცხე-ჯავახეთი
1	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.153572852
2	სამთო მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.063758601
3	დამამუშავებელი მრეწველობა	0.244795257
4	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	0.114598516
5	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0.819465385
6	მშენებლობა	0.124907973
7	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	0.23604806
8	ტრანსპორტირება და დასაწყობება	0.126497698
9	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.191397846
10	ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.177292369
11	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	0.276669057
12	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.176778858
13	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.070529513

14	განათლება	0.082080564
15	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.06459971
16	ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.25059632
17	სხვა სახის მომსახურება	-----

შეფასების მოდელის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთში დარგები განვითარების დონით შემდეგნაირად განაწილდა:

ცხრილი 4. შეფასების მოდელის შედეგები, ქულების კლესადობით

N	დარგი	სამცხე-ჯავახეთი
1	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0.819465385
2	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	0.276669057
3	ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.25059632
4	დამამუშავებელი მრეწველობა	0.244795257
5	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	0.23604806
6	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.191397846
7	ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.177292369
8	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.176778858
9	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.153572852
10	ტრანსპორტირება და დასაწყობება	0.126497698
11	მშენებლობა	0.124907973
12	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება	0.114598516
13	განათლება	0.082080564
14	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.070529513
15	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.06459971
16	სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.063758601

„საბითუმო და საცალო ვაჭრობა“ ამოვიღეთ ჩამონათვალიდან „აწარმოე საქართველოსთან“ ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე – სააგენტოსთან შეთანხმებით, კვლევის ამოცანად განისაზღვრა პრიორიტეტული დარგების გამოვლენა, გარდა ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოებისა.

„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“ დარგი გამოირიცხა, რადგან ამ დარგის ძირითადი მოთამაშეები სახელმწიფო შპს-ები არიან.

„ხელოვნება, გართობა და დასვენება“ – ამ დარგში მოქმედი კომპანიების ძირითადი რაოდენობა სპორტული კლუბები და აზარტული თამაშების მომწოდებელი კომპანიებია. შესაბამისად, ეს დარგიც გამოირიცხა პრიორიტეტული დარგებიდან.

დარგში მოქმედი კომპანიების თვისობრივი ანალიზის შედეგად სამცხე-ჯავახეთში 5 პრიორიტეტული დარგი გამოვლინდა:

1. დამამუშავებელი მრეწველობა
2. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
3. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
4. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
5. ტრანსპორტირება და დასაწყობება

ეს დარგები თავის თავში ქვედარგებს მოიცავს და საჭიროა, მათი ანალიზი, რათა გამოვლინდეს რომელ ქვედარგებში მეტი დინამიკაა. ქვედარგების პოტენციალის შესაფასებლად კიდევ უფრო დეტალურად შევისწავლეთ დარგების სტრუქტურა. დეტალური ანალიზისთვის გამოვიყენეთ დარგში კომპანიების რაოდენობა და ანალიზის შედეგი მოცემულია ცხრილში 5.

ცხრილი 5. პრიორიტეტული დარგები და მათი ქვედარგები

დარგი	ქვედარგი	ქვედარგის მიმართულება
დამამუშავებელი მრეწველობა	კვების პროდუქტების წარმოება	პურ-ფუნთუშეულის და ცომეული პროდუქტების წარმოება
		რძის პროდუქტების წარმოება
		ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება
	ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან	ხის ხერხვა და რანდვა
		პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისაგან
	რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება
	სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება
		ნაკეთობების წარმოება ბეტონის, ცემენტის და ბათქაშისაგან
		ქვის ქრა, დამუშავება და მოპირკეთება
	ავეჯის წარმოება	
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	
	საკვებით და სასმელებით მომსახურება	
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	იურიდიული და სააღრიცხვო საქმიანობები	იურიდიული საქმიანობები
	არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები; ტექნიკური გამოცდები და ანალიზი	არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტაციები
	სარეკლამო საქმიანობა და ბაზრის გამოკვლევა	რეკლამირება
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა	ერთწლოვანი კულტურების მოყვანა
		მეცხოველეობა
		სოფლის მეურნეობის დამხმარე და მოსავლის აღების შემდგომი საქმიანობები
	მეთყვევობა და ხე-ტყის დამზადება	ხე-ტყის დამზადება
ტრანსპორტი და დასაწყობება	თევზჭერა და აკვაკულტურა	მტკნარი წყლების აკვაკულტურა
	სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით	სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი (გარდა რკინიგზისა) სატვირთო საგზაო ტრანსპორტი

ჩამოთვლილი დარგები სამ კლასტერში შეიძლება, გაერთიანდეს:

- **კვების მრეწველობის კლასტერი**, სადაც შევლენ: პურ-ფუნთუშეულის და ცომეული პროდუქტების წარმოება, რძის პროდუქტების წარმოება, ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა, საკვებით და სასმელით მომსახურება, ტრანსპორტი და დასაწყობება, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა;
- **ტურისტული კლასტერი**, სადაც შევლენ: კვების მრეწველობა, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ასევე, სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა.

- **ხის მრეწველობა**, სადაც შევლენ: ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან, ხე-ტყის დამზადება, ავეჯის წარმოება.

როგორც სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილესთან ჩატარებული ინტერვიუ ცხადყოფს, ტურიზმის და კვების მრეწველობის კლასტერებს მართლაც აქვთ პოტენციური სამცხე-ჯავახეთში: „ყველაზე განვითარებული დარგები რეგიონში ესაა ტურიზმი და სოფლის მეურნეობა – კონკრეტულად მეცხოველეობა: რძის გადამამუშავება და ხორცის წარმოება.

მეცხოველეობის მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლაა – რძის გადამამუშავებელი საწარმოები ძალიან უწყობენ ხელს და იქმნება კოოპერატივები, სადაც ერთიანდებიან ადგილობრივი მაცხოვრებლები და გარანტირებულად აბარებენ რძეს.

ახალქალაქი, ნინოწმინდა და ახალციხე კარტოფილის მწარმოებელი მუნიციპალიტეტებია; ასპინძაში, ბოლო პერიოდში, აქტიურად დაიწყო ძველი მესხური, მივიწყებული ვაზის ჯიშების აღდგენა და ტერასული ვენახების გაშენება, რაც ადგილობრივ მეღვინეობას განავითარებს“.

მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის ცხრილ 4-ში ჩამოთვლილ დარგებში შესაძლებლობები არსებობს შემდეგი მიმართულებებით:

- პროდუქტის დივერსიფიკაცია
- მომსახურების დივერსიფიკაცია
- ჯვარედინი განვითარება
- ვერტიკალური ინტეგრაცია

ინტერვიუებიდან მიღებული საყურადღებო ინფორმაცია

სამცხე-ჯავახეთში მოქმედ მეწარმეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სფეროები, სადაც მეწარმეები თვლიან, რომ ინვესტირება კარგი შედეგის მომტანი იქნებოდა:

- ნაღების და კარაქის წარმოება
- ტურისტებისთვის ხისგან დამზადებული სუვენირები
- ხის მოპოვება
- პლასტმასის საწარმოებისთვის მასალის იმპორტირება
- ხის და სხვა სამშენებლო მასალის (ლამინატი) დასამუშავებელი და საჭრელი დანადგარები
- სამუშაო სივრცეები პროფესიული მომსახურების მომწოდებლებისთვის
- ფრინველის საკვები
- კვერცხის შესაფუთი მასალა

ნიციპალიტეტი, ხულოს მუნიციპალიტეტი, შუახევის მუნიციპალიტეტი, ქედის მუნიციპალიტეტი. აჭარაში სულ 5 მუნიციპალიტეტი, 2 ქალაქი, 5 დაბა და 322 სოფელი.

ბუნებრივი გარემო

აჭარის ბუნებრივი გარემო მრავალფეროვანია მისი გეოგრაფიის შესაბამისად. აჭარის ზღვის-პირეთში სუბტროპიკული ჰავაა თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. ხოლო მაღალმთიანი რაიონები ნაკლებად ტენიანია და დიდთოვლობით გამოირჩევა, რომელიც ზოგჯერ რამოდენიმე მეტრს აღწევს.

ბათუმის ბუნება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავითაა განპირობებული. ბათუმში თბილი, უთოვლო ზამთარი და თბილი ზაფხულია. საშუალო წლიური ტემპერატურაა 15°C, ხშირია კოკისპირული წვიმა. თოვლი იშვიათად მოდის და მალე დნება. ზღვის წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა ნაპირთან 17 გრადუსია. სანაპირო ზოლში კარგად არის გამოხატული ზღვის ბრიზები, რის გამოც სიცხე ნაკლებად შეიგრძნობა. ბათუმის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნებრივი ტბა, რომელიც ამჟამად ბათუმის 26 მაისის პარკის ნაწილია. ქალაქსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები. გორაკ-ბორცვებზე აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი³.

ტურიზმი და კურორტები

ტურიზმის თვალსაზრისით აჭარის რეგიონი გამორჩეულია. აქ უფრო მეტად განვითარებულია სეზონური ტურიზმი შავი ზღვის სანაპირო ზოლზე. „აჭარაში მდებარეობს ბათუმის, კვარიათის, სარფის, გონიოს, ციხისძირის, მწვანე კონცხის და ქობულეთის ულამაზესი პლაჟები, რომლებიც ზაფხულობით უამრავ ტურისტს მასპინძლობს“.⁴

მთიანი აჭარის კურორტებია:

ნიგაბეული – ბათუმიდან 78 კმ-ით დაშორებული სოფელი ზღვის დონიდან 800 მეტრზე მდებარეობს. აქ მდებარეობს XVIII საუკუნის ნიგაბეულის ციხე-გალავანი, ასევე მეჩეთი და მუზეუმი. აქ მდებარეობს ასევე 20 მეტრის სიმაღლის ნიგაბეულის ჩანჩქერი.

გობრონეთი – ზღვის დონიდან 700 მეტრზე მდებარეობს და ბათუმიდან 56კმ-ითაა დაშორებული. აქ მდებარეობს „აჭარული ღვინის სახლი“; მახუნცეთის თემში, ისტორიული ძეგლი – თამარის ხიდი, მახუნცეთის ჩანჩქერი; პირველი მაისის თემში – ცივასულას ციხე-კოშკი, მიწის ხიდი, შერვაშიძეების მარანი; დაბა ქედაში – ისტორიული მუზეუმი, ზვარეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

ბეშუმი – ბათუმიდან 123 კმ-ის დაშორებით მდებარეობს და ზღვის დონიდან 1850-1900 მეტრზეა განლაგებული. ბეშუმი გარშემორტყმულია სუბალპური ზონის წიწვოვანი ტყეებით და გამოირჩევა ჰაერის სისუფთავითა და გამჭვირვალობით. კურორტის კლიმატი სასარგებლოა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების მქონეთა და ბრონქიალური ასთმით დაავადებულთათვის. კურორტი დამსვენებლებს ივნისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის დასაწყისამდე იღებს. აგვისტოს შუა რიცხვებში აქ ტრადიციული სახალხო დღესასწაული შუამთობა ტარდება, რომლის დროსაც სხვადასხვა ღონისძიებასთან ერთად იმართება დოღი.

ჩაქვისთავი – ჩაქვისთავი მდებარეობს მდინარე ჩაქვისწყალზე და მთლიანად გარშემორტყმულია მტირალას ეროვნული პარკით. იგი ყველაზე უხვნალექიანი ადგილია აღმოსავლეთ ევროპაში. დაბა ჩაქვში მდებარეობს „თაფლის სახლი“. ჩაქვისთავიდან 25 კმ-ის დაშორებით მდებარეობს პეტრას ციხე.

გოდერძი – ახალი სამთო-სათხილამურო კურორტია, რომელიც ბათუმიდან 109 კმ-ითაა დაშორებული და ზღვის დონიდან 2000-2366 მ სიმაღლეზეა განლაგებული. კურორტის სათხილამურო ტრასების საერთო სიგრძე 8 კმ-ს შეადგენს და აღჭურვილია გონდოლისა და ბაბლის სახეობის საბაგიროებით. კურორტზე განთავსების ობიექტებია საოჯახო სასტუმროები და კოტეჯები.

კურორტი გომარდული – ასევე სამთო-სათხილამურო კურორტია, რომელიც ბათუმიდან 65 კმ-ითაა დაშორებული და ზღვის დონიდან 1120 მეტრზე მდებარეობს. სათხილამურო ტრასების სიგრძე აქ 300 მეტრია. აღჭურვილია 250 მ. სიგრძის საბაგირო გზით. აქაც, ისევე როგორც გო-

³ <http://old.gobatumi.com/ge/feelit/climate-weather>

⁴ <http://www.gobatumi.com/ka/about-adjara>

დერძიზე, განთავსების ობიექტებს საოჯახო სასტუმროები და კოტეჯები წარმოადგენს.

ასევე აჭარის მთიან კურორტებს შორისაა: მერისი, პირველი მაისი და მაჭახელას ხეობა.

ზღვისპირა აჭარის კურორტებს შორისაა: სარფი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, ჩაქვი, კვარიათი, ქობულეთი.

სარფი – ბათუმიდან 18 კმ-ითაა დაშორებული და საქართველო-თურქეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან მდებარეობს. სარფში მთისა და ზღვის შეჯერებული ჰავა და მყუდრო გარემოა. სარფის სანაპირო ზოლში ზღვის წყალი განსაკუთრებულად გამჭვირვალეა. კურორტზე ზღვის წყლის საშუალო ტემპერატურა +25 გრადუსია. აქ მდებარე სასტუმროები თუ სასტუმროს ტიპის სახლები ზღვასთან ახლოს მდებარეობს.

ციხისძირი – კურორტი ციხისძირი მდებარეობს ბათუმის ჩრდილოეთით, მისგან 17 კმ-ის დაშორებით და გაშენებულია ზღვის დონიდან 60-90 მ-ის სიმაღლეზე. ციხისძირის ჰავა ზღვისა და მთის ჰაერის ნარევის წარმოადგენს. აქ ზაფხულობით უფრო გრილა, ზამთარში კი უფრო თბილა, ვიდრე ბათუმსა და მახინჯაურში.

აქ, მდებარეობს VI საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს მიერ გაშენებული ქალაქი პეტრა.

მწვანე კონცხი – ბათუმიდან 9 კმ-ის დაშორებით მდებარეობს და განლაგებულია ზღვის დონიდან 70-92 მეტრის სიმაღლეზე. მწვანე კონცხის ფერდობებზეა გაშენებული ევროპაში ერთ-ერთი მდიდარი ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ყოველწლიურად ათასობით დამსვენებელი და სტუმარი ათვალიერებს.

კვარიათი – ბათუმიდან სამხრეთით 15 კმ-ის მოშორებით მდებარეობს, საქართველო-თურქეთის საზღვართან. კურორტზე ზღვისა და მთის ჰავაა შეჯერებული და მყუდრო გარემოა. საკურორტო ადგილის სანაპირო ზოლში ზღვის წყალი განსაკუთრებულად გამჭვირვალეა. კურორტზე ზღვის წყლის საშუალო ტემპერატურა +25 გრადუსია. აქ მდებარე სასტუმროები თუ სასტუმროს ტიპის სახლები ზღვასთან ახლოს მდებარეობს. კვარიათის მახლობლად მდებარეობს პირველი საუკუნით დათარიღებული უნიკალური გონიოს ციხე.

ქობულეთი – ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით მდებარეობს და ზღვისპირა აჭარის ერთ-ერთ მთავარ საკურორტო ადგილს წარმოადგენს. კურორტი გამორჩეულია ისტორიული ადგილებით, რბილი სუბტროპიკული ჰავით, იონიზირებული ზღვის ჰაერით, ფიჭვნარით, მცხუნვარე მზითა და თბილი ზღვით. უნიკალურია წვრილქვიშიანი ფართო პლაჟი, რომელიც დამრეცად ეშვება ზღვისკენ. პლაჟები კეთილმოწყობილია, ზღვისპირა ზოლში ჩადგმულია კაფე-ბარები, ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის წყლის ატრაქციონი. ზღვისპირა პარკში უხვადაა სპორტული მოედნები, საზაფხულო კაფე-ბარები, ბუნგალოები თუ რესტორნები. რბილი, ტენიანი, სუბტროპიკული კლიმატი რეკომენდირებულია როგორც დასვენებისთვის, ასევე სამკურნალოდ.

ქალაქი **ბათუმი** შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული დანიშნულების ადგილია. ძველი და ახალი არქიტექტურული შენობებით, უძველესი პორტით, ბოტანიკური ბაღითა და ზღვისპირა ბულვარით, ევროპული მოედნებითა და ქუჩებით, მსოფლიო ბრენდის მაღალი კლასის სასტუმროებითა და კოლორიტული კაფეებით ბათუმი თანამედროვე საქართველოს საუკეთესო სახეა. ბათუმი ქვეყნის ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. აქ ყოველწლიურად მრავალი საერთაშორისო ფესტივალი და ღონისძიება იმართება, რომელშიც ცნობილი მუსიკოსები და ხელოვანები მონაწილეობენ.⁵

2019 წლის 8 ივნისს ბათუმი საერთაშორისო ჯილდოს, ე.წ. „ტურიზმის ოსკარის“ – „World Travel Award 2019“-ის გამარჯვებული გახდა.

ბუნებრივი რესურსები

ნიადაგი. აჭარის ზღვისპირა რაიონებში ფართოდ არის გავრცელებული ტიპიური წითელმიწები. იგი წარმოადგენს სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, ციტრუსი, ტუნგო, დაფნა და სხვა) განვითარების საუკეთესო საფუძველს. კახაბრისა და ქობულეთის დაბლობებზე გავრცელებულია ალუვიალური ნიადაგები, დადაბლებულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით ისპანის ქაობში (ქობულეთი) გავრცელებულია ტორფიან ქაობიანი და ლამიან ქაობიანი ნიადაგები.

⁵ <http://www.gobatumi.com/ka/content/31>

წყალი. აჭარა განსაკუთრებით მდიდარია ჰიდრორესურსებით, მისი მდინარეები შეიცავენ ჰიდროენერგიის მნიშვნელოვან მარაგს. თითქმის ყველა მდინარე შავ ზღვაში ჩაედინება. მხოლოდ მდ. ქვაბლიანი მიეკუთვნება კასპიის ზღვის აუზს მდ.მტკვრის საშუალებით. მდინარეთა დიდ ქსელს ქმნის მდინარე ჭოროხი. სულ აჭარის ტერიტორიაზე მოედინება 16 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 402.6 კმ-ს შეადგენს.

აჭარაში უმნიშვნელო რაოდენობის მცირე ზომის ტბებია. რეგიონი ასევე მდიდარია მიწისქვეშა და მინერალური წყლების მარაგებით.

ტყე. აჭარაში ტყეებს მთლიანი ფართობის 65% უკავია. აქ არის როგორც სუბალპური, ასევე კოლხური შერეული ფოთლოვანი ტყეები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია მუხნარებით, წიფლნარებით, წაბლნარებით, სოჭნარებით, ნაძვნარებითა და ფიჭვნარებით.

სულ ტყის ფონდი შეადგენს 191 603,7 ჰექტარს. მათ შორის სახელმწიფო ნაკრძალი – 13.693 ჰა, ეროვნული პარკი – 15 807,1 ჰა, მწვანე ზონის ტყეები – 6 668,1 ჰა, სასმელი წყლის წყალშემკრები აუზის ზონის ტყეები – 1 990,9 ჰა, დასახლებული პუნქტების მიმდებარე დაცვითი ტყის უბნები – 12 421,9 ჰა, სუბალპური ტყეები – 7 084,1 ჰა, წყლის ობიექტების ნაპირდამცავი ზოლები – 5 869,0 ჰა, ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყეები – 128 069,6 ჰა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტყიანობის მაჩვენებელი გამორჩეულად მაღალია მთლიანად საქართველოს (39,1%), მეზობელი თურქეთის (11%) და მთლიანად მსოფლიოს (27%) შესაბამის მაჩვენებლებთან. ტყის ვერტიკალურ სარტყლებად განაწილების მიხედვით პირველი სარტყელი უჭირავს ტენიან სუბტროპიკებს (ზღვის დონიდან 350 მეტრამდე), მეორე სარტყელი – შერეულ, განიერ-ფოთლოვან კოლხური ტიპის ტყეებს (ზ.დ 350-900 მ-მდე), მესამე სარტყელი – წიფლნარ ტყეებს (ზ.დ. 900-1500 მ-მდე), მეოთხე სარტყელი – სოჭნარ-ნაძვნარ ტყეებს (ზ.დ.900-1500 მ-მდე), მეხუთე სარტყელი – სუბალპურ ტყეებს (ზ.დ. 1800-2300 მ-მდე). ტყის მასივების ყველაზე მეტი წილი მოდის ზ.დონიდან 1000-2000 მ-ის ფარგლებში და შეადგენს 61%.⁶

წიაღისეული. აჭარა საქართველოში ერთ-ერთი მდიდარი მხარეა სასარგებლო წიაღისეულით. ცნობილია ფერადი და კეთილშობილი ლითონების, ქიმიური ნედლეულის, სამშენებლო მასალების, ფერადი და სანაკეთობო ქვების საბადოები და გამოვლინებები. რეგიონი აგრეთვე მდიდარია მინერალური და სასმელი წყლების მარაგებით.

ლითონური საბადოები წარმოდგენილია მერისის ჯგუფის სპილენძ-პოლიმეტალური საბადოებით და რამდენიმე მადანგამოვლინებით. დაძიებული საბადოების სამრეწველო მარაგების ჯამური რაოდენობა შედგენს: ოქრო – 44,5 ტ, სპილენძი – 176,1 ათასი ტ, ტყვია 17,8 ათასი ტ და თუთია – 15,5 ათასი ტ.

სამშენებლო მასალებიდან დაძიებულია მოსაპირკეთებელი ქვების საბადოები: 1. დანისპარაულის დაციტი (1124,0 ათასი მ³), 2) ხალასთავის გაბრო-დიორიტი (550,0 ათასი მ³), 3) სანალიის დაციტი (700,0 ათასი მ³), 4) ნამონასტრევის სიენიტ-დიორიტი (600,0 ათასი მ³); ინერტული მასალები: 1) ინერტული მასალები (11 000,0 ათასი მ³), 2) ხეყრუს დიორიტის (1330,0 ათასი მ³), 3) კინკიშის ანდეზიტის (8765,0 ათასი მ³), 4) დოლოგნის ანდეზიტის (1330,0 ათასი მ³); სააგურე-კერამიკული თიხების: 1) ბრილის (1002,0 ათასი მ³), 2) ოჩხამურის (4000,0 ათასი მ³), 3) ცეცხლაურის (1718,0 ათასი მ³), 4) ჭიხანჯურის (448,0 ათასი მ³), 5) ჭოროხის ქვიშა-ხრეშის (943,0 ათასი მ³).

აჭარა მდიდარია ფერადი, საიუველირო და სანაკეთობო ქვების მნიშვნელოვანი გამოვლინებებით. არსიანის ქედზე აღმოჩენილია იასპის, ოპალის, ქალცედონის, გაქვავებული ხისა და ფისისებური ბაზალტის გამოვლინებები. განსაზღვრულია მათი პროგნოზული რესურსები: აქატი – 212,0 ტ, ოპალიზებული ხე – 1500,0 ტ, ფისისებური ბაზალტი – 2330,0 ტ.

აჭარა მდიდარია ჰიდრომინერალური რესურსებითაც. მინერალური წყლების გამოსავლები გვხვდება როგორც ზღვისპირეთში, ასევე მთიან აჭარაში. წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატულ-სულფატური ნატრიუმიან-მაგნიუმიანია. ასევე გვხვდება ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული რკინა-ალუმინიანი, ნატრიუმიან-კალციუმიანი და სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი წყაროებიც.⁷

⁶ <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?pid=203&gid=1&ppid=190#.XQSXkYgzblU>

⁷ <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?pid=204&gid=1&ppid=190>


დემოგრაფია

მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით აჭარაში საქართველოს მოსახლეობის 9.4% ცხოვრობს და მათი რიცხვი 349 028-ს შეადგენს.

ქალაქი ბათუმი საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქია დედაქალაქ თბილისის შემდეგ. ბათუმში 166 044 ადამიანი ცხოვრობს, რაც საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის 4.5%-ს, ხოლო აჭარის მაცხოვრებელთა 47.6%-ს შეადგენს.

გრაფიკი 1. მოსახლეობა რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, აჭარაში, რეგიონის მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი – 47.6% ქალაქ ბათუმში ცხოვრობს და მათი რიცხვი 166 044-ს შეადგენს. ბათუმის შემდეგ ყველაზე დასახლებული მუნიციპალიტეტია – ქობულეთი, 72 806 მოსახლით, რაც აჭარის 20.9%-ს შეადგენს. მესამე ადგილზეა ხელგანაურის მუნიციპალიტეტი 52 365 მოსახლითა და რეგიონში 15%-იანი წილით. შემდეგ მოდის ხულოს მუნიციპალიტეტი 25 902 მოსახლით და 7.4% წილით. ქედის მუნიციპალიტეტში 16 809 ადამიანი ცხოვრობს და ეს რიცხვი რეგიონის 4.8%-ს შეადგენს. ხოლო ყველაზე ნაკლები მაცხოვრებელი აჭარის რეგიონში შუახევის მუნიციპალიტეტშია და მათი რიცხვი 15 102-ს შეადგენს 4.3% წილით.


ცხრილი 2. მოსახლეობის რაოდენობა აჭარაში

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	მოსახლეობის რიცხოვნობა	წილი საქართველოს მოსახლეობაში	წილი რეგიონის მოსახლეობაში
საქართველო	3,723.5		
აჭარის არ	349.0	9.4%	
ქ. ბათუმი	166.0	4.5%	47.6%
ქედის მუნიციპალიტეტი	16.8	0.5%	4.8%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	72.8	2.0%	20.9%
შუახევის მუნიციპალიტეტი	15.1	0.4%	4.3%
ხელგანაურის მუნიციპალიტეტი	52.4	1.4%	15.0%
ხულოს მუნიციპალიტეტი	25.9	0.7%	7.4%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019წ. 1 იანვარი

აჭარა საქართველოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მხარეა და მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე აქ 119.4-ს უდრის.

გრაფიკი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად


აჭარა ასევე გამოირჩევა მაღალი ურბანიზაციის დონით, რასაც ქალაქი ბათუმი განაპირობებს. საქსტატის 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით აჭარის მოსახლეობის 57% საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს. ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა ჯამში 197 667 ადამიანია, თუმცა, აქედან 166 044 ბათუმის მოსახლეა, რაც აჭარის ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის 84%-ია. რეგიონის მოსახლეობის 43% სოფლად ცხოვრობს და მათი რიცხვი 151 361 ადამიანს შეადგენს.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

აჭარაში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი 52%-ს შეადგენს. დასაქმებულთა შორის კი 48% დაქირავებით დასაქმებულია, ხოლო 52% თვითდასაქმებული. ოფიციალური მონაცემებით აჭარაში უმუშევრობის დონე 2018 წლის მონაცემებით 9.1%-ია.⁸

აჭარაში საქართველოს სხვა რეგიონებს შორის თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ მოსახლეობას შორის ყველაზე დაბალია თბილისის შემდეგ.


გრაფიკი 3. თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ მოსახლეობაში, 2018 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა წილი, შესაბამისად, თბილისის შემდეგ ყველაზე მაღალია.


გრაფიკი 4. დაქირავებით დასაქმებულთა წილი, 2017 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქსტატის 2018 წლის მონაცემების მიხედვით, აჭარაში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო თვიური შემოსავალი 267.4 ლარს შეადგენს. აქედან 249.8 ფულად შემოსავლებზე მოდის, ხოლო 17.6 არაფულად შემოსავლებზე. შემოსავლების მიხედვით აჭარის რეგიონის მაჩვენებელი საქართველოს საშუალო მაჩვენებელს ოდნავ ჩამორჩება.

გრაფიკი 5. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 2018




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აჭარაში, მოსახლეობის შემოსავლების 93% ფულად შემოსავლებზე მოდის. რაც შეეხება ფულადი შემოსავლების განაწილებას, იგი შემდეგია: დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალი 50%-ს შეადგენს. შემოსავლების მეორე ყველაზე დიდი წყარო თვითდასაქმებაა და აქედან მოსახლეობა საშუალოდ 17%-ს იღებს. მესამე ყველაზე დიდი კონტრიბუცია ფულად შემოსავლებში პენსიებზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე მოდის და ჯამში მათი მოცულობა 16%-ს შეადგენს. შემოსავლების 8%-ს მოსახლეობა საჩუქრად იღებს, 4%-ს უცხოეთიდან, 3%-ს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ხოლო ყველაზე ნაკლებს, 2%-ს ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან).

აჭარის რეგიონის მოსახლეობის არაფულადი შემოსავლები ჯამში მიღებული შემოსავლების 7%-ს შეადგენს.


გრაფიკი 6. მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი შემოსავლების განაწილება აჭარაში, 2018 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აჭარის რეგიონში შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი 35%-მდეა და საქართველოს საშუალო მაჩვენებელს აღემატება.

გრაფიკი 7. შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი შინამეურნეობებში რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქსტატი, ჯანდაცვა და სოც. უზრუნველყოფა 2017;
საქსტატი – მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014

შრომის ბაზარი – განათლება და უნარები

აჭარაში, საქსტატის 2018-2019 სასწავლო წლების მონაცემებით 3 სახელმწიფო და 5 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 7 ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. უნივერსიტეტს სწავლების ყველა საფეხური აქვს. მათ შორის პროფესიული განათლების.⁹

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ორი ფაკულტეტი ფუნქციონირებს: საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი და ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეპარტამენტებია: ნავიგაციის დეპარტამენტი, გემთმექანიკური დეპარტამენტი, ელექტრომექანიკური დეპარტამენტი, ზოგადსაინჟინრო დისციპლინათა დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო დისციპლინათა დეპარტამენტი, უცხო ენათა დეპარტამენტი. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეპარტამენტებია: ლოჯისტიკის დეპარტამენტი, ნავსადგურის მართვის დეპარტამენტი, ჰუმანიტარულ და სოციალურ დისციპლინათა დეპარტამენტი.¹⁰

2018 წლის მონაცემებით, რეგიონში 14 პროფესიული სასწავლებელია, რომლებშიც ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 2652-ის ტოლია, ხოლო მასწავლებელთა რიცხოვნობა 686-ს უდრის.¹¹

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოთხ ფაკულტეტზე შემდეგი პროფესიული პროგრამები ხორციელდება: ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე – ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (V საფეხური), ვებ ინტერფეისის დეველოპერი (III საფეხური), ვებ ინტერფეისის დიზაინერი (III საფეხური), ვებ პროგრამისტი (V საფეხური); იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – ბიბლიოთეკარი (IV საფეხური); საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე – პრაქტიკოსი ექთანი (V საფეხური), ფარმაცევტის თანაშემწე (IV საფეხური); ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე – არქიტექტორ-ტექნიკოსი (IV საფეხური, მოდულური პროგრამა), მეფუტკრე (III საფეხური).¹²

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს პროფესიული მომზადების ცენტრი, სადაც შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება: გემბანის რიგითი მეზღვაური, კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი, სამანქანო განყოფილების რიგითი მეზღვაური, ამწის ოპერირება III საფეხური, ამწის ოპერირება IV საფეხური, თევზსაჭერი გემის ნავიგაცია V საფეხური, პორტების ლოჯისტიკის მენეჯმენტი V საფეხური, სატვირთო გადაზიდვების ლოჯისტიკის ოპერირება IV საფეხური, შედუღება III საფეხური, შედუღება IV საფეხური.¹³

2018-2019 სასწავლო წლისთვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 255 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებს, რომლებშიც ჯამში 57 826 მოსწავლე ირიცხება.¹⁴

ბიზნესაქტივობა

იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმი საქართველოში სიდიდით მეორე ქალაქია და შესაბამისად, ბათუმის მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება დანარჩენი აჭარის მონაცემებისაგან, კვლევის შედეგები მეტი სიზუსტისათვის, ქალაქ ბათუმის მონაცემები განცალკევებულია დანარჩენი აჭარის მონაცემებისაგან და ეს ორი ცალ-ცალკეა მოცემული.

საქსტატის 2019 წლის 1 თებერვლის მონაცემების თანახმად, აჭარაში 6 816 მეწარმე სუბიექტია. აქედან 95.2% (6 491 საწარმო) მცირე ზომისაა, 0.4% (27 საწარმო) საშუალო ზომის, მხოლოდ 0.1%-ია მსხვილი საწარმო (5 კომპანია). კომპანიათა 4.3%-ის (293 კომპანია) ზომის შესახებ კი მონაცემები დაუზუსტებელია.

⁹ <https://www.bsu.edu.ge/>

¹⁰ <http://www.bsma.edu.ge/>


¹¹ წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

¹² <https://www.bsu.edu.ge/>

¹³ <http://www.bsma.edu.ge/>

¹⁴ წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.


გრაფიკი 8. აჭარაში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება ზომების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება ბათუმს, აქ მონაცემები ოდნავ განსხვავებულია: ჯამში მოქმედი 10 942 საწარმო-დან 93.8% (10 263 საწარმო) მცირე ზომისაა, 1.4% (148 საწარმო) საშუალო ზომის, ხოლო 0.3% (32 საწარმო) მსხვილია; საწარმოთა 4.5%-ის (499 საწარმო) ზომების შესახებ მონაცემები არ არის დაზუსტებული.


გრაფიკი 9. ბათუმში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება ზომების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკუთრების ფორმების მიხედვით აჭარაში მოქმედი კომპანიები შემდეგნაირად არის გადანაწილებული: კომპანიათა უდიდესი ნაწილი, 80.93% (5 516 კომპანია) ინდივიდუალურ მეწარმეს წარმოადგენს, 18.35% (1 251 კომპანია) – შებლუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, 0.41% (28 კომპანია) ამხანაგობას, 0.16% (11 კომპანია) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, 0.1% (7 კომპანია) კოოპერატივს, მხოლოდ 0.05% (3 კომპანია) სააქციო საზოგადოებას.


გრაფიკი 10. აჭარაში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბათუმის მონაცემები საწარმოთა საკუთრების ფორმების მიხედვით შემდეგია: საწარმოთა ყველაზე დიდი ნაწილი აქვს ინდივიდუალურ მეწარმეებზე მოდის და მთლიანი რაოდენობის 76.37%-ს (8356 საწარმო) შეადგენს, 23.12% (2530 კომპანია) შეზღუდული შესაძლებლობის საწარმოა, 0.27% (29 საწარმო) ამხანაგობას წარმოადგენს, 0.16% (17 საწარმო) სააქციო საზოგადოებას, 0.07% (8 საწარმო) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, 0.02% (2 საწარმო) კოოპერატივს.

გრაფიკი 11. ბათუმში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით, 2019




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქმიანობის სფეროების მიხედვით, აჭარაში საწარმოების განაწილება შემდეგია: კომპანიების ნახევარზე მეტი, 51%, 2451 კომპანია ვაჭრობის სფეროშია ჩართული, მეორე ყველაზე კონცენტრირებული დარგი ტრანსპორტი და დასაწყობებაა 12% წილით და 566 საწარმოთი; მესამე ყველაზე დიდი დარგი დამამუშავებელი მრეწველობაა 9% წილით და 421 საწარმოთი. მას ოდნავ ჩამორჩება განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა 8% წილით და 414 საწარმოთი. მეხუთე ყველაზე კონცენტრირებული დარგია მშენებლობა 7% წილით და 332 კომპანიით. სხვა სახის მომსახურებებში კომპანიების კონცენტრაცია 2%-ია და მათი რიცხვი 107-ს შეადგენს. შემდეგი დარგია პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები კომპანიათა ასევე 2%-იანი წილითა და 84 სუბიექტით. ადმინისტრაციული და დამხმარე საქმიანობების სფეროში ჩართული კომპანიების წილი ასევე 2%-ია და მათი რიცხვი 77-ს შეადგენს. უძრავ ქონებასთან

დაკავშირებული და საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში ჩართული კომპანიების წილი 1%-1%-ია და მათი რიცხვი შესაბამისად 76 და 72-ია. ყველა სხვა დანარჩენ საქმიანობაში ჩართული კომპანიების რაოდენობა ჯამში 224-ს შეადგენს და მათი წილი 5%-ია.


გრაფიკი 12. აჭარაში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბათუმში კომპანიების განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით შემდეგია: ყველაზე მეტი, 3813 კომპანია ვაჭრობის სფეროშია კონცენტრირებული, რაც ბათუმში მოქმედ საწარმოთა 45%-ს შეადგენს. მეორე ყველაზე კონცენტრირებული დარგია მშენებლობა 9% წილით და 741 კომპანიით. მას მოსდევს განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა ასევე 9% წილითა და 739 კომპანიით. მეოთხე ყველაზე კონცენტრირებული დარგი ტრანსპორტი და დასაწყობებაა 8% წილით და 669 კომპანიით. მას მოსდევს დამამუშავებელი მრეწველობა ასევე 8% წილით და 646 კომპანიით. საწარმოთა 4% პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებზე მოდის და მათი რიცხვი 337-ს შეადგენს. საწარმოთა განაწილების მიხედვით 3%-3% წილი უჭირავს უძრავი ქონებით მომსახურებებსა და სხვა სახის მომსახურებებს შესაბამისად 265 და 297 კომპანიით. 2%-2%-ია წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-დამხმარე საქმიანობებსა და საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობებში 220 და 172 კომპანიით. ყველა სხვა დანარჩენ დარგში საწარმოთა 7%-ია თავმოყრილი და მათი რიცხვი 568-ს შეადგენს.

გრაფიკი 13. ბათუმში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აჭარაში კომპანიები ზომების მიხედვით განსხვავებულია მათი კონცენტრაცია დარგებში.

მსხვილი კომპანიები (სულ 5) სამ დარგშია წარმოდგენილი და ესენია დამამუშავებელი მრეწველობა (2 კომპანია), განათლება (2 კომპანია) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა (1 კომპანია):

ცხრილი 3. კომპანიების განაწილება ზომისა და დარგის მიხედვით, აჭარა

საქმიანობის სფერო	კომპანიები ზომის მიხედვით			
	მცირე	საშუალო	მსხვილი	სულ
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.96%	0.00%	0.0%	1.0%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	0.54%	0.00%	0.0%	0.5%
დამამუშავებელი მრეწველობა	8.68%	10.71%	40.0%	8.7%
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	0.06%	3.57%	0.0%	0.1%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0.08%	3.57%	0.0%	0.1%
მშენებლობა	6.89%	7.14%	0.0%	6.9%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	51.01%	25.00%	0.0%	50.8%
ტრანსპორტი და დასაწყობება	11.81%	0.00%	0.0%	11.7%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	8.60%	3.57%	20.0%	8.6%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.29%	0.00%	0.0%	0.3%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	1.50%	0.00%	0.0%	1.5%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1.57%	3.57%	0.0%	1.6%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1.75%	0.00%	0.0%	1.7%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1.59%	3.57%	0.0%	1.6%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0.17%	0.00%	0.0%	0.2%
განათლება	0.54%	14.29%	40.0%	0.7%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.98%	10.71%	0.0%	1.0%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.69%	14.29%	0.0%	0.8%
სხვა სახის მომსახურება	2.23%	0.00%	0.0%	2.2%
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	0.02%	0.00%	0.0%	0.0%
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0.02%	0.00%	0.0%	0.0%

ბათუმში მსხვილი კომპანიები რაოდენობა ჯამში 32-ს შეადგენს და სულ 9 დარგშია წარმოდგენილი. ყველაზე მეტი მსხვილი კომპანია მშენებლობასა (9) და ხელოვანება-გართობა-დასვენების (5) სფეროებშია:

ცხრილი 4. კომპანიების განაწილება ზომისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით, ბათუმი

საქმიანობის სფერო	ბათუმი, კომპანიები ზომების მიხედვით			
	მცირე	საშუალო	მსხვილი	სულ
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.51%	0.68%	0.0%	0.5%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	0.41%	0.68%	0.0%	0.4%
დამამუშავებელი მრეწველობა	7.60%	8.84%	9.4%	7.6%
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	0.05%	0.00%	0.0%	0.0%

ქულების კლების მიხედვით კი ბათუმში დარგების შეფასება ასე გამოიყურება:

ცხრილი 8. ბათუმში დარგების შეფასება ქულების კლების მიხედვით

N	დარგი	ბათუმი
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	0.2140822
S	სხვა სახის მომსახურება	0.182688354
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.162316875
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.150704812
F	მშენებლობა	0.147583037
H	ტრანსპორტირება და დასაწყობება	0.111290409
C	დამამუშავებელი მრეწველობა	0.096156573
A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.070389165
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	0.068392492
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.062601046
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.060316346
B	სამთო მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.05598721
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.05004289
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.029512023
P	განათლება	0.023976772

როგორც ვხედავთ, ბათუმში და აჭარაში შეფასების მოდელმა ერთი და იგივე შედეგი მოგვცა. ამგვარი სურათის სავარაუდო მიზეზია ის, რომ აჭარის ეკონომიკა, ძირითადად, ბათუმზეა მიბმული და მის ტრენდს იმეორებს. ჩვენ დამატებით, შევისწავლეთ ბათუმში დარგების სტრუქტურა, რათა გვეჩვენა, ხომ არ განსხვავდება ის აჭარის დარგების სტრუქტურისგან. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მართლაც, აჭარის (ბათუმის გარდა) და ბათუმის დარგების სტრუქტურა, კომპანიების კონცენტრაციის მიხედვით, განსხვავდება. ბათუმის დარგების სტრუქტურის ანალიზით შემდეგი პრიორიტეტული დარგები და ქვედარგები გამოვლინდა:

ცხრილი 9. პრიორიტეტული დარგები და მათი ქვედარგები ბათუმში

დარგი	ქვედარგი	ქვედარგის მიმართულება
სხვა სახის მომსახურება	კომპიუტერების, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი	კომპიუტერების და საკომუნიკაციო მოწყობილობების რემონტი
		პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი
	სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები	გამაჯანსაღებელი საქმიანობები საპარკმახეროების და სხვა სილამაზის საღონების მომსახურება
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	
	საკვებით და სასმელებით მომსახურება	რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები
		საკვების მიწოდება ღონისძიებებისათვის და საკვებით მომსახურების სხვა საქმიანობები
		სასმელებით მომსახურების საქმიანობები

მშენებლობა	შენობების და ნაგებობების მშენებლობა	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა
	სამოქალაქო მშენებლობა	გზების და ავტობანების მშენებლობა გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა
	სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები	ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები
		სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად
ტრანსპორტი და დასაწყობება	სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით	სატვირთო საგზაო ტრანსპორტი გადაზიდვის მომსახურება
	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანოები	ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანოები
		სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება
დამამუშავებელი მრეწველობა	კვების პროდუქტების წარმოება	ხორცის გადამამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება
		პურ-ფუნთუშეულის და ცომეული პროდუქტების წარმოება
		ყავის გადამამუშავება
	ავეჯის წარმოება	
	რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება
	სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	ნაკეთობების წარმოება ბეტონის, ცემენტის და ბათქაშისაგან ქვის ქრა, დამუშავება და მოპირკეთება
	ლითონის მზა ნაწარმის წარმოება მანქანების და მოწყობილობების გარდა	ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება ლითონების დამუშავება და დაფარვა; მანქანათმშენებლობის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები
	ტანსაცმლის წარმოება	
ხელოვნება, გართობა, დასვენება	საქმიანოები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	გართობის და დასვენების სხვა საქმიანოები (სხვადასხვა გასართობი ცენტრები)

ბათუმში დარგები და მათი ქვედარგები ორ მთავარ კლასტერში შეიძლება გაერთიანდეს. ესენია ტურისტული და სამშენებლო. თუმცა, მათი კომპოზიცია განსხვავდება აჭარის ტურისტული და სამშენებლო კლასტერებისგან.

ტურისტული კლასტერი: განთავსება და საკვების მიწოდება; გართობა, დასვენება და ხელოვნება.

სამშენებლო კლასტერი: მშენებლობა (სამივე ქვედარგით), ტრანსპორტი და დასაწყობება, ავეჯის წარმოება, რეზინის და პლასტმასის ნაკეთობების წარმოება, არალითონური მინერალური პროდუქტის წარმოება, ლითონის პროდუქტის წარმოება.

ინტერვიუებიდან მიღებული საყურადღებო ინფორმაცია

ქვემოთ მოცემულია ბათუმში და დანარჩენ აჭარაში მეწარმეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოვლენილი რამდენიმე იდეა, სადაც მათი აზრით, ინვესტირება წარმატებული იქნება.

აჭარა:

- დისტრიბუცია საკვები პროდუქციის კურორტებამდე, როგორც მაცივრიანი, ისე უმაცივრო

- სტამბა საბეჭდი რომელიც აწარმოებს რულონზე ბეჭდვას, შესაფუთი მასალისთვის და ასევე ცელოფანის პარკებისთვის რომელიც სამწუხაროდ არ არის საერთოდ აჭარის რეგიონში
- მინის დასამუშავებელი დანადგარები
- ხის დასამუშავებელი დანადგარები (მაგალითად კუთხეების დასამუშავებელი)
- მანქანის ზეთების და სხვა ნაწილების რეგიონში შეძენის შესაძლებლობა – დღეს უკვე თავნებოვან თურქეთში.

ბათუმი:

- ქსელური მიწოდების სერვისი რომ ჩამოყალიბდეს, როგორც სუპერმარკეტებს მიწოდებათ ისე რომ იყოს და ერთიანად მოგვანოდოს კომპანიამ ქიმიური საშუალებები, თეთრეული, ჰიგიენური საშუალებები და ასე შემდეგ და ჩვენ არ გვიწევდეს ცალ-ცალკე ასეთი კომპანიების მოძიება – სასტუმროს მეპატრონე
- ბეტონის მიღების და ქვების საწარმო რომ იყოს. რაც საქართველოში პრაქტიკულად არ იწარმოება, შესაბამისად შემოგვაქვს თურქეთიდან და გაცილებით ძვირია
- პროდუქტის (ყავის) შესაფუთი მასალა, რასაც თბილისიდან უკვე თავნებოვან
- ვაკუუმის ცელოფანი, ასევე, უკვე თავნებოვან თბილისიდან
- ხელოვნური ქვების ჩამოსახმელის დანადგარი.

მცხეთა-მთიანეთი

რეგიონის ზოგადი აღწერა

მდებარეობა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში. რეგიონის ფართობი საქსტატის 2014 წლის მონაცემებით 5606 კვ.კმ-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 10% –ს შეადგენს.

მცხეთა-მთიანეთი ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკებს: ჩრდილოეთ ოსეთს, ინგუშეთსა და ჩეჩენეთს, აღმოსავლეთით – კახეთის რეგიონს, სამხრეთით – ქვემო ქართლს, ხოლო დასავლეთით კი შიდა ქართლს. ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით რეგიონი მოიცავს შემდეგ პროვინციებს: ხევი, ერწო-თიანეთი, ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი და ნაწილობრივ, ქსნისხევი¹.

ადმინისტრაციული მოწყობა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი აერთიანებს 2 ქალაქს (მცხეთა და დუშეთი), 5 დაბას (ჭინვალი, ფასანაური, თიანეთი, სიონი, სტეფანწმინდა) და 480 სოფელს. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მოიცავს შემდეგ მუნიციპალიტეტებს:

1. დუშეთის
2. თიანეთის
3. მცხეთის
4. ყაზბეგის

მხარის ადმინისტრაციული ცენტრია თვითმმართველი ქალაქი მცხეთა.

ბუნებრივი გარემო

მცხეთა-მთიანეთის ბუნებრივ გარემოს განაპირობებს კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიანი მთები ზღვის დონიდან 3500 მ-ისა და 5000 მ-ის სიმაღლის მწვერვალებითა და უღელტეხილებით, ულამაზესი ხეობა ტბებით და ალპური მინდვრები. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობს ჯვრის უღელტეხილი, რომელიც ერთ-ერთი კავკასიონის ქედზე არსებული რამდენიმე უღელტეხილიდან.

¹ წყარო: დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ვებგვერდი

რეგიონი მდიდარია ჰიდრორესურსებით. ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნიან მდინარეები: მტკვარი, არაგვი, ქსანი, თერგი და მათი შენაკადები. აღსანიშნავია ბუნებრივი ტბები და წყალსაცავები: ბაზალეთის ტბა, ლისის ტბა, ჯვრის ტბა, ჟინვალის წყალსაცავი, აბუდელაურის ტბები.

მხარე ასევე მდიდარია ტყის მასივებით, აქ გავრცელებულია შემდეგი ხის ჯიშები: წიფელი, მუხა, თელა, რცხილა და ა.შ.²

ტურიზმი და კურორტები

მცხეთა-მთიანეთის მთიანი ტერიტორიები და მთისწინეთი საკმაოდ საინტერესო და პერსპექტიულ რაიონს წარმოადგენს ტურიზმისა და საკურორტო მიმართულებების განვითარებისათვის. ზოგადად მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების, როგორც ტურიზმისა და კურორტების, მნიშვნელობას ზრდის ამ მხარის ჯანმრთელი ჰავა და საკმარისი რაოდენობის მინერალური და სამკურნალო წყაროები, რომელთა მიზნობრივი და კომპლექსური გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია აღდგეს და ხელახლა შეიქმნას სხვადასხვა პროფილის კლიმატურ-ბალნეოლოგიური ცენტრები.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია ტურიზმის განვითარების სფეროში. ოთხივე მუნიციპალიტეტი და ქალაქი მცხეთა გამოირჩევა ისტორიული წარსულით, ძეგლებით, ადათ-წესებით და ტრადიციებით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქ. მცხეთა, რომელიც იუნესკოს ძეგლია. საინტერესო და ტურისტებისთვის ძალიან მიმზიდველია რეგიონის მთიანეთი, სადაც ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარების დიდი პოტენციალია: კულტურული, მომლოცველობითი, არქეოლოგიური, სათავგადასავლო, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სამთო-სათხილამურო, ექსტრემალური და ტურიზმის სხვა სახეობები.

ტურიზმის სწრაფი ტემპით განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები. ამ ორი ტურისტული ობიექტისადმი ინტერესი ყოველთვის არსებობდა. რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულმა განვითარებამ განაპირობა ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მატება. ამასთან, თანდათან იზრდება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი საოჯახო სასტუმროებისა და სხვა ტურისტული მომსახურების ობიექტების მოწყობის მიმართ.³

ბუნებრივი რესურსები

რეგიონში აღმოსავლეთ კავკასიონის მდინარეთა წლიური ჩამონადენი 4063 მილიონი კუბური მეტრია. მდინარეთა პოტენციური სიმძლავრე 1 მლნ. კილოვატია, რაც შეადგენს საქართველოს მდინარეთა პოტენციური მარაგის 6.4%-ს. ჰიდროენერგიის მარაგით გამოირჩევა მდინარე არაგვი, რომლის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი 0.5 მლნ. კილოვატს უდრის და მდინარე თერგი (საქართველოს ფარგლებში) – 0.23 მლნ. კილოვატი პოტენციალით. წყაროების ნაწილი სრულყოფილად არ არის შესწავლილი და აღრიცხული.

რეგიონში მრავლადაა სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადო: **სპილენძი** – საბადო მდებარეობს ყაზბეგის რაიონში, სოფელ გველეთიდან 10 კილომეტრის დაშორებით და ცნობილია დევდორაკის საბადოს სახელით. მარაგი დიდია, თუმცა ბოლომდე შეუსწავლელი; **პოლილითონები** – ტყვია-თუთის მცირე გამოსასვლელებია შენიშნული მდინარე ასას ხეობაში, მაგრამ დაბალია მაღნის კონცენტრაცია. ყაზბეგის რაიონში ასევე არის სტიბიუმის (სურმა) უმნიშვნელო ოდენობა; **ანდეზიტი** – მდინარე თერგისა და მისი მარცხენა შენაკადების ხეობებში ცნობილია არშის, საკუცეტოსა და სხვა საბადოები ერთიანი მარაგით 3638 ათასი კუბური მეტრი. **კვარციტები** – სამრეწველო მნიშვნელობის საბადოებია დაბა სტეფანწმინდასთან; **საშენი ფიქლები** – საბადოები მრავლადაა გამოვლენილი საქართველოს სამხედრო გზისა და ფშავ-ხევსურეთის არაგვის ხეობის გასწვრივ; **მთის ბროლი და გრაფიტი** – მცირე საბადოებია ასევე დაბა სტეფანწმინდასთან, თუმცა შესასწავლია მისი გამოყენების შესაძლებლობები და მასშტაბები; **დიაბაზი** – სოლიდური მარაგებია სოფლების, ჯუთისა და როშკის მიდამოებში (სავარაუდოდ მარაგები 10 მლნ. კუბური მეტრი) მათ სამრეწველო გამოყენების დიდი პერსპექტივები გააჩნიათ; მდინარე არაგვის სისტემა განაპირობებს ინერტული მასალების ქსელურ განვითარებას. **ქვიშა-ხრეში** აქტიურად მოიპოვება დუშეთის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში.

რეგიონის წყლის რესურსები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის სოციალურ-ეკონომიკურ

² წყარო: <http://www.mtskheta-mtianeti.gov.ge/>

³ წყარო: <http://www.mtskheta-mtianeti.gov.ge/page/full/18/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90>


ცხრილი 2. მოსახლეობის რაოდენობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტი	რაოდენობა (ათასი)	წილი საქართველოს მოსახლეობაში	წილი რეგიონის მოსახლეობაში
მცხეთა-მთიანეთი	93.6	2.5%	
დუშეთის მუნიციპალიტეტი	26.2	0.7%	27.9%
თიანეთის მუნიციპალიტეტი	10.1	0.3%	10.8%
მცხეთის მუნიციპალიტეტი	53.6	1.4%	57.2%
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	3.8	0.1%	4.1%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 წ. 1 იანვარი

მცხეთა-მთიანეთში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 16.7-ს უდრის და ერთ-ერთი დაბალია საქართველოში.

გრაფიკი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად

მცხეთა-მთიანეთში 2 ქალაქი, 5 დაბა და 480 სოფელია. საქსტატის 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის 24% საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს და მათი რიცხვი 22 077-ს შეადგენს. სოფლად მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი – 76% ცხოვრობს და მათი რიცხვი 71 559-ს შეადგენს. საშუალოდ, საქართველოში, მოსახლეობის 43.6% ცხოვრობს სოფლად. მცხეთა-მთიანეთის მაჩვენებელი მთლიანი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება, რაც თავის მხრივ ურბანიზაციის საკმაოდ დაბალ დონეზე მიუთითებს.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა


15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი რეგიონში 64%-ს უდრის. თავის მხრივ, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაცხოვრებლების დასაქმებულ ნაწილში 59% – თვითდასაქმებულია.

გრაფიკი 3. თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ მოსახლეობაში, 2017 (%)




ხოლო დაქირავებით დასაქმებულების წილი რეგიონში დასაქმებულთა შორის 41%-ს შეადგენს.

გრაფიკი 4. დაქირავებით დასაქმებულთა წილი, 2017 (%)




რაც შეეხება ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის აღნიშნული მაჩვენებელი განცალკევებით არ აღირიცხება და მხოლოდ გურიასა და სამცხე-ჯავახეთთან გაერთიანებული მოიპოვება. ამ მაჩვენებლის მიხედვით, აღნიშნულ სამ რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია და 242.8 ლარს შეადგენს. ეს მონაცემი საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (284.7 ლარი) მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

გრაფიკი 5. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 2018 (%)



მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის 89%-ს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები შეადგენენ, ხოლო 11%-ს არაფულადი შემოსავლები. ფულადი შემოსავლებიდან ყველაზე მეტი, 40% დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალია, 25% მოდის პენსიებზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე, შემოსავლების 13%-ს მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან იღებს, 8%-ს თვითდასაქმებიდან, 7% საჩუქრად მიღებული ფულია, 6% უცხოეთიდან მიღებული გზავნილები, ხოლო ქონებიდან (გაქირავებიდან და ანაბრებიდან პროცენტი) მიღებული შემოსავალი მხოლოდ 1%-ს უდრის.


გრაფიკი 6. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება მცხეთა-მთიანეთში, 2018 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ყურადსაღებია, რომ რეგიონში მოსახლეობის შემოსავლების სიდიდით მეორე კომპონენტი პენსიებზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე მოდის. ამასთან, შემწეობის მიღებაზე რეგისტრირებულ ოჯახთა წილი შინამეურნეობებს შორის მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 40%-ს აღწევს, რაც ხაზს უსვამს რეგიონში არსებულ სოციალურ მდგომარეობას.

გრაფიკი 7. შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი შინამეურნეობებში რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქსტატი, ჯანდაცვა და სოც. უზრუნველყოფა 2017; საქსტატი – მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014

შრომის ბაზარი – განათლება და უნარები

2017-2018 სასწავლო წლის მონაცემებით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მხოლოდ ერთი და ისიც კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს.

რაც შეეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რეგიონის შესახებ ცალკე სტატისტიკური მონაცემი არ აღირიცხება და 2018 წლისთვის გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ჯამში 4 ასეთი დაწესებულება ირიცხებოდა.

ერთ-ერთი ასეთი პროფესიული დაწესებულება, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი, რომელიც სოფელ წინამძღვრიანთკარში მდებარეობს, შემდეგ პროგრამებს ახორციელებს: მეფუტკრე; მეხილეობა (კურკოვანი კულტურები / თესლოვანი კულტურები / კაკლოვანი კულტურები); სატყეო საქმე; ელექტროობა; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი; ტრაქტორისტ-მემანქანე; თმის სტილისტი; სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი; მევენახეობა-მელვინეობა.


გუდაურში, 2016 წლის აგვისტოდან, ფუნქციონირებს „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“, რომელიც ორ პროგრამას ახორციელებს: საფეხმავლო გამყოლის (მესამე საფეხური) და სამთო გამყოლის (მეოთხე საფეხური).

2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 88 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებდა, რომლებშიც ჯამში 11 899 მოსწავლე ირიცხება.

ბიზნესაქტივობა

მცხეთა-მთიანეთში, 2019 წლის 1 თებერვლის მონაცემებით სულ 3 075 საწარმოა. მათგან 7 საწარმო (0.23%) მსხვილია, 27 (0.88%) საშუალო, ხოლო 2 878 (93.59%) მცირე ზომის საწარმოს წარმოადგენს. საწარმოთა 5.3%-ისთვის (163 საწარმო) ზომების შესახებ მონაცემები არ არის აღრიცხული.


გრაფიკი 8. მცხეთა-მთიანეთში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება ზომების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკუთრების ფორმების მიხედვით მცხეთა-მთიანეთში მოქმედი კომპანიები შემდეგნაირად არის გადანაწილებული: საწარმოთა 80.29% (2 469 საწარმო) ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით ფუნქციონირებს, 18.44% (567 საწარმო) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს, 0.94% (29 საწარმო) – ამხანაგობაა, 0.2% (6 კომპანია) სააქციო საზოგადოებაა, ხოლო 0.13% (4 საწარმო) კოოპერატივი.


გრაფიკი 9. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით, 2019 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქმიანობის სფეროების მიხედვით მცხეთა-მთიანეთის რეგიონის კომპანიები შემდეგნაირადაა განაწილებული: ყველაზე მეტი კომპანია, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, აქაც საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროებშია თავმოყრილი და კომპანიების მთლიანი რაოდენობის 45.6%-ს შეადგენს. მეორე ყველაზე კონცენტრირებული დარგი – ტრანსპორტი და დასაწყობებაა 13.5%-იანი წილით. სიდიდით მესამე დარგი დამამუშავებელი მრეწველობაა 9.2%-იანი წილით, ხოლო მას ოდნავ ჩამორჩება განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა 9.1%-იანი წილით. მეხუთე მსხვილი კონცენტრაციის დარგია მშენებლობა 5.8%-იანი წილით; მეექვსე ადგილზეა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები 2.7%-იანი წილით. მას მოსდევს ადმინისტრაციული საქმიანობები 2.5%-ით და სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა 2.2%-იანი წილით.

გრაფიკი 10. მცხეთა-მთიანეთში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით, 2019 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება კომპანიების განაწილებას დარგებში ზომების მიხედვით, იგი ასე გამოიყურება: მსხვილი კომპანიების 71% კონცენტრირებულია დამამუშავებელ მრეწველობაში, 14.3% საბითუმო და საცალო ვაჭრობაში და ასევე 14.3% განათლებაში. საშუალო ზომის კომპანიების 22.22% მშენებლობაშია თავმოყრილი, 18.52% საბითუმო და საცალო ვაჭრობის დარგში, ხოლო 14.81% დამამუშავებელ მრეწველობას წარმოადგენს. რაც შეეხება მცირე კომპანიების განაწილებას ყველაზე კონცენტრირებულ სამ დარგში, იგი შემდეგია: 46.08% კომპანიების საცალო და საბითუმო ვაჭრობის დარგში მოღვაწეობს, 13.76% ტრანსპორტისა და დასაწყობების სფე-

როშია წარმოდგენილი, ხოლო მესამე ადგილზე 9.09%-იანი წილით განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა/საკვების მიწოდების საქმიანობებია.

უფრო დეტალურად, საწარმოთა ზომების მიხედვით განაწილება საქმიანობის სფეროებში, ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი:

საქმიანობის სფერო	მცხეთა-მთიანეთი			
	მცირე	საშუალო	მსხვილი	სულ
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	2.26%	0.00%	0.0%	2.2%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1.35%	0.00%	0.0%	1.3%
დამამუშავებელი მრეწველობა	8.90%	14.81%	71.4%	9.2%
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	0.05%	0.00%	0.0%	0.0%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0.19%	0.00%	0.0%	0.2%
მშენებლობა	5.58%	22.22%	0.0%	5.8%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	46.08%	18.52%	14.3%	45.6%
ტრანსპორტი და დასაწყობება	13.76%	0.00%	0.0%	13.5%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	9.09%	11.11%	0.0%	9.1%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.43%	0.00%	0.0%	0.4%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	0.48%	0.00%	0.0%	0.5%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1.88%	0.00%	0.0%	1.8%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2.65%	3.70%	0.0%	2.7%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	2.41%	7.41%	0.0%	2.5%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0.14%	3.70%	0.0%	0.2%
განათლება	0.67%	7.41%	14.3%	0.8%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1.68%	7.41%	0.0%	1.8%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.67%	0.00%	0.0%	0.7%
სხვა სახის მომსახურება	1.73%	3.70%	0.0%	1.8%

პრიორიტეტული დარგები

როგორც კვლევის მეთოდოლოგიაში ითქვა, დარგების შესაფასებლად სპეციალური მოდელია გამოყენებული. ამ მოდელის მიხედვით მცხეთა-მთიანეთში დარგები შემდეგნაირად შეფასდა:

ცხრილი 3. შეფასების მოდელის შედეგები, ქულების კლებადობით

N	დარგი	მცხეთა-მთიანეთი
1	ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.3455266
2	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	0.33954771
3	ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.210023749
4	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	0.128757144
5	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.12089549
6	ტრანსპორტირება და დასაწყობება	0.104565723
7	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.103801499
8	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.096837452

9	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.094927392
10	დამამუშავებელი მრეწველობა	0.080749857
11	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.073818494
12	მშენებლობა	0.051779076
B	სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.002751543

შეფასების მოდელმა, განვითარების არსებული დონისა და განვითარების პოტენციალით შემდეგი დარგები გამოარჩია მცხეთა მთიანეთში:

დარგებში მოქმედი კომპანიების თვისობრივი ანალიზის შედეგად საბოლოოდ შემდეგი 6 პრიორიტეტული დარგი გამოვლინდა მცხეთა-მთიანეთში:

1. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
2. ჯანდაცვა
3. ტრანსპორტირება და დასაწყობება
4. ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
5. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
6. დამამუშავებელი მრეწველობა

ეს დარგები თავის თავში ქვედარგებს მოიცავს და საჭიროა, მათი ანალიზი, რათა გამოვლინდეს რომელ ქვედარგებში მეტი დინამიკაა. ქვედარგების პოტენციალის შესაფასებლად კიდევ უფრო დეტალურად შევისწავლეთ დარგების სტრუქტურა. დეტალური ანალიზისთვის გამოვიყენეთ დარგში კომპანიების რაოდენობა და ანალიზის შედეგი მოცემულია ცხრილში 4.

ცხრილი 4. პრიორიტეტული დარგები და მათი ქვედარგები

დარგი	ქვედარგი	ქვედარგის მიმართულება
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	საკუთარი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა	
	საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვა	
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	ჯანდაცვის საქმიანობები	სამედიცინო და სტომატოლოგიური პრაქტიკის საქმიანობები
		საავადმყოფოების საქმიანობები
ტრანსპორტი და დასაწყობება	სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით	საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი
	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები	სატვირთო საგზაო ტრანსპორტი
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი	
	სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი	
	ტურისტული სააგენტოების და ტუროპერატორების საქმიანობები	

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	
	საკვებით და სასმელებით მომსახურება	
დამამუშავებელი მრეწველობა	კვების პროდუქტების წარმოება	ხორცის გადამამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება
		ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავება და დაკონსერვება
		რძის პროდუქტების წარმოება
		პურ-ფუნთუშეულის და ცომეული პროდუქტების წარმოება
		კვების სხვა პროდუქტების წარმოება (მზა კერძები, შაქარი, სხვა)
	ავიჯის წარმოება	
	სასმელების წარმოება	
	სხვა არაალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	ნაკეთობების წარმოება ბეტონის, ცემენტის და ბათქაშისაგან

მცხეთა-მთიანეთში რამდენიმე დარგი შესაძლოა ტურისტულ კლასტერად განვიხილოთ: ესენია:

- კვების პროდუქტების წარმოება
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა
- ტურისტული სააგენტოების და ტურ-ოპერატორების საქმიანობები

ინტერვიუებიდან მიღებული საყურადღებო ინფორმაცია

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 19 მეწარმე სხვადასხვა (პრიორიტეტული) დარგებიდან. მათი უმრავლესობა კითხვაზე, რა დარგი ვითარდება ყველაზე მეტად რეგიონში ასახელებს ტურიზმსა და ვაჭრობას. გარდა ამისა, მეწარმეების თქმით, რეგიონში, ასევე, ვითარდება ოფთალმოლოგიური კლინიკები და ზოგადად სამედიცინო კლინიკები, ხორციტ ვაჭრობა. ზოგიერთი მეწარმე თვლის, რომ რეგიონში არსებობს სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობის პოტენციალი. ერთ-ერთი მეწარმე, „მაუნტინ ფრიქსის“ წარმომადგენელი ამბობს, რომ ექსპედიციებისთვის სჭირდებათ შეფუთული და მშრალი საკვები: „საკვები პროდუქტები რომლებიც გვჭირდება ჩვენი ტურებისთვის შემოგვაქვს ჰოლანდიიდან და ვისურვებდით რომ აქაც იყოს, ზოგადად ჭირს საქართველოში ასეთი ტიპის საკვები და რაც არის, ისიც უხარისხოა“.

რძის გადამამუშავებელი და ყველის საწარმოს სურვილია „ადგილობრივად რომ იყოს რძის საწარმო, სადაც რძეს გარდაქმნიან ფხვნილად მაგრამ როგორც ვიცი ეს ძალიან რთული საქმეა და შორეული პერსპექტივაა, ამიტომ რძის ფხვნილს ვყიდულობთ ხან ამერიკიდან ხან თურქეთიდან და თან აღმოჩნდება ხოლმე რომ ხარისხი არ არის ისეთი კარგი და მერე გვიწევს ისევ ახლის ძებნა“.

„ინტრაკო ჯორჯიას“ წარმომადგენელი (ცხოველის საკვების მწარმოებელი კომპანია) კი ამბობს, რომ „ადგილობრივად ძალიან ცოტა სასუქი და პესტიციდები იწარმოება, შესაბამისად გვიწევს იმპორტირებულის შეძენა, ფასიც არის საკმაოდ მაღალი, ასე რომ საქართველოში რომ იწარმოებოდეს რა თქმა უნდა უკეთესი იქნებოდა და ამის დიდი სურვილი გვაქვს.. ასევე ვისურვებდი აგრო საკონსულტაციო ცენტრის გახსნას ჩვენს რეგიონში, რომელიც გაუწევდა გლეხებს კონსულტაციას, მიაწვდიდა მათ სწორ ინფორმაციას ფერმის ცხოველების დაავადებების შესახებ, სწორად დადგინდებოდა დაავადება და შესაბამისად დაინიშნებოდა სწორი მკურნალობა. ეს ძალიან გვაკლია რეგიონში დღესდღეობით“.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი



რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

რეგიონის ზოგადი აღწერა

მდებარეობა

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების: რაჭის, ლეჩხუმის და სვანეთის (ნაწილობრივ) ტერიტორიებს. რეგიონის ფართობი საქსტატის 2014 წლის 1 მარტის მდგომარეობით 4600 კმ²-ია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 6,6%-ია.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთი (ჩრდ. ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი), საქართველოში კი მესტიის მუნიციპალიტეტი; დასავლეთით – სამეგრელოს რეგიონი; სამხრეთით იმერეთის მუნიციპალიტეტები, ასევე მხარის მოსაზღვრეა ამჟამად სამაჩაბლოში (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) შემავალი ჯავის მუნიციპალიტეტი. მხარის მდებარეობა ზღვის დონიდან 400 მეტრსა და 5000 მეტრს შორის მერყეობს. აქ, ძირითადად, ქართველები სახლობენ, მათი საერთო რაოდენობა 49 000 კაცს აღწევს.¹

ადმინისტრაციული მოწყობა

რეგიონში შედის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
2. ცაგერის მუნიციპალიტეტი
3. ლენტეხის მუნიციპალიტეტი
4. ონის მუნიციპალიტეტი
5. ქ.ამბროლაური

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სულ 4 მუნიციპალიტეტი, 3 ქალაქი, 2 დაბა და 279 სოფელია.²

სამხარეო დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქალაქ ამბროლაურშია განთავსებული. ქალაქი ამბროლაური თბლისიდან 280 კმ-ით არის დაშორებული.³

¹ წყარო: http://rls.gov.ge/open_a.php?id=1

² წყარო: საქსტატი

³ წყარო: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის

კუბურ მეტრს შეადგენს. გარდა ამისა, რეგიონში გვხვდება კირქვა (130 ათასი კუბური მეტრი), ქვანახშირი (300 ათასი ტონა), თაბაშირი (900 ათასი კუბური მეტრი), დიაბაზი (20 ათასი კუბური მეტრი), ბარიტი (შეფასებული არ არის), მანგანუმი (1010 ათასი ტონა) და ოქრო (შეფასებული არ არის). ინვესტიციების არარსებობის გამო, წიაღისეულის დიდი ნაწილის მოპოვება არ ხორციელდება.

რეგიონის წიაღისეულის, მისი რესურსული პოტენციალის ეფექტიანი მართვა-გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია არსებული რესურსების მარაგების ხელახალი აღრიცხვა, სისტემატიზაცია და საორიენტაციო საბაზრო ღირებულების შეფასება. არსებული საინფორმაციო ბაზა ემყარება მრავალი წლის წინ მომზადებულ კვლევებს, რაც მათი სანდოობის ხარისხს გარკვეულწილად ეჭვქვეშ აყენებს.⁶


რეგიონის მაკრო მახასიათებლები

დემოგრაფია

მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე

რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთის რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად დასახლებულია საქართველოში. საქსტატის 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით რეგიონში საქართველოს მოსახლეობის 0.8% ცხოვრობს და მათი რიცხვი ჯამში 29 701-ს უდრის.

გრაფიკი 1. მოსახლეობა რეგიონების მიხედვით (%), 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს. მათი რიცხვი 10 643-ს შეადგენს და რეგიონის მოსახლეობაში მათი წილი 35.8%-ს უდრის. სიდიდით მეორე ცაგერის მუნიციპალიტეტია, რეგიონში მოსახლეობის 30.7% წილითა და 9 105 დასახლებულთა ოდენობით. მას მოსდევს ონის მუნიციპალიტეტი რეგიონში მოსახლეობის 19.5% წილითა და 5 778 რაოდენობით. ყველაზე მცირერიცხოვანი მოსახლეობა ლენტეხის მუნიციპალიტეტშია, სადაც რეგიონის მოსახლეობის 14.1% ცხოვრობს, ხოლო მათი რიცხვი 4 175-ს შეადგენს.


ცხრილი 1. მოსახლეობის რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტი	რაოდენობა (ათასი)	წილი საქართველოს მოსახლეობაში	წილი რეგიონის მოსახლეობაში
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	29.7	0.8%	
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	10.6	0.3%	35.8%
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	4.2	0.1%	14.1%
ონის მუნიციპალიტეტი	5.8	0.2%	19.5%
ცაგერის მუნიციპალიტეტი	9.1	0.2%	30.7%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 წ. 1 იანვარი

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე საქართველოში ყველაზე დაბალია და 6.6-ს უდრის.

გრაფიკი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში 3 ქალაქი, 2 დაბა და 279 სოფელია. საქსტატის 2019 წლის 1 იანვრის მონაცემების თანახმად რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 23% ცხოვრობს ქალაქებში და მათი რიცხვი 6 825-ს შეადგენს. სოფლად 77% ცხოვრობს და მათი რიცხვი 22 876-ს შეადგენს. საშუალოდ, საქართველოში, მოსახლეობის 43.6% ცხოვრობს სოფლად. რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთის რეგიონში ურბანიზაციის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია საქართველოში.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა


საქსტატის წყაროებში, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონის დასაქმების მაჩვენებლები იმერეთის რეგიონის მაჩვენებლებთან არის გაერთიანებული და შემდეგია: 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი 60%-ს უდრის. თავის მხრივ, ამ რეგიონების მაცხოვრებლების დასაქმებულ ნაწილში 56% – თვითდასაქმებულია.

გრაფიკი 3. თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ მოსახლეობაში საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2018




ხოლო დაქირავებით დასაქმებულების წილი რეგიონში დასაქმებულთა შორის 44%-ს შეადგენს.

გრაფიკი 4. დაქირავებით დასაქმებულთა წილი, 2017 (%)



ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლების მიხედვით, რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთის რეგიონისთვის აღნიშნული მაჩვენებელი განცალკევებით არ აღირიცხება და მხოლოდ იმერეთის რეგიონთან გაერთიანებული მოიპოვება. ამ მაჩვენებლის მიხედვით, აღნიშნულ რეგიონებში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო თვიური შემოსავლები 269.5 ლარს შეადგენს (2018 წლის მონაცემი). ეს მონაცემი საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (284.7 ლარი) მხოლოდ მცირედით ჩამორჩება.


გრაფიკი 5. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შემოსავლების დეკომპოზიცია კი შემდეგია: რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის 88%-ს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები შეადგენენ, ხოლო 12%-ს არაფულადი შემოსავლები. ფულადი შემოსავლებიდან ყველაზე მეტი, 41% დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალია, 25% მოდის პენსიებზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე, შემოსავლების 10% საჩუქრად მიღებული ფულია, 9%-ს თვითდასაქმებიდან ღებულობს, 8% უცხოეთიდან მიღებული გზავნილებია, შემოსავლების 7%-ს მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან იღებს, ხოლო ქონებიდან (გაქირავებიდან და ანაბრებიდან პროცენტი) მიღებული შემოსავალი მხოლოდ 0.3%-ს უდრის.


გრაფიკი 6. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთის რეგიონებში, 2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეგიონში საშუალო შემოსავლების სიდიდით მეორე კომპონენტი პენსიებზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე მოდის. ამასთან, შემწეობის მიღებაზე რეგისტრირებულ ოჯახთა წილი შინამეურნეოებს შორის რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში 70%-ს აჭარბებს, რაც საქართველოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და ხაზს უსვამს რეგიონში არსებულ რთულ სოციალურ მდგომარეობას.

გრაფიკი 7. შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი შინამეურნეობებში რეგიონების მიხედვით



წყარო: საქსტატი, ჯანდაცვა და სოც. უზრუნველყოფა 2017;
საქსტატი – მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014

შრომის ბაზარი – განათლება და უნარები

2017-2018 სასწავლო წლის მონაცემებით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში მხოლოდ ერთი და ისიც კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს.

რაც შეეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რეგიონის შესახებ ცალკე სტატისტიკური მონაცემი არ აღირიცხება და 2018 წლისთვის გურიის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ჯამში 4 ასეთი დაწესებულება ირიცხებოდა.


ამბროლაურში მდებარე პროფესიული კოლეჯი „ერქვანი“ შემდეგ პროგრამებს ახორციელებს: მემინანქრე; იუველირი; მეღვინე; ტრაქტორისტ-მემანქანე; ბულალტერ-ტექნიკოსი; მეფუტკრე.⁷

2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში 68 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებს, რომლებშიც ჯამში 2 954 მოსწავლე ირიცხება.

ბიზნესაქტივობა

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, 2019 წლის 1 თებერვლის მონაცემებით სულ 1 208 საწარმოა. მათგან 11 საწარმო (1%) საშუალო ზომისაა, 1 140 (94%) მცირე ზომის, ხოლო საწარმოთა 5%-ისთვის (57 საწარმო) ზომების შესახებ მონაცემები არ არის აღრიცხული. რეგიონში მოქმედ საწარმოებს შორის მსხვილი საწარმო არ არის.

გრაფიკი 8. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მოქმედი ბიზნესუბიექტების განაწილება ზომების მიხედვით




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

⁷ წყარო: http://vet.ge/educational_institutions/state/?college_id=1

საკუთრების ფორმების მიხედვით რეგიონში მოქმედი კომპანიები შემდეგნაირად არის გადანაწილებული: საწარმოთა 87.2% (1 053 საწარმო) ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით ფუნქციონირებს, 12% (145 საწარმო) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს, 0.6% (8 საწარმო) – ამხანაგობა, 0.2% (2 საწარმო) კოოპერატივი.


გრაფიკი 9. რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთის რეგიონში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქმიანობის სფეროების მიხედვით რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონის კომპანიები შემდეგნაირადაა განაწილებული: ყველაზე მეტი კომპანია, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, აქვს საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროებშია თავმოყრილი და კომპანიების მთლიანი რაოდენობის 45.8%-ს შეადგენს. მეორე ყველაზე მრავალრიცხოვანი საწარმოებით წარმოდგენილი დარგი რეგიონში – მშენებლობაა, 12.9% კომპანიათა წილით. მესამე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობა 11.8%; მეოთხე ყველაზე კონცენტრირებული დარგია განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა, სადაც კომპანიების 6%-ია თავმოყრილი. მას მოსდევს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა კომპანიათა 5.1% წილით, მეექვსეა ტრანსპორტი და დასაწყობება 4.5%-ით, მეშვიდე – ხელოვნება, გართობა, დასვენება 2.2%-ით, სხვა სახის მომსახურებებით დაკავებულ კომპანიათა წილი 1.9%-ია, ხოლო ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაში რეგიონის საწარმოთა 1.7%-ია წარმოდგენილი. ყველა სხვა დანარჩენ დარგში წარმოდგენილი საწარმოების რაოდენობა ჯამში 8.1%-ს შეადგენს.

გრაფიკი 10. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება კომპანიების განაწილებას დარგებში ზომების მიხედვით, იგი ასე გამოიყურება: საშუალო ზომის კომპანიების 22.22% მშენებლობაშია თავმოყრილი, ასევე 22.22% დამამუშავებელ მრეწველობას წარმოადგენს. მცირე კომპანიები შემდეგნაირად არიან განაწილებული ყველაზე კონცენტრირებულ სამ დარგში: 46% კომპანიებისა საცალო და საბითუმო ვაჭრობის დარგში მოღვაწეობს, 13% მშენებლობაში, ხოლო 12% დამამუშავებელ მრეწველობაში.

უფრო დეტალურად, საწარმოთა ზომების მიხედვით განაწილება საქმიანობის სფეროებში, ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი:

საქმიანობის სფერო	რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი		
	მცირე	საშუალო	სულ
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	5%	11%	5%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1%	0%	1%
დამამუშავებელი მრეწველობა	12%	22%	12%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0%	11%	0%
მშენებლობა	13%	22%	13%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	46%	0%	46%
ტრანსპორტი და დასაწყობება	5%	0%	4%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	6%	0%	6%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	2%	0%	2%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1%	0%	1%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	2%	0%	2%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	0%	11%	0%
განათლება	1%	11%	1%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	2%	0%	2%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	2%	11%	2%
სხვა სახის მომსახურება	2%	0%	2%

კრიტიკული დარგები

დარგების შეფასების მოდელში აისახა ის ფაქტი, რომ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ერთ-ერთი გამორჩეულად ღარიბი რეგიონია დაბალი ბიზნესაქტივობით, დარგების უმეტესობაში საერთოდ არ არსებობს მონაცემების დასაქმებაზე და სხვა ჩვენს მიერ მითითებულ კრიტერიუმებზე, ან ეს მაჩვენებლები ნულოვანია. სწორედ ამიტომ, ნაცვლად ტოპ დარგების შერჩევისას, ჩვენ ყველა ის დარგი შევარჩიეთ, სადაც რაიმე ბიზნეს აქტივობა შეინიშნებოდა ჩვენი კრიტერიუმების მიხედვით. ეს დარგები შემდეგია:

დარგი	ქულა
ტრანსპორტირება და დასაწყობება	0.31206618
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.266667886
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	0.176859917
დამამუშავებელი მრეწველობა	0.106181671
მშენებლობა	0.068387219
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.033173636
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.020334237

შემდგომი ანალიზისთვის და დარგებში აქტივობის უკეთ დასანახად, გამოვიკვლიეთ, რა ქვე-მიმართულებებია შედარებით განვითარებული თავად დარგებში (ბიზნესსუბიექტების კონცენტრაციის მიხედვით).

ქვედარგების ანალიზმა შემდეგი შედეგი მოგვცა:

ტრანსპორტირება და დასაწყობება

ამ დარგში მოქმედი საწარმოების უმეტესობა კონცენტრირებულია „საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტში“, მცირე ნაწილი – „სატვირთო საგზაო გადაზიდვებში“. ეს დარგი, როგორც ამ, ისე სხვა რეგიონებში ტრანსფორმაციას მოითხოვს, რადგან ამ ეტაპზე ის ვერ აკმაყოფილებს ტურიზმისთვის განვითარების სტანდარტებს. სწორედ აქ არსებობს განვითარების შესაძლებლობები – მზარდი ტურიზმის ფონზე მგზავრთა გადაზიდვის მიმწოდებლებს შეუძლიათ, მოდერნიზებული შატლების და მგზავრთა ორგანიზებული გადაყვანის სერვისის შესთავაზონ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ტურისტებს.

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები

რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სტანდარტულად, ეს დარგი შედგება სასტუმროების და საკვები დაწესებულებებისგან. ტურისტების შემოდილების ზრდის გათვალისწინებით, ცხადია, ეს დარგი პრიორიტეტულია რეგიონისთვის.

დამამუშავებელი მრეწველობა

დამამუშავებელი მრეწველობის ყველაზე დიდი ქვედარგი, კომპანიების კონცენტრაციის მიხედვით, კვების მრეწველობაა.

ამ რეგიონში კვების მრეწველობის აქტივობაც ძალზე დაბალია და მისი სტრუქტურაც ღარიბი: კომპანიების 80% პურ-ფუნთუშეულის და ცომეული პროდუქტების წარმოებაზე მოდის, 10% – ხორცის დამამუშავებაზე. ძირითადად კვების მრეწველობა ამ მიმართულებებისგან შედგება.

კვების მრეწველობის შემდეგ კომპანიების უმეტესობა კონცენტრირებულია დამამუშავებელი დარგის შემდეგ ქვედარგში: „ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან“. აქ საწარმოების ძირითადი საქმიანობაა ხის ხერხვა და რანდვა.

დამამუშავებელ მრეწველობაში შემდეგი ადგილი უჭირავს სასმელების წარმოებას (რაჭის ხარზე), სადაც უმეტესი ნაწილი ღვინის წარმოებაზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ღვინის წარმოების განვითარების მიუხედავად, რაჭაში, არ არის განვითარებული ყურძნის სხვა პროდუქტების წარმოება – წიპნის ზეთის თუ სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალების.

გარდა ამისა, რეგიონში ასევე იწარმოება პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობები და ბეტონი, რაც დამახასიათებელია ყველა სხვა შესწავლილი რეგიონისთვისაც.

მშენებლობა

რეგიონში მშენებლობაში ძირითადად გამოკვეთილია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და გზებისა და ავტობანების მშენებლობა.

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა

საინტერესოა, რომ რეგიონში ღვინის მწარმოებლად, საქონლის მომშენებლად მცირე რაოდენობის საწარმოებია დარეგისტრირებული (სულ 16). ამის სავარაუდო მიზეზი ისაა, რომ ამ საქმიანობას ძირითადად შინამეურნეოები მისდევდნენ და არ არიან რეგისტრირებული ბიზნეს-სუბიექტებად. ეს იმასაც მიუთითებს, რომ მათი საქმიანობა არ არის სისტემური და საკმარისად მასშტაბური, რომ რეგულარულ ბიზნესსაქმიანობად გადაქცეულიყო.


ინტერვიუებიდან მიღებული საყურადღებო ინფორმაცია:

რეგიონში მეწარმეებთან ჩატარებული ინტერვიუებისას რესპონდენტების უმეტესობა ამბობს, რომ რეგიონში შესამჩნევად მხოლოდ ტურიზმი ვითარდება.

რესპონდენტები, ასევე, კადრების კვალიფიკაციასაც უსვამენ ხაზს: „პროფესიული სასწავლებლების შექმნა იქნებოდა ძალიან კარგი. ვისურვებდით რომ იყოს უფრო მეტი კვალიფიციური კადრები“, (შპს „გეოფლაური“, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი). „ძალიან რთულია ადგილობრივად პერსონალის დაქირავება და ხშირად ჩამოგვყავს სხვადასხვა რეგიონებიდან, ვისურვებდით რომ მაღე შევძლოთ ადგილზე კვალიფიციური კადრების მოძიება“, (ინდ. მეწარმე მარიამ სულთანიშვილი, სასტუმროს ბიზნესი, ონის მუნიციპალიტეტი).

ტურიზმის მნიშვნელობაზე საუბრობს სახელმწიფოს რწმუნებულიც. ინფრასტრუქტურული და კერძო პროექტები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს რეგიონში, ცალსახად შეუწყობს ხელს რეგიონში ტურიზმის განვითარებას: „საგზაო-ინფრასტრუქტურული მიმართულებით ხორციელდება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც გაამარტივებს მიმოსვლას რეგიონში და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ტურიზმის განვითარებაში. 2020-ში სრულდება ორი დიდი პროექტი, პლიუს კეთდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზები – ხვამლის მთასთან, მრავალ-ძალის, სოფელ ღებთან და სხვა სოფლებთან მისასვლელი. საბოლოოდ, ამ გზების დასრულების შემდეგ, მოიზრება, რომ სვანეთში ასული ტურისტების 80% გადავა რაჭაშიც, ან პირიქით, სვანეთში ავლენ რაჭის გავლით ამ გზებით. განვითარების დიდი პოტენციალის მქონე სექტორებს რაც შეეხება, ერთმნიშვნელოვნად – ეს არის ტურიზმი“.

ქვემო ქართლი



ქვემო ქართლი

რეგიონის ზოგადი აღწერა

მდებარეობა

ქვემო ქართლის მხარე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთით – თბილისი, შიდა ქართლი და მცხეთა მთიანეთი, აღმოსავლეთით – კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთით – სომხეთის რესპუბლიკა.

ქვემო ქართლის ფართობია 6.5 ათასი კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 9,3%.

მაღალმთიან დასახლებებს მიეკუთვნება დმანისის მუნიციპალიტეტის 19 (1500 მ-ზე ზევით), წალკის მუნიციპალიტეტის 46 (1500 მ-ზე ზევით) და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 35 სოფელი (1300 მ-ზე ზევით).

მოსახლეობის 44,7% ეთნიკურად ქართველია, 45,1% – აზერბაიჯანელი, 6,4% – სომეხი, ხოლო 3,8% – აფხაზი, ოსი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი.¹

რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი რუსთავი უშუალოდ ესაზღვრება ქვეყნის დედაქალაქს – თბილისს. ქვემო ქართლის სიახლოვე თბილისთან, თბილისის აეროპორტთან და აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან, მისი მდებარეობა სატრანსპორტო კორიდორების გადაკვეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოკორიდორის ზონაში და ურბანიზაციის მაღალი დონე რეგიონს განვითარების კარგ შესაძლებლობას უქმნის.²

ადმინისტრაციული მოწყობა

რეგიონში 7 ქალაქი, 6 დაბა და 334 სოფელია. ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედებს 7 თვითმმართველი ერთეული:

1. თვითმმართველი ქალაქი რუსთავი
2. ბოლნისის მუნიციპალიტეტი
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტი
4. დმანისის მუნიციპალიტეტი
5. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
6. მარნეულის მუნიციპალიტეტი
7. წალკის მუნიციპალიტეტი.

¹ <http://kvemokartli.gov.ge/region>

² წყარო: ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის

სამხარეო დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული, რომლის ადმინისტრაცია ქ. რუსთავშია განთავსებული.³

ბუნებრივი გარემო

ქვემო ქართლის რეგიონი მოქცეულია ზომიერ და სუბტროპიკულ სარტყელებს შორის. რელიეფის თავისებურების გამო, რეგიონის ჰავა საკმაოდ მშრალია. ქვემო ქართლის ბარის ნაწილი მიეკუთვნება ნახევრად ზღვიურ, საკმაოდ ზომიერ კონტინენტური ჰავის ტიპს. რეგიონის შუა სარტყელში ჰავა შედარებით გრილი და ნესტიანია. კიდეც უფრო მაღლა გამეფებულია სუბნივალური ჰავა.⁴

ტურიზმი და კურორტები

ქვემო ქართლის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, აგრეთვე ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული ძეგლები ქმნის რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. ტურიზმის პერსპექტიული მიმართულებებია: ცხენოსნობა, სამონადირეო ტურიზმი, ეკოტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ოჯახური ტურიზმი, ეთნოგრაფიული ტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ტურიზმი და სხვა. ქვემო ქართლში არის დასახლებები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულით თარიღდება. დიდ არქეოლოგიურ აღმოჩენადაა მიჩნეული წინაისტორიული დასახლების და ადამიანის ნაშთების პოვნა დმანისში. ექსპერტთა დასკვნებით, დმანისში ჰომინიდი 1.8 მილიონი წლის წინ ცხოვრობდა. შესაბამისად, დმანისი ევროპისა და აზიის ყველაზე ადრეულ დასახლებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მთლიანობაში, ქვემო ქართლში 650-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთაგან 300 სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტშია შესული.

ქვემო ქართლში ერთი კურორტი – მანგლისი და რამდენიმე დასასვენებელი ზონაა, სადაც არსებულ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველწლიურად 10 ათასამდე ადამიანის მიღებაა შესაძლებელი. საკურორტო ზონებია დმანისის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, გარდაბნისა და წალკის მუნიციპალიტეტებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტურისტული ობიექტები არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და შესაბამისად, რეგიონისთვის გამოწვევას წარმოადგენს ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ქვემო ქართლში სასტუმროები ნაკლებად არის განვითარებული. ქალაქ რუსთავში ხუთი სასტუმროა. ამასთან, საოჯახო ტიპის სასტუმროებმაც ჯერჯერობით ვერ მოახერხეს სათანადო განვითარება. წალკასა და დმანისში არის საოჯახო ტიპის სასტუმროები, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა.

სექტორის მთავარ პრობლემებად რჩება პერსონალის დაბალი ანაზღაურება და უკიდურესად დაბალი ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, შესაბამისად კი – მომსახურების დაბალი ხარისხი.⁵

ბუნებრივი რესურსები

ქვემო ქართლის რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით – მდინარეებით, ტბებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლებით. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, მცირეა მინერალური წყლის (მხოლოდ ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არის მინერალური სამკურნალო მჟავე და გოგირდოვანი წყლები) და თერმული წყლის რესურსები.

აღსანიშნავია ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები. ქვემო ქართლის რეგიონში სულ 31 საშუალო და დიდი ზომის მდინარე ჩამოედინება. მათი საერთო სიგრძე დაახლოებით 900 კმ-ია. რეგიონში 15 ტბაა (საერთო სარკის ფართობით – 18 კმ²), რომლებიც, ძირითადად, რეკრეაციული დანიშნულებით, ირიგაციაში და თევზჭერისათვის გამოიყენება. რეგიონში არსებული 6 წყალსაცავი (წყლის საერთო მოცულობით 30400 მლნ. კმ³) გამოყენებულია სასმელი წყლით მომარაგებისათვის (ხრამი ქ. რუსთავისთვის), ენერგეტიკაში (წალკა) და ირიგაციაში.

ენერგეტიკის სექტორი წარმოდგენილია ქ. გარდაბანში განთავსებული სამი თბოელექტრო-

³ <http://kvemokartli.gov.ge/region>

⁴ წყარო: ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის

⁵ წყარო: ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის

სადგურით. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, დისბალანსი ელექტროენერგიის გამომუშავების ტემპებსა და ელექტროენერგიაზე მოთხოვნას შორის თანდათან იზრდებოდა, რაც რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროცესზე დღემდე უარყოფით გავლენას ახდენს. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ჰიდროენერგეტიკული რესურსებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისებას, რაც ქვემო ქართლს საკმარისი რაოდენობით აქვს. ქვემო ქართლს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს ენერგიის გენერირების კუთხით, ისეთი განახლებადი რესურსების გამოყენებით, როგორიცაა ჰიდროენერგია და ქარისა და მზის ენერგია.

მზის ენერგიის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ქვემო ქართლის რეგიონი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტერიტორიის თითქმის ნახევარი მიეკუთვნება ზონას, სადაც წლის თბილ პერიოდში (მაისი-ოქტომბერი) იქმნება ოპტიმალური პირობები სხვადასხვა ტიპის ჰელიოდაზიანდებების (ბრტყელი კოლექტორები, მძლავრი მზის ღუმელები, კოშკის ტიპის მზის სადგურები, გენერატორები) ექსპლუატაციისათვის. ეს ზონა მოიცავს ქ. რუსთავს, მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს. ტერიტორია ხასიათდება განიერი, უტყეო, ფერდობიანი ხეობებით, გახსნილი ჰორიზონტით და აქედან გამომდინარე, პირდაპირი და ჯამური რადიაციის დღეღამური, თვიური, სეზონური და წლიური მაღალი სიდიდეებით.

ქარის ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე პერსპექტიულად არის მიჩნეული მდ. მტკვრის ხეობის მცხეთა-რუსთავის მონაკვეთი. საქართველოს ტერიტორიაზე ქარის პერსპექტიულ 9 სადგურის პოტენციურ ტერიტორიებს შორის ქ. რუსთავის ტერიტორია შეფასებულია როგორც ქარის პერსპექტიული სადგური 60 მგვტ დადგმული სიმძლავრითა და 130 მლნ. კვტ/სთ ელექტროენერგიის წლიური გამომუშავებით, რაც დაახლოებით 14 000 ოჯახს დააკმაყოფილებს. აღნიშნულ მონაკვეთზე ქარის ენერგიის გამოყენების დიდი ინტერესი უკავშირდება სამგორის ველის მორწყვის საკითხსაც.

ქვემო ქართლში ტყეს ტერიტორიის 21,7% უკავია, რაც საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ტყის ფონდის ფართობი 143,2 ათას ჰა-ს შეადგენს, საიდანაც ტყით 134,6 ჰა არის დაფარული. ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი ტყის კულტურებიდან შემადგენლობის მიხედვით რეგიონში გავრცელებულია ფიჭვი (ფართობი – 5335 ჰა, მერქნის მარაგი – 193,3 ათასი კმ), ხოლო ფოთლოვნებიდან – წიფელი (25332 ჰა, 5143,3 ათასი კმ). მნიშვნელოვანი ფართობი უკავია მუხას (21564 ჰა, 2105 ათასი კმ), რცხილას და ჯაგრცხილას, ხოლო რბილმერქნიანი ფოთლოვნებიდან – კანადის ვერხვს (260 ჰა, 27,4 ათასი კმ). საკმაოდ აა ნუშის, ქერმისა და პანტის ნარგაობაც, ხოლო ბუჩქნარი და ქვეტყე ძირითადად ძეძვითაა წარმოდგენილი.

ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, გამორჩეულია ალგეთის ხეობა, სადაც შექმნილია ალგეთის ეროვნული პარკი. რეგიონის ტერიტორიაზე 22 ათას ჰა ფართობზე ფუნქციონირებს სამონადირეო მეურნეობა.

ქვემო ქართლის ტერიტორია მდიდარია მრავალფეროვანი წიაღისეულით. რეგიონში აწარმოებენ ფერად და შავ ლითონებს, ფეროშენადნობებს და ინდუსტრიულ მინერალებს. რეგიონში, ასევე, გვხვდება 200-ზე მეტი ფერადი, შავი და ძვირფასი ლითონების, ქიმიური და კერამიკული ნედლეულის, ჰიდრომინერალებისა და საწვავი რესურსების საბადო, რომელთა დიდი ნაწილი აუთვისებელია.

მადნეულის კომპლექსში სპილენძ-ბარიტის ნახევარლითონების საბადოზე მუშაობენ სპილენძის, ბარიტის და რიგი თანმხლები მინერალების მოსაპოვებლად. მადნეულის საბადო თბილისიდან 80 კილომეტრზეა. წიაღისეულს ღია შახტიდან გათხრა-აფეთქების მეთოდით მოიპოვებენ. ამოღებული მადანი მაღალი კონცენტრატით გამოირჩევა. საწარმოოდ შეფასებული წარმადობაა წელიწადში 12 ათასი ტონა კონცენტრატის გადამუშავება. ოქროს მარაგები მადნეულში შეადგენს 49 ათას უნციას, ვერცხლისა კი 94 ათას უნციას.

სტრატეგიული მნიშვნელობისაა რეგიონში არსებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები. რეგიონში მოიპოვება მაღალი ხარისხის მინერალები – ბაზალტი და ტუფი. აღნიშნულ მინერალებზე დიდი მოთხოვნაა როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე. გარდა ამისა, მოიპოვება სპილენძი, ბარიტი, ვოლფრამი, ნიკელი, რკინა, თუთია, სულფატი, მარგანეცი, მარმარილო, გაჭი, თეთრი ქვა.

რეგიონში ასევე მოიპოვება სამშენებლო კერამიკის (დარბაზისა და პიტარეთის კაოლინის საბადოები), მინის ტარის (ადულარიანი მეტასომეტიტები) და საფაიფურე (ბექტაკარის კვარციტები) ნედლეული. დმანისის და წალკის ვულკანურ საბადოებში არის მსუბუქი ქვის მასალები, ღორღი და ქვის ნატეხები.

რეგიონში არის, აგრეთვე, ლითოგრაფიული ქვის საბადოები (ალგეთი, გომარეთი, ახკალაფა). ალგეთის საბადო კავკასიაში ყველაზე დიდი საბადოა.


ცხრილი 2. მოსახლეობის რაოდენობა ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტი	რაოდენობა (ათასი)	წილი საქართველოს მოსახლეობაში	წილი რეგიონის მოსახლეობაში
ქვემო ქართლი	433.2	11.6%	
ქ. რუსთავი	128.3	3.4%	29.6%
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	55.4	1.5%	12.8%
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	80.8	2.2%	18.7%
დმანისის მუნიციპალიტეტი	20.4	0.5%	4.7%
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	22.1	0.6%	5.1%
მარნეულის მუნიციპალიტეტი	106.8	2.9%	24.7%
წალკის მუნიციპალიტეტი	19.4	0.5%	4.5%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 წ. 1 იანვარი

ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 67.2-ს უდრის.

გრაფიკი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად

ქვემო ქართლის რეგიონში 7 ქალაქი, 6 დაბა და 334 სოფელია საქსტატის 2019 წლის 1 იანვრის მონაცემების თანახმად ქალაქებში რეგიონის მოსახლეობის 44% ცხოვრობს და მათი რიცხვი 188 439-ს შეადგენს. სოფლად კი მოსახლეობის 56% ცხოვრობს და მათი რიცხვი 244 723-ს შეადგენს.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

საქსტატის მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონში, 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი 59%-ს უდრის. თავის მხრივ, რეგიონის მაცხოვრებლების დასაქმებულ ნაწილში ასევე 59% – თვითდასაქმებულია.


გრაფიკი 3. თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ მოსახლეობაში საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ხოლო დაქირავებით დასაქმებულების წილი რეგიონში დასაქმებულთა შორის 41%-ს შეადგენს.


გრაფიკი 4. დაქირავებით დასაქმებულთა წილი საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქვემო ქართლის რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო თვიური შემოსავლები 231.3 ლარს შეადგენს (2018 წლის მონაცემი). ეს მონაცემი საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (284.7 ლარი) საგრძნობლად ჩამორჩება.


გრაფიკი 5. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქსტატის მონაცემების მიხედვით, ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობის 91.5%-ს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები შეადგენენ, ხოლო 8.5%-ს არაფულადი შემოსავლები. ფულადი შემოსავლებიდან ყველაზე მეტი, 46.4% დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალია, 17.4% მოდის პენსიებზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე, შემოსავლების 13%-ს მოსახლეობა თვითდასაქმებიდან იღებს, 8% – საჩუქრად მიღებული ფულია, 7.7% კი უცხოეთიდან მიღებული გზავნილები; 7.4%-ს მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან იღებს, ხოლო ქონებიდან (გაქირავებიდან და ანაბრებიდან პროცენტი) მიღებული შემოსავალი მხოლოდ 0.1%-ს უდრის.


გრაფიკი 6. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ქვემო ქართლში, 2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აქაც, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, საშუალო შემოსავლების სიდიდით მეორე კომპონენტი პენსიებზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე მოდის. თუმცა, შემწეობის მიღებაზე რეგისტრირებულ ოჯახთა წილი შინამეურნეობებს შორის ქვემო ქართლის რეგიონში 25%-ს არ აღემატება.

გრაფიკი 7. შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი შინამეურნეობებში რეგიონების მიხედვით



წყარო: საქსტატი, ჯანდაცვა და სოც. უზრუნველყოფა 2017;
საქსტატი – მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014

შრომის ბაზარი – განათლება და უნარები

2018/2019 სასწავლო წლების დასაწყისის მდგომარეობით, ქვემო ქართლის რეგიონში არცერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის რეგისტრირებული.

რაც შეეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, 2018 წლის მონაცემებით ასეთი რეგიონში 5-ია.

რუსთავში მდებარე პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“ საკმაოდ მრავალრიცხოვან პროგრამებს ახორციელებს: ზეინკალ-სანტექნიკოსი, ინფორმაციული ტექნოლოგი, ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი, ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი), მასაჟისტი, მღებავი, ძრავის შემკეთებელი, ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი, შემდუღებელი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე, ზეინკალ-სანტექნიკოსი, ბულალტერ-ტექნიკოსი, ელექტროობა.⁷

ასევე რუსთავში მდებარე კერძო კოლეჯი „არსი“ შემდეგ პროგრამებს ახორციელებს: პრაქტიკოსი ექთანი, ფარმაცევტის თანაშემწე, ბანკის მოლარე-ოპერატორი, სადაზღვევო აგენტი, ექთნის თანაშემწე.⁸

მარნეულში ორი კოლეჯი ფუნქციონირებს: მარნეულის კოლეჯი და საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ მარნეულის ფილიალი.

მარნეულის კოლეჯში შემდეგი პროგრამები ხორციელდება: ექთნის თანაშემწე, ფარმაცევტის თანაშემწე, პრაქტიკოსი ექთანი, საფინანსო სერვისები, საოფისე საქმე, აღმზრდელი;⁹

ხოლო რაც შეეხება „ელიტის“ მარნეულის ფილიალს, აქ პროგრამების ჩამონათვალი მრავალრიცხოვანია: ბულალტერი, რესტორნის მენეჯერი, სასტუმროს მენეჯერი, ღონისძიებათა მომწყობი, ინფორმაციული ტექნოლოგი, კორესპონდენტი, პრაქტიკოსი ექთანი, ფარმაცევტის თანაშემწე, ექთნის თანაშემწე, კბილის ტექნიკოსი, მასაჟისტი, ოფის მენეჯერი, აღმზრდელი-პედაგოგი.¹⁰

2018/2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის რეგიონში 267 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, სადაც ჯამში 69 606 მოსწავლე ირიცხება.¹¹

⁷ http://vet.ge/educational_institutions/state/?college_id=17

⁸ http://www.collegearsi.ge/sag_programebi.html

⁹ www.mcm.edu.ge


¹⁰ <http://www.cceliti.ge/main/modules/4/16>

¹¹ წყარო: საქსტატი

ბიზნესაქტივობა

ქვემო ქართლის რეგიონში, საქსტატის 2019 წლის 1 თებერვლის მონაცემებით სულ 13 161 საწარმოა. მათგან 23 საწარმო (0.2%) მსხვილი ზომისაა, 84 საწარმო (0.6%) საშუალო ზომის, 12342 (93.8%) მცირე ზომის, ხოლო საწარმოთა 5.4%-ისთვის (712 საწარმო) ზომების შესახებ მონაცემები არ არის აღრიცხული.


გრაფიკი 8. ქვემო ქართლში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება ზომების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკუთრების ფორმების მიხედვით რეგიონში მოქმედი კომპანიები შემდეგნაირად არის განაწილებული: საწარმოთა 86.2% (11 346 საწარმო) ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით ფუნქციონირებს, 13.3% (1753 საწარმო) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს, 0.2% (22 საწარმო) სააქციო საზოგადოებაა, 0.1%-0.1%-ითაა წარმოდგენილი ამხანაგობა, კოოპერატივი და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თითოეულ კატეგორიაში, შესაბამისად, 17, 14 და 9 საწარმო.

გრაფიკი 9. ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით, 2019




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქმიანობის სფეროების მიხედვით ქვემო ქართლის რეგიონის კომპანიები შემდეგნაირადაა განაწილებული: ყველაზე მეტი კომპანია, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, აქაც საცალო და

საბითუმო ვაჭრობის სფეროებშია თავმოყრილი და კომპანიების ნახევარზე მეტს, 58%-ს შეადგენს. მეორე ყველაზე მრავალრიცხოვანი საწარმოებით წარმოდგენილი დარგი რეგიონში – დამამუშავებელი მრეწველობაა 9% წილით; მესამე დარგია ტრანსპორტი და დასაწყობება 8% წილით; მეოთხე დარგია განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა და მშენებლობა, თითოეული 4% კომპანიათა წილით. კომპანიათა 3%-3%-ია წარმოდგენილი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებსა და სხვა სახის მომსახურებებში; ხოლო 2%-2%-ია თავმოყრილი პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებში, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობებსა და ადმინისტრაციულ და დამხმარე მომსახურებებში.

გრაფიკი 10. ქვემო ქართლში მოქმედი ბიზნესსუბიექტების განაწილება საქმიანობის სფეროების მიხედვით, 2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დარგებში ზომების მიხედვით კომპანიების განაწილება შემდეგია: მსხვილი კომპანიების 17%-17% დამამუშავებელ მრეწველობასა და საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროებშია თავმოყრილი, 13% – განათლებაში, 9% – კი ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებებში. საშუალო ზომის კომპანიების შემთხვევაშიც ყველაზე მეტი დამამუშავებელ მრეწველობაშია და მათი წილი 23%-ს შეადგენს. საშუალო კომპანიათა 19% საცალო და საბითუმო ვაჭრობას წარმოადგენს, ხოლო 13% მშენებლობის სფეროშია წარმოდგენილი. რაც შეეხება მცირე ზომის კომპანიებს, მათი განაწილება ყველაზე კონცენტრირებულ სამ დარგში ასეთია: ყველაზე მეტი, 58% წარმოდგენილია საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროში; მეორე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობა 9% წილით; ხოლო მესამე, კომპანიათა კონცენტრაციის 8%-იანი წილით ტრანსპორტი და დასაწყობებაა.

უფრო დეტალურად, საწარმოთა ზომების მიხედვით განაწილება საქმიანობის სფეროებში, ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი:

ცხრილი 3. საწარმოთა განაწილება ზომებისა და დარგების მიხედვით

საქმიანობის სფერო	ქვემო ქართლი			
	მცირე	საშუალო	მსხვილი	სულ
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	58%	19%	17%	58%
დამამუშავებელი მრეწველობა	9%	23%	17%	9%
ტრანსპორტი და დასაწყობება	8%	5%	4%	8%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	4%	0%	0%	4%
მშენებლობა	4%	13%	0%	4%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული	3%	2%	0%	3%
სხვა სახის მომსახურება	3%	1%	0%	3%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური	2%	0%	0%	2%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	2%	10%	9%	2%

ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურება	2%	2%	4%	2%
სხვა დარგები				
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1%	5%	4%	1%
განათლება	1%	4%	13%	1%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1%	1%	0%	1%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	1%	0%	0%	1%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1%	0%	9%	1%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1%	6%	9%	1%

პრიორიტეტული დარგები

შეფასების მოდელმა ქვემო ქართლში დარგებს შემდეგი ქულები მიანიჭა მოდელში გათვალისწინებული კრიტერიუმებით:

ცხრილი 4. დარგების შეფასება, ქვემო ქართლი

დარგი	ქვემო ქართლი
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	0.188574168
დამამუშავებელი მრეწველობა	0.138415465
ტრანსპორტირება და დასაწყობება	0.133261853
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.112417343
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.111296081
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება	0.104931996
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.086334631
სხვა სახის მომსახურება	0.05966263
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.056768744
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0.055147548
ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.039057682
მშენებლობა	0.036121286
განათლება	0.031317943
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0.030218843
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	0.030116328
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.027668746
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	0.022726855

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ქვემო ქართლში წამყვანი დარგებია:

1. საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
2. დამამუშავებელი მრეწველობა
3. ტრანსპორტირება და დასაწყობება
4. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
5. სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება

თითოეული ეს დარგი ქვედარგებს მოიცავს და იმისათვის, რომ უკეთესი წარმოდგენა შევიქმნათ საგრანტო მიმართულებებზე, საჭიროა ვნახოთ, როგორია ბიზნესაქტივობა ქვედარგებში. ამისათვის გაანალიზებულია თითოეული დარგის ქვედარგებში კომპანიების კონცენტრაცია.

კვლევითი პროექტის არეალიდან გამომდინარე, ამგვარი ანალიზი არ ტარდება ვაჭრობის დარგზე. გარდა ამისა, სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება, ასევე, ელექტრო ენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება ამოღებულია პრიორიტეტული დარგებიდან, რადგან რამდენიმე კომპანია აღარ ფუნქციონირებს ამ დარგებში, რაც ცვლის დარგებში კომპანიების კონცენტრაციას. ასევე, საქართველოს ეკონომიკისთვის ტურიზმი პრიორიტეტული დარგია. ამ ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ პრიორიტეტული დარგების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

1. დამამუშავებელი მრეწველობა
2. ტრანსპორტირება და დასაწყობება
3. პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
4. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
5. განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები

ქვემოთ წარმოდგენილია თითოეული პრიორიტეტული დარგის ქვედარგების ანალიზი.

დამამუშავებელი მრეწველობა

სხვა რეგიონების მსგავსად, დამამუშავებელ მრეწველობაში წამყვანი ადგილი უჭირავს კვების მრეწველობას. კვების მრეწველობაში კი კომპანიების ყველაზე დიდი კონცენტრაცია შემდეგ მიმართულებებშია: პურისა და პურ-ფუნთუშეულის წამოება, რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება, ხორცის გადამამუშავება.

დამამუშავებელ მრეწველობაში, ასევე, კომპანიების დიდი წილი მოდის პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოებაზე, ქვის ქრასა და დამუშავებაზე, კირისა და ბათქაშის, ბეტონის წარმოებაზე, ცემენტის წარმოებაზე.

კომპანიების 8% კი კონცენტრირებულია ავეჯის წარმოებაში.

ტრანსპორტირება და დასაწყობება

ამ დარგში კომპანიების 93% მოდის მგზავრთა გადაყვანაზე, საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტზე, ხოლო 7% – დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობაზე.

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური მომსახურება

ამ დარგში კომპანიების უმეტესი ნაწილი, 41% არქიტექტურულ და საინჟინრო საქმიანობას მისდევს. 30% – იურიდიულ და საბუღალტროს, შემდეგ კი მოდის სარეკლამო, ფოტოგრაფიული და მთარგმნელობითი მომსახურება.


სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა

ამ დარგში კომპანიების 93% კონცენტრირებულია „მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევაში“, უფრო კონკრეტულად კი, ერთწლიანი კულტურების მოყვანაში (38%), მეცხოველეობაში (33%), შერეულ სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობის დამხმარე საქმიანობებში.

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები

ამ დარგში კომპანიების 89% მოდის რესტორნებსა და საკვების მიწოდებაზე, ხოლო 11%- სასტუმროებზე.

სამეგრელო- -ზემო სვანეთი



სამეგრელო- ზემო სვანეთი

რეგიონის ზოგადი აღწერა

მდებარეობა

სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონი დასავლეთ საქართველოში ძირითადად კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით – რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით – იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონები, ხოლო სამხრეთით – გურიის რეგიონი. სამეგრელო-ზემო სვანეთის ფართობია 7,5 ათასი კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 10,8%.¹

ადმინისტრაციული მოწყობა

მხარეში შედის 498 დასახლებული პუნქტი – 8 ქალაქი, 2 დაბა და 487 სოფელი. რეგიონში მაღალმთიან დასახლებებს (1000 მ-ზე ზევით) მიეკუთვნება მესტიის მუნიციპალიტეტის 136 და მარტვილის მუნიციპალიტეტის 1 სოფელი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოქმედებს 9 ადმინისტრაციული ერთეული:

1. ქალაქი ფოთი
2. აბაშის მუნიციპალიტეტი
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
4. მარტვილის მუნიციპალიტეტი
5. მესტიის მუნიციპალიტეტი
6. სენაკის მუნიციპალიტეტი
7. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი
8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი
9. ხობის მუნიციპალიტეტი.

რეგიონულ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქალაქ ზუგდიდშია განთავსებული. ქალაქი ზუგდიდი თბილისიდან 325 კმ-ით არის დაშორებული.²

¹ წყარო: <http://szs.gov.ge/geo/static/144>

² წყარო: <http://szs.gov.ge/geo/static/144>

ბუნებრივი გარემო

რეგიონის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ხასიათდება სუბტროპიკული კლიმატით, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი – სუბალპური და ალპური კლიმატით. რეგიონი მოიცავს კოლხეთის დაბლობს, რომელიც ხასიათდება ქარბად ნოტიო სუბტროპიკული ჰავით და განიცდის შავი ზღვის ძლიერ გავლენას.

რეგიონის ზომიერი კლიმატი, ბუნებრივი სილამაზე და დაცული ფაუნა რეგიონში ზამთრისა და ზაფხულის ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა.³

ტურიზმი და კურორტები

სამეგრელო-ზემო სვანეთს აქვს ტურიზმის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის განვითარების მაღალი პოტენციალი, რასაც განაპირობებს ისეთ ფაქტორთა ერთობლიობა, როგორიცაა კოლხეთისა და სვანეთის უძველესი კულტურა, უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, მღვიმეები და გამოქვაბულები, საჯომარდო და საპიკნიკო ადგილები, ქარბტენიანი კოლხეთის დაბლობი და მისი იშვიათი ბუნება, რეგიონის გეოგრაფიული თავისებურება – ლანდშაფტური მონაკვეთი და ბიოლოგიური მრავალფეროვნება, ზემო სვანეთის მყინვარები, შავი ზღვის აკვატორია და განვითარებადი კურორტული ზონები. ყოველივე ეს განსაკუთრებულ პირობებს ქმნის სხვადასხვა სახის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო ტურიზმი, ეკოტურიზმი, საზღვაო-სანაოსნო, სამდინარო-სანაოსნო, სამონადირეო ტურიზმი, სამოყვარულო თევზჭერა, ფრინველებზე დაკვირვება, აგროტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი და სხვ.) განვითარებისათვის.

ტურისტული თვალსაზრისით, უნიკალურ ობიექტს წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკი, რომელიც სამეგრელოს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და რომლის სახმელეთო ნაწილის ფართობი 28 571 ჰა-ს, ხოლო ზღვის აკვატორია – 1 574 ჰა-ს შეადგენს. 1996 წელს კოლხეთის ეროვნულ პარკს რამსარის კონვენციით საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი მიენიჭა. კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი და სხვა ინფრასტრუქტურა საგანგებოდ ისე დაპროექტდა, რომ მისი მშენებლობის პროცესში გამოყენებული მასალა და ტექნოლოგიები უვნებელი ყოფილიყო გარემოსა და იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მის დასათვალიერებლად მოდიან. პარკს კარგი პერსპექტივა აქვს ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. მასობრივი მიგრაციის პერიოდში, აქ მრავალ იშვიათ ფრინველზე დაკვირვებაა შესაძლებელი, პარკის ტერიტორიაზე მოწყობილია ფრინველთა სათვალთვალო კოშკები, ხოლო ტურისტთა განთავსება შესაძლებელია როგორც ეროვნულ პარკში არსებულ ვიზიტორთა სახლში, ისე ფოთის, გრიგოლეთისა და ანაკლიის სასტუმროებში. სანაპირო დიუნების და იმნათის ტორფნარის გასწვრივ შემუშავებულია ფეხით სავალი მარშრუტები. თუმცა, ქარბტენიანი ტერიტორიების დათვალიერების საუკეთესო საშუალებას კატარღები და ნავები წარმოადგენს. კოლხეთის ეროვნულ პარკში ვიზიტს უფრო საინტერესოს ხდის მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული არქეოლოგიური და კულტურის ძეგლები: ლაზიკის ძველი დედაქალაქი არქეოპოლისი (ჩვ.წ.აღ. მდე II-IX საუკუნეების წარწერებითა და ფრესკებით), მარტვილის სამონასტრო კომპლექსი, ხობის მონასტერი, ცაიშის ეკლესია, ხობის დედათა მონასტერი და კორცხელის მონასტერი. ეკოტურიზმის თანმდევი სახეების – სამონადირეო, სათევზაო, საცხენოსნო და აქტიური ტურიზმის სხვა სახეების დანერგვა-განვითარების კარგ საფუძველს იძლევა ენგურის წყალსაცავი და მდინარის შუა და ზემო წელი, აგრეთვე მარტვილის მღვიმეები და ტობავარჩხილის ტბები. მდ. ენგურზე არის შესანიშნავი პირობები სპორტული ნაოსნობისა და რაფტინგის განვითარებისათვის.

ზემო სვანეთი საქვეყნოდ ცნობილი ბუნებრივი სილამაზის ადგილია, მას აქვს არანგველებრივი ლანდშაფტი, რაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განვითარებულ ინფრასტრუქტურასთან ერთად, სულ უფრო მეტ ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს.

რეგიონში გვხვდება, როგორც საზღვაო ისე სამთო-სათხილამურო კურორტები. აშენდა ჰანგლის და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტები. რეგიონში ასევე არის საზღვაო კურორტები – ანაკლია და განმუხური. ახალი ბულვარი და დამხმარე ინფრასტრუქტურა შენდება ფოთში, მალთაყვის სანაპირო ზოლზე.⁴

³ წყარო: <http://szs.gov.ge/geo/static/144>

⁴ <http://szs.gov.ge/geo/static/135>

ბუნებრივი რესურსები

სამეგრელო – ზემო სვანეთის მხარე წყლის რესურსების სიუხვით გამოირჩევა. რეგიონში აღრიცხულია 2 441 დიდი და მცირე მდინარე. უგრძესი მდინარეებია: ხობის წყალი (150 კმ), ტეხური (101 კმ), აბაშისწყალი (66 კმ), ხოლო ტრანზიტული მდინარეების – ენგურის, რიონის და ცხენისწყლის სიგრძე სამეგრელოს ტერიტორიაზე შესაბამისად – 94 კმ, 88 კმ, და 44 კმ-ია. წყალსატევებიდან პალიასტომის ტბას და ჯვრის წყალსაცავს გამორჩეული სამეურნეო და გარემოსდაცვითი მნიშვნელობა აქვთ. მიწისქვეშა წყლების მოცულობა რეგიონის წყლის რესურსების საერთო მარაგის 25% შეადგენს. მთიანი ზონის რელიეფის ძლიერი დახრილობის და ნალექების დიდი რაოდენობის გამო სამეგრელოს მდინარეები წარმოადგენენ ელექტროენერგიის მდიდარ წყაროს. მათი ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიმძლავრეთა საერთო ჯამი 3.3 მლნ. კვტ ანუ საქართველოს მთლიანი თეორიული ჰიდროენერგორესურსების 13% აღწევს.

მიწის ფონდში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 39.2% მოდის, ბუჩქნარებზე – 3.5%, ქაობებზე – 2.0%, წყლით, არხებით და გზებით დაკავებულ ტერიტორიაზე – 7.3%, შენობებზე – 2.1%, ხოლო დანარჩენ გამოუყენებელ მიწებზე – 8.3%. კოლხეთის დაბლობზე გავრცელებულია ტორფი და ქაობიანი ტყეები. რეგიონი მდიდარია ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის მქონე ბუნებრივი წიაღისეულით.

თერმული წყლების საბადოებია წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის, მარტვილის და სენაკის მუნიციპალიტეტებში.

რეგიონში არსებობს ტორფის 4 ძირითადი საბადო: ანაკლიის – ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქურიისა და ნაბადის – ხობის მუნიციპალიტეტში, ოცანცალეშის – მარტვილის მუნიციპალიტეტში. გარდა ამისა რეგიონში ცნობილია ტორფის მცირემასშტაბური გამოვლინებები – ჩათაუკალის – ზუგდიდის რაიონში, ჩხოფის და ეწერის მარტვილის მუნიციპალიტეტში, წაკიპულის – წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. საერთო მარაგი შეადგენს 48 მლნ. ტონას. სულ ამ სფეროს ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 333.2 მლნ. დოლარს. რეგიონში მოიპოვება ფერადი ლითონებიც, რომელთა საპროგნოზო რესურსი შეადგენს: ოქროსი – 103.7 ტონას, ტყვიის – 300 ათას ტონას, თუთიის – 370 ათასი ტონა, სპილენძის – 376 ათასი ტონა, კობალტის – 6 ტონა, ვერცხლის – 8.4 ტონა. სულ ამ სფეროს ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 2985.86 მლნ. აშშ დოლარს. მარტვილის, მესტიის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში მოიპოვება მოსაპირკეთებელი ქვები – მაგმური ქანების საბადოები, რომელთა მარაგების ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 317 მლნ. აშშ დოლარს. მოსაპირკეთებელი ქვები – მარმარილოს საბადოები მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში და მარაგების ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 441 მლნ. აშშ დოლარს. მოსარპიკეთებელი ქვები – კირქვის საბადოებია მესტიის, მარტვილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში, რომელთა მარაგების ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 75 მლნ. აშშ დოლარს. სახერხი ქვის და ღორღის ნედლეული – კირქვის საბადოებია მარტვილის, სენაკის ჩხოროწყუს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში. მათი მარაგების ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 248 მლნ. აშშ დოლარს. სამშენებლო ქვიშა-ხრეშის საბადოებია სენაკის, აბაშის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში. მარაგების ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 952 მლნ. აშშ დოლარს. საკირე კირქვების საბადოებია მესტიის, სენაკის, ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში. შეფასებული მარაგების ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 79 მლნ. აშშ დოლარს. სააგურე თიხის საბადოებია წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, სენაკის, მარტვილის, ხობის და აბაშის მუნიციპალიტეტებში. შეფასებული მარაგები შეადგენს შეფასებული მარაგების ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 249.8 მლნ. აშშ დოლარს. თაბაშირისა და ანჰიდრიტის საბადოებია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. შეფასებული მარაგები შეადგენს 12584 ათას ტონას, ხოლო შეფასებული მარაგების ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 319 მლნ. დოლარს. ბარიტეს საბადოებია მესტიის, წალენჯიხის, მარტვილის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში. მარაგების რაოდენობა არ არის შეფასებული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა რეგიონში არსებობს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი, სამკურნალო წყლებისა და სამკურნალო მინერალებისა და ქვების მარაგი. რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი: ბალანსური მარაგები შეადგენს 3439.4 მლნ. აშშ დოლარს. პროგნოზული რესურსები შეადგენს 2996.9 მლნ. აშშ დოლარს. რეგიონის ჯამური ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 6436.3 მლნ. აშშ დოლარს.⁵

⁵ <http://szs.gov.ge/geo/static/63>


რეგიონის მაკრო მახასიათებლები

დემოგრაფია

მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე

სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონში საქსტატის 2019 წლის 1 იანვრის მონაცემებით რეგიონში საქართველოს მოსახლეობის 8.6% ცხოვრობს და მათი რიცხვი ჯამში 316 195-ს უდრის.

გრაფიკი 1. მოსახლეობა რეგიონების მიხედვით (%), 2019



სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს. მათი რიცხვი 101 815-ს შეადგენს და მოსახლეობის 32%-ს წარმოადგენს რეგიონში. მეორე ყველაზე მრავალრიცხოვანი – ქალაქი ფოთია, 41 624 მაცხოვრებლით და რეგიონში 13% წილით. მესამე ყველაზე დასახლებულია სენაკის მუნიციპალიტეტი 36 040 მოსახლით და რეგიონში 11% წილით. მას მოსდევს მარტვილის მუნიციპალიტეტი მოსახლეობის 10%-იანი წილით და 32 184 მაცხოვრებლით. მოსახლეობის რიცხოვნობით მეხუთე ადგილზეა ხობის მუნიციპალიტეტი 28 733 მაცხოვრებლით და რეგიონში 9% წილით. მეექვსე დასახლებული მუნიციპალიტეტია წალენჯიხის, 24 269 მოსახლით და 8% წილით. მას მოსდევს ჩხოროწყის მუნიციპალიტეტი 21 710 მოსახლით და 7% წილით. სიდიდით მერვე მუნიციპალიტეტია აბაშის, 20 341 მოსახლეობით და რეგიონში 6% წილით. ყველაზე ნაკლები მოსახლე, რეგიონის მოსახლეობის 3%, მესტიის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს და მათი რიცხვი 9 479-ს შეადგენს.


ცხრილი 1. მოსახლეობის რაოდენობა სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტი	რაოდენობა (ათასი)	წილი საქართველოს მოსახლეობაში	წილი რეგიონის მოსახლეობაში
სამეგრელო-ზემო სვანეთი	316.2		
ქ. ფოთი	41.6	1.1%	13.2%
აბაშის მუნიციპალიტეტი	20.3	0.5%	6.4%
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	101.8	2.7%	32.2%
მარტვილის მუნიციპალიტეტი	32.2	0.9%	10.2%
მესტიის მუნიციპალიტეტი	9.5	0.3%	3.0%
სენაკის მუნიციპალიტეტი	36.0	1.0%	11.4%
ჩხოროწყის მუნიციპალიტეტი	21.7	0.6%	6.9%
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	24.3	0.7%	7.7%
ხობის მუნიციპალიტეტი	28.7	0.8%	9.1%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019 წ. 1 იანვარი

ხოლო დაქირავებით დასაქმებულების წილი რეგიონში დასაქმებულთა შორის 35%-ს შეადგენს.


გრაფიკი 4. დაქირავებით დასაქმებულთა წილი, 2017 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლების მიხედვით, სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო თვიური შემოსავლები 256.4 ლარს შეადგენს (2018 წლის მონაცემი). ეს მონაცემი საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (284.7 ლარი) საგრძნობლად ჩამორჩება.

გრაფიკი 5. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, 2018



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის 87%-ს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერები შეადგენენ, ხოლო 13%-ს არაფულადი შემოსავლები. ფულადი შემოსავლებიდან ყველაზე მეტი, 41.2% დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალია, 25.6% მოდის პენსიებზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე, შემოსავლების 9.3%-ს მოსახლეობა თვითდასაქმებიდან იღებს, 9.1% საჩუქრად მიღებული ფულია, 8.9%-ს მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან იღებს, 4.8% უცხოეთიდან მიღებული გზავნილებია, ხოლო ქონებიდან (გაქირავებიდან და ანაბრებიდან პროცენტი) მიღებული შემოსავალი მხოლოდ 1%-ს უდრის.

ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.104475608
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.085486582
დამამუშავებელი მრეწველობა	0.082442506
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.074427353
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	0.06260523
ინფორმაცია და კომუნიკაცია	0.055787567
სამთო მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.047045883
მშენებლობა	0.044518838
განათლება	0.023534569
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	-0.003580116

პრიორიტეტული დარგების გამოსავლენად ყურადღებით გაანალიზდა დარგები და მასში მოქმედი კომპანიები. დარგი „ელენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“ ამოღებულ იქნა პრიორიტეტული დარგებიდან რამდენიმე მიზეზით: მასში მოქმედ სამ კომპანიასთან დაკავშირების შემდეგ გაირკვა, რომ მათ საქმიანობა დროებით შეჩერებული აქვთ. ასევე, ეს დარგი პირდაპირ არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის გაზიფიკაციაზე და მასში მხოლოდ რამდენიმე კომპანია მოქმედებს. ჩამონათვალიდან ამოღებულია „ხელოვნება, გართობა, დასვენება“, რადგან დარგი ძირითადად სპორტული კლუბების და აზარტული თამაშების მიმწოდებლებისგან შედგება. ასევე, კვლევის არეალის გათვალისწინებით, პრიორიტეტული დარგების ჩამონათვალიდან ამოღებულია ვაჭრობა. ამ კორექტირების გათვალისწინებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პრიორიტეტული დარგების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

1. ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
2. სხვა სახის მომსახურება
3. ტრანსპორტირება და დასაწყობება
4. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
5. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა

ამ დარგებში პრიორიტეტული ქვედარგების გამოსავლენად შეფასდა ქვედარგებში კომპანიების კონცენტრაცია. ქვემოთ წარმოდგენილია ამ ანალიზის შედეგები:

ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები

ამ დარგში კომპანიების უმეტესობა საიჯარო და სალიზინგო საქმიანობითაა დაკავებული. უფრო კონკრეტულად კი: ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი, სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი.

შემდეგ მოდის „შენობების და ტერიტორიის მომსახურების საქმიანობები“, სადაც კომპანიების უმეტესობა ბაზარს „შენობების საერთო დასუფთავებას“ სთავაზობს.

კომპანიების 15% კი ტურისტული სააგენტოებია.

სხვა სახის მომსახურება

აქ კომპანიების 77% საპარიკმახეროები და სილამაზის სალონებია. 18% – კომპიუტერების, საათებისა და ძვირფასეულობის, ასევე, პირადი საგნების რემონტია.

ტრანსპორტირება და დასაწყობება

ამ დარგში კომპანიების უმეტესობა, 74% სახმელეთო ტრანსპორტირებითაა დაკავებული, უფრო კონკრეტულად კი – საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტით და სატვირთო საგზაო ტრანსპორტით.

რაც შეეხება დასაწყობებას, მასზე კომპანიების 26% მოდის – ამ ქვედარგში კომპანიების უმეტესი ნაწილი ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობებით არის დაკავებული.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები

ამ დარგში კომპანიების უმეტესი ნაწილის საქმიანობაა საკუთარი ან იჯარით აღებული ქონების გაქირავება-მართვა.

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა

ამ დარგში კომპანიების 60% „მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევაშია“ კონცენტრირებული. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შემდეგი სტრუქტურისაა: კომპანიების 35% ხილის, კენკროვნების და ციტრუსების მოყვანითაა დაკავებული, 23% – სოფლის მეურნეობის დამხმარე საქმიანობას ეწევა, 17% – მეცხოველეობას, ხოლო 12% – ერთწლიანი კულტურების მოყვანას.

იმის გამო, რომ ტურიზმი სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია საქართველოსთვის, პრიორიტეტული დარგების ჩამონათვალში დარგი „განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებიც“ შევიდა.

მიუხედავად იმისა, რომ კრიტერიუმების მიხედვით დამამუშავებელი მრეწველობა ვერ მოხვდა პრიორიტეტული დარგების ჩამონათვალში მისი ანალიზი მაინც მნიშვნელოვანია, რომ ვნახოთ, სად შეიძლება შეიქმნას დამატებითი ღირებულება.

დამამუშავებელი მრეწველობა

ამ დარგში, სხვა რეგიონების მსგავსად, კომპანიების უმეტესობა კვების მრეწველობაშია კონცენტრირებული. ხოლო კვების მრეწველობაში კი კომპანიების უმეტესი ნაწილი (39%) ხილის, ბოსტნეულის გადამამუშავებას და დაკონსერვებას ეწევა. ეს ძალზე საინტერესო სტატისტიკაა და განხვადება ყველა რეგიონისგან, სადაც კვების მრეწველობაში ყველაზე დიდი წილი პურ-ფუნთუშეულის კომპანიებზე მოდის რაოდენობის მიხედვით. პურ-ფუნთუშეულის მწარმოებელ კომპანიებზე სამეგრელო-ზემო სვანეთში კომპანიების 34% მოდის. კომპანიების 9% ფქვილს აწარმოებს, ხოლო – 10% კი სანელებლებს.

დამამუშავებელ მრეწველობაში მოქმედი კომპანიების 10% რეზინის და პლასტმასის ნაწარმს აწარმოებს, 9% – სხვა არალითონურ პროდუქტს, ხოლო 8% – ავეჯს.

რაც შეეხება ინტერვიუებიდან მიღებულ საინტერესო ინფორმაციას, ქვემოთ მოყვანილია ამონარიდები რეგიონში მოქმედ მწარმოებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან. ამ ამონარიდებში რამდენიმე საინტერესო იდეა იკითხება:

„(ბიზნესის: შექმნაზე არ მიფიქრია სხვათაშორის, მაგრამ ვისურვებდი სერვის ცენტრები რომ იყოს უფრო გამართული, უფრო კარგი ხარისხის სათადარიგო ნაწილები და ხელმისაწვდომი ფასებით და ასევე ვისურვებდით საწვავის ფასები რომ იყოს დაბალი“, ინდ მწარმე ირაკლი დოღბაია, მგზავრების გადაყვანა.

„ვისურვებდით რომ იყოს ადგილობრივი წარმოების თევზის საკვები. რადგან არ არის, გვინევს ჰოლანდიიდან შემოტანა. მიუხედავად იმისა რომ ჩვენი წარმოების თევზის ფქვილი გადის თურქეთში, შემდეგ ყიდულობს ჰოლანდია და მერე გვინევს ჩვენ ყიდვა, ასე ვთქვათ მესამე ხელიდან, ათმაგ ფასში“, კოოპერატივი ჯოლო, სოფლის მეურნეობა

„კარგი იქნება რომ იყოს ადგილობრივი თევზის სპეც. საკვების წარმოება“ შპს ფორეტი 1, მტკნარი წყლის აკვაკულტურა

„ბოთლები და ჩამოსასხმელი ჭურჭელი შემოგვაქვს საზღვარგარეთიდან კარგი იქნება ადგილზეც რომ გვექონდეს ყიდვის საშუალება“, შპს მადა, ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავება

“არის კომპანიები რომლებიც ტრაქტორებით გეხმარებიან მიწის დამამუშავებაში, მაგრამ რამდენჯერაც დამჭირდა ვერც ერთხელ ვერ ვისარგებლე ამ სერვისით ხან გაფუჭებული იყო, ხან – რაღაც პრობლემა აქვთ და კარგი იქნება, თუ მიხედავს ვინმე ამ პრობლემას. ძალიან ცუდი სიტუაციაა ამ მხრივ ტრაქტორებით მომსახურების კუთხით. უნდა მიხედოს ვინმემ ამ მომსახურების სფეროს“, შპს კოლხური კომპანია, სოფლის მეურნეობის დამხმარე საქმიანობა.

პანელო



კახეთი

რეგიონის ზოგადი აღწერა

მდებარეობა

კახეთი საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრისპირა რეგიონია. მას ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან კი – აზერბაიჯანის რესპუბლიკა. კახეთის ფართობი 11,310 ათასი კვ. კმ-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის 17,5%-ია და საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე დიდი ტერიტორიაა. კახეთის ადგილმდებარეობა, კერძოდ, თბილისთან სიახლოვე და აზერბაიჯანის

რესპუბლიკასთან საერთო საზღვარი, განაპირობებს ამ რეგიონის სატრანსპორტო არტერიის როლს და ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის კარგ საფუძველს ქმნის.¹

ადმინისტრაციული მოწყობა

რეგიონში 9 ქალაქი (ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, წნორი) და 276 სოფელია, ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი თელავი. კახეთში სულ 8 ადმინისტრაციული ერთეულია. კახეთის რეგიონი მოიცავს შემდეგ მუნიციპალიტეტებს:

1. ახმეტის
2. გურჯაანის
3. დედოფლისწყაროს
4. თელავის
5. ლაგოდეხის
6. საგარეჯოს
7. სიღნაღის
8. ყვარლის

¹ წყარო: კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021

ბუნებრივი გარემო

კახეთში ტენიან სუბტროპიკულსა და კონტინენტურს შორის გარდამავალი ჰავაა. რეგიონის კლიმატი განიცდის როგორც მშრალი შუაზღვიური, კასპიის ზღვის მშრალი ჰაერის მასების, ასევე დასავლეთიდან შავი ზღვის ტენიანი ჰაერის გავლენას. ზამთრის საშუალო ტემპერატურა დაახლოებით 0°C -ია; ზაფხულში ის +23-30°C -ს აღწევს.

კახეთის რეგიონი რუსეთისგან გამოყოფილია კავკასიონის მაღალი ქედით. რეგიონის შუაგულში, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მდებარეობს გაცილებით დაბალი გომბორის ქედი. ქედებს შორის მოთავსებულია ალაზნის ველი, რომელზეც მოედინება რეგიონის ორი მთავარი მდინარიდან ერთ-ერთი, ალაზანი. გომბორის ქედის სამხრეთით მიედინება რეგიონის მეორე მთავარი მდინარე, იორი, რომელიც ასევე თითქმის დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიემართება და ქმნის ივრის დაბლობს. ეს ორი ქედი, ორი მდინარე და ორი ველი განაპირობებს კახეთის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მახასიათებლებსა და პოტენციალს და განასხვავებს კახეთის რეგიონს საქართველოს სხვა რეგიონებისგან. საქართველოს ტყეების ფართობის 11-12% კახეთის რეგიონშია. კახეთის ტერიტორიის 30% ტყით არის დაფარული და ამ მხრივ მესამე ადგილზეა საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. რეგიონის ტყეების 98% მთის ტყეების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც უდიდესი ეკოლოგიური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ტყის მასივის დაახლოებით 85% ფოთლოვანია, სადაც სჭარბობს წიფელი, მუხა, რცხილა. ალაზნის ხეობის ზედა მონაკვეთში ასევე გვხვდება ნეკერჩხალი, ვერხვი, მურყანი, წაბლი და ურთხმელი. საზოგადოდ, ტყეები გვხვდება ზღვის დონიდან 500-2000 მეტრის სიმაღლეზე, რის შემდეგაც იწყება ალპური ზონა.

კახეთის მხარე სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მევენახეობა. აქ ვაზის 80-მდე ჯიშია გავრცელებული. საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რაიონებში ნავთობის გარკვეული მარაგებია.²

ტურიზმი და კურორტები

კახეთის რეგიონში კონცენტრირებულია ისტორიული და კულტურული ძეგლები და მემკვიდრეობა, კულინარიული და ღვინის უნიკალური ნიმუშები – რაც რეგიონს ტურისტულ მიმზიდველობას ანიჭებს, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს თბილისთან სიახლოვე და ტრანსპორტირებისთვის მოსახერხებელი ადგილმდებარეობა. რეგიონში 30-ზე მეტი სასტუმრო ფუნქციონირებს, რომელთა შორის ცნობილი ბრენდებიცაა წარმოდგენილი. რეგიონში ვიზიტორის განთავსების ღირებულება 10-15 ლარიდან – 350 ლარამდე მერყეობს.³

კახეთის რეგიონში მრავლად არის **დაცული ტერიტორიები და ნაკრძალები**. კერძოდ, ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარეობს: ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალი და ილტოს აღკვეთილი და იგი სამი დამოუკიდებელი უბნისგან, ბაწარისა და ბაბანეურის ნაკრძალებისა და ილტოს აღკვეთილისგან შედგება. ახმეტის მუნიციპალიტეტშივეა თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალიც, რომელიც თუშეთის დაცული ტერიტორიების ნაწილს წარმოადგენს და გამორჩეულად მდიდარია ისტორიულ-კულტურული ძეგლებით.^{4,5} აღსანიშნავია, ასევე, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები.

კახეთი ასევე გამორჩეულია ისტორიული თუ სხვადასხვა მნიშვნელობის **მუზეუმებით**. აქ მდებარეობს: ნატო ვაჩნაძის, იოსებ ნონეშვილისა და სხვა საზოგადო მოღვაწეთა სახლ-მუზეუმები.⁶

კახეთის რეგიონი მთლიანად და ასევე მის შემადგენლობაში შემავალი მთა-თუშეთის მხარე, **კულინარიული** მრავალფეროვნებითა და უნიკალურობით გამოირჩევა: სხვადასხვა სახეობის ყურძენი და შესაბამისად, ღვინო; ხინკალი; დამბალხაჭო – რომელიც იუნესკოს ქართული კულტურის არამატერიალური ძეგლების სიაშია; ხინკალი, კახური შოთი, ჩურჩხელა, გუდის ყველი და სხვა გასტრონომიული უნიკალური პროდუქტები კახეთის რეგიონს განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის კულინარიული ტურიზმის თვალსაზრისით.

კახეთის რეგიონში ბოლო პერიოდში კარგად განვითარდა ტურისტული ადგილმდებარეობები, ადგილობრივი მარნები, სასტუმროები და ვენახები/შატოები.

² <http://kakheti.gov.ge/geo/static/87/regions/>

³ http://gov.ge/files/275_38368_341843_136617.09.13%E2%80%93931.pdf

⁴ <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/cattestone/tushetis-daculi-teritoriebis-administracia/tushetis-daculi-teritoriebis-damatebiti-girssheshan-ishnaobani>

⁵ <http://akhmeta.gov.ge/ge/nakrzalebi-da-daculi-teritoriebi?person=1>

⁶ <http://www.gurjaani.ge/tourism/>

კურორტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ახტალა, რომელიც საქართველოში ტალახით სამკურნალო ერთადერთი კურორტია. იგი მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში. თბილისიდან დაშორებულია 100 კმ-ით. კურორტ ახტალის ფსევდოვულკანური ტალახის საბადო მდებარეობს ზღვის დონიდან 412 მ. სიმაღლეზე.

ახტალა ხასიათდება სუბტროპიკული მშრალი ჰავით, რომლის ძირითად მაჩვენებლად ითვლება სითბო და ტენიანობის დეფიციტი. კურორტზე სამკურნალო ტალახს უწოდებენ ახტალას.⁷ ასევე აღსანიშნავია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარე უჯარმა, რომელიც ბალნეოლოგიურ კურორტს წარმოადგენს.

ქრისტიანული და კულტურული ძეგლები კახეთს გამორჩეულ ტურისტულ ღირებულებას სძენს. აქ მდებარეობს ისეთი ცნობილი ძეგლები, როგორებიცაა დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, ალავერდის მონასტერი, იყალთოს აკადემია, შუამთის მონასტერი, ბოდბის დედათა მონასტერი და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ღირსშესანიშნავი ძეგლები.

ბუნებრივი რესურსები

მტკნარი წყლის რესურსებთან ერთად, კახეთის რეგიონისთვის **ტყეები** ერთ-ერთი მთავარი ბუნებრივი რესურსია, რომელიც მოსახლეობას უზრუნველყოფს შეშით, სამშენებლო მასალით, ტყის მეორადი პროდუქტებითა და სანადირო-სარეწაო ნადირ-ფრინველით.

კახეთის რეგიონში, ასევე, შემდეგი ბუნებრივი რესურსებია ხელმისაწვდომი: სხვადასხვა სახის კირქვა (ცემენტი, კირი, ღორღის, ქვიშიანი, გაჭი), სააგურე თიხა, პორფირიტული ბრექჩია, სახურავი ფიქალი, მარმარილო, დიაბაზი, ქვიშაქვა, გამარმარილებული კირქვა.⁸


რეგიონის მაკრო მახასიათებლები

დემოგრაფია

მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით კახეთში საქართველოს მოსახლეობის 8.44% ცხოვრობს და მათი რიცხვი ჯამში 314 681 ადამიანს შეადგენს.

გრაფიკი 1. მოსახლეობა რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონის მოსახლეობის 18% თელავის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს და მათი რიცხვი 56 700-ს შეადგენს. მეორე ყველაზე დასახლებული მუნიციპალიტეტი – გურჯაანია, 53 100 მოსახლითა და რეგიონის მოსახლეობაში 17% წილით, ხოლო მესამე ყველაზე დასახლებული მუნიციპალიტეტი საგარეჯოა, 52 300 მოსახლითა და ასევე 17% წილით. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

41 400 ადამიანი ცხოვრობს და მათი წილი რეგიონის მოსახლეობას შორის 13%-ია. ახმეტისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში, რეგიონის მოსახლეობის 10%-10% ცხოვრობს, რომელთა რიცხვი შესაბამისად 30 000-ია თითოეული მუნიციპალიტეტისთვის. 29 700 ადამიანი ცხოვრობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, რაც რეგიონის 9%-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე ნაკლები მოსახლეობა კახეთის რეგიონში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ცხოვრობს. მათი რიცხვი 21 100-ია და რეგიონის მოსახლეობის 7%-ს შეადგენს.


ცხრილი 2. მოსახლეობის რაოდენობა კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში

მუნიციპალიტეტი	რაოდენობა (ათასი)	წილი საქართველოს მოსახლეობაში	წილი რეგიონის მოსახლეობაში
კახეთი	314.7	8.4%	
ახმეტის მუნიციპალიტეტი	30.2	0.8%	10%
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	53.1	1.4%	17%
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	21.1	0.6%	7%
თელავის მუნიციპალიტეტი	56.7	1.5%	18%
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	41.4	1.1%	13%
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	52.3	1.4%	17%
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	29.7	0.8%	9%
ყვარლის მუნიციპალიტეტი	30.3	0.8%	10%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 წ. 1 იანვარი

კახეთის რეგიონში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 27.7-ს უდრის.

გრაფიკი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


მოსახლეობის განაწილება ქალაქად და სოფლად

კახეთის რეგიონში 9 ქალაქი და 276 სოფელია. 2019 წლის 1 იანვრის საქსტატის მონაცემებით კახეთის მოსახლეობის 23% საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს. ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 71 000 ადამიანია, ხოლო სოფლად კი 241 500 ადამიანი. საქართველოში სოფლად მოსახლეობის საშუალოდ 43.6% ცხოვრობს, ხოლო კახეთის მაჩვენებელი მთლიანი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილი აქ 77%-ს შეადგენს.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა


კახეთის რეგიონში, საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (56.65%) მნიშვნელოვნად აღემატება და 71.38%-ს შეადგენს. (დასაქმებულთა წილი 15+ მოსახლეობაში). თუმცა, დასაქმებულთა შორის 51.47% თვითდასაქმებულია.

გრაფიკი 3. თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულ მოსახლეობაში საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2018




ხოლო რაც შეეხება დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობას კახეთის რეგიონში, ის საკმაოდ დაბალია და დასაქმებულთა 27.84%-ს შეადგენს.

გრაფიკი 4. დაქირავებით დასაქმებულთა წილი, 2017 (%)



ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით კახეთის რეგიონში 287.1 ლარს შეადგენს, რაც საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (284.7 ლარი) ცოტათი აღემატება.

გრაფიკი 7. შემწეობის მიმღებ ოჯახთა წილი შინამეურნეობებში რეგიონების მიხედვით



წყარო: საქსტატი, ჯანდაცვა და სოც. უზრუნველყოფა 2017;
 საქსტატი – მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014

შრომის ბაზარი – განათლება და უნარები

